

170 / 2  
1950

საქართველოს არმიის  
ისტორიული ლეტიკი

ИСТОРИЧЕСКИЙ ЛЕТИК

5





# საისტორიკო ვესნიკი

ИСТОРИЧЕСКИЙ ВЕСТНИК

4880

5



თბილისი

1950

ნაბეჭდ თაბახთა რაოდენობა 30

შეკვეთა № 1202

ტირაჟი 1000

უმ 5217

---

სტამბა „ზარია ვოსტოკა“ თბილისი, რუსთაველის პროსექტი, 42

## შ ი ნ ა ა რ ს ი

მპ.

1. ა. იოჭიძე — იაკობ გოგებაშვილი (დოკუმენტალური მასალები) . . . V
2. პროფ. ს. კაკაბაძე — იმერეთის საბუთები თარხნობის შესახებ . . . 165
3. დოც. ი. ანთელავა — მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის . . . 257

## СО Д Е Р Ж А Н И Е

стр.

1. А. Иовидзе — Яков Гогებაшвили (документальные материалы) . . . V
2. Проф. С. Какабадзе — Имеретинские документы о тарханстве . . . 165
3. Доц. И. Антелава — Документы к экономической истории Грузии . . . 257



სარედაქციო კოლეჯის

- ნ. შერბენიშვილი
- მ. გვინიანიძე (მ/მგ. რედაქტორი)
- ა. ითვიძე
- დ. უნუქიძე
- მ. ჩხეიძე
- გ. საჩხაძე

ა ი მ ვ ი ძ ე

## იაკობ გოგებაშვილი (დოკუმენტალური მასალები)

გამოჩენილი ქართველი პედაგოგი, ცნობილი პუბლიცისტი და მწერალი იაკობ სიმონის-ძე გოგებაშვილი XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელია. როგორც პედაგოგი-განმანათლებელი და რევოლუციური-დემოკრატი იგი ნახევარი საუკუნის განმავლობაში ერთვულა ემსახურებოდა ქართველ მშრომელი ხალხის ინტერესებს და ქედმოუხრელად იბრძოდა მეფის რუსეთის ნაციონალურ-კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ. მის მიერ ჩატარებული ბრძოლა ქართველი ხალხის ეროვნული და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ ღრმა პატრიოტიზმის, გამირობისა და თავდადების იშვიათი მაგალითია.

იაკობ გოგებაშვილის ამ სამაგალითო ცხოვრებასა და მოღვაწეობის შესწავლა ჯერ კიდევ მისივე სიცოცხლეში დაიწყო.

მის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოები „დედა-ენა“, „ბუნების კარი“, „რუსკოე სლოვო“, მისი საბავშვო მოთხრობები და პუბლიცისტური წერილები იმთავითვე იქცეოდნენ საზოგადოებრივ ყურადღებას და განხილვის, შესწავლისა და მსჯელობის საგანს წარმოადგენდნენ, როგორც ქართულ ისე რუსულ ჟურნალ-გაზეთებში.

1910 წელს — გამოიცა მისი რჩეული ნაწერების I ტომი. 1913 წ. გამოვიდა იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალებისადმი მიძღვნილი საპეციალური კრებული<sup>1</sup>, რომელშიც მისი ცხოვრება და მოღვაწეობა იყო განხილული.

მაგრამ გოგებაშვილის ყოველმხრივი, საფუძვლიანი და მეცნიერული შესწავლა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო და განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში (1940 წლიდან) გაცხოველდა. 1940 წელს გამოიცა გოგებაშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული<sup>2</sup>, რომელშიც ფართოდ არის გაშუქებული იაკობ გოგებაშვილის ცხოვრება და საზოგადოებრივ-პედაგოგიური და სალიტერატურო მოღვაწეობა. 1940 წელსივე გამოვიდა იაკობ გოგებაშვილის რჩეული ნაწერების მეორე ტომი<sup>3</sup> და იაკობ გოგებაშვილის მოთხრობები<sup>4</sup>.

<sup>1</sup> „იაკობ გოგებაშვილის სახსოვრად“, თბილისი, 1913 წ.

<sup>2</sup> იაკობ გოგებაშვილის საიუბილეო კრებული, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემა, 1940 წ.

<sup>3</sup> იაკობ გოგებაშვილი, „პედაგოგიური თხზულებანი“, ტომი II, პროფ. გ. თავიშვილის რედაქციით და წინასიტყვაობით.

<sup>4</sup> იაკობ გოგებაშვილის მოთხრობები პროფ. გ. თავიშვილის რედაქციით და შესავალ წერილით, 1940 წ.



უკახახკნელი ორი წლის განმავლობაში იაკობ გოგებაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის გაშუქებას მიძღვნა სპეციალური შრომები. 1948 წელს დაიბეჭდა პროფ. დ. ლორთქიფანიძის შრომა „დიდი ქართველი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი“... და 1949 წელს პროფ. გ. თაყვანიშვილის შრომა „იაკობ გოგებაშვილის მხატვრული შემოქმედება“.

მიუხედავად ბოლო წლებში ჩატარებული ენერგიული და ნაყოფიერი მუშაობისა, იაკობ გოგებაშვილის მდიდარი მემკვიდრეობა ჯერ კიდევ არ არის ყოველმხრივ შესწავლილი და გამოცემული. ბევრი მისი ნაშრომი ვაზნეულია სხვადასხვა ეურნალ-გაზეთებში, ზოგიერთი მისი წერილი უკულმართი ცენტრული პირობების გამო ეურნალ-გაზეთებშიც არ გამოქვეყნებულა. ეს ის წერილებია, რომელთა შესახებ ი. გოგებაშვილი რჩეული ნაწერების 1 ტომის წინასიტყვაობაში სწერდა: „რომელთაც დღის ნათელი უნდა იხილონ, ქვეყნის სასიკეთოდ, მხოლოდ მაშინ, როდესაც ეხლანდელი ავადმყოფური რეჟიმი პირს იზამს საღი რეჟიმისაკენ“.<sup>2</sup>

იაკობ გოგებაშვილის უფრო სრული და ყოველმხრივი გაშუქებისათვის საჭიროა არქივებსა და მუზეუმებში დაცული მასალების გამოვლინება, შესწავლა და დღის სინათლეზე გამოტანა.

ქვემოთ ჩვენ ვაქვეყნებთ საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში დაცულ წერილებს და აგრეთვე დოკუმენტალურ მასალებს, რომლებიც იაკობ გოგებაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ზოგიერთ საკითხს აშუქებენ.

პუბლიკაციაში წარმოდგენილი მასალების ერთი წყება ბიოგრაფიული ხასიათისა და ასახავს იაკობ გოგებაშვილის მოწაფეობის პერიოდს და მის პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის სასულიერო სემინარიაში. საბუთების მეორე წყება აშუქებს გოგებაშვილის მოღვაწეობას ქართველთა შორის წ. კ. გამაზრცელებელ საზოგადოებაში. ამ წყების მასალებში ვგულისხმობთ, ი. გოგებაშვილის მოხსენებებს სახელმძღვანელოების შედგენისა და გამოცემის შესახებ, სკოლებისადმი შემწეობის აღმოჩენის, სკოლების წლიური ანგარიშების, მასწავლებელთათვის სასწავლო პროგრამების შედგენისა, სკოლების რევიზიის შედეგებსა და სახალხო განათლების საკითხებზე.

მესამე წყება ასახავს გოგებაშვილის მოღვაწეობას, როგორც სახელმძღვანელოების ავტორისა, მიმოწერას საგანმანათლებლო ორგანოებთან, რეცენზიებს სახელმძღვანელოების შესახებ და გოგებაშვილის ბრძოლას მეფის რუსეთის გამარჯვებელი პოლიტიკის და კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ.

საბუთების მეოთხე წყება ეხება გოგებაშვილის ბრძოლას მეფის ცენტრის წინააღმდეგ. დასასრულ პუბლიკაციაში წარმოდგენილია გოგებაშვილის წერილები და ორი ანდერძი.

ქვემოთ წარმოდგენილ პუბლიკაციაში მოცემული დოკუმენტალური მასალები მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს იაკობ გოგებაშვილის ცხოვრებისა

<sup>1</sup> ამავე წელს გამოსულ პროფ. დ. ლორთქიფანიძის წიგნში „Педагогическое учение К. Д. Ушинского“ სპეციალური თავია მიძღვნილი ი. გოგებაშვილისადმი.

<sup>2</sup> იაკობ გოგებაშვილი, რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერები. 1910 წ., წინასიტყვაობა.

და ძოღაწეობის უკეთ შესწავლის საქმეში და ხელს შეუწყობს ამ დიდი მოამაგის ეროვნული მიმართულებისა და სოციალურ-პოლიტიკურ შეხედულებათა მეტის სისასხით გაშუქებას და იმ ადგილის ზუსტად განსაზღვრას, რომელიც მას მეცხრაშემეტე საუკუნის მეორე ნახევრის აზროვნების განვითარებისა და ქართული ინტელიგენციის ისტორიაში უნდა მიეკუთვნოს.

იაკობ გოგებაშვილის ეროვნული მიმართულება და სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი, რომელნიც ერთის მხრით, „საქართველოს ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობის ყველაზე პოპულარული საზოგადო მოღვაწის“ („პრავდა“) ილია ჭავჭავაძის, ხოლო მეორეს მხრით რუსული პროგრესული და რევოლუციურ-დემოკრატიული ლიტერატურის გავლენით შემუშავდნენ, არსებითად XIX საუკუნის მეორე ნახევრის, ცარიზმის კოლონიური პოლიტიკით უქაყოფილო, რევოლუციურად განწყობილი ქართველი დემოკრატიული ფენების სულსკვეთებას, მისწრაფებასა და ინტერესებს გამოხატავდნენ. დემოკრატიული ფენებიდან გამოსული, რადიკალურად და რევოლუციურად განწყობილი „რაზნოჩინელი“ ი. გოგებაშვილი იმთავითვე გაემიჯნა ფეოდალურ-არისტოკრატიული ინტერესების და სულსკვეთების გამოხატველ ინტელიგენციას, რომელიც საქართველოს თავისუფლების იდეალებს ფეოდალურ საქართველოში ხედავდა და რომელსაც ძველი საქართველოს წოდებრივი ურთიერთობის აღდგენა მიაჩნდა ქართველი ხალხის ბედნიერებად.

იაკობი იბრძოდა არა ძველი ფეოდალური საქართველოს აღდგენისათვის, არამედ ახალი წყობილების დამყარებისათვის, სადაც შრომა და მშრომელი ხალხი იქნებოდა გაბატონებული: „ჩვენს პატრიოტებს სურთ არა მკედრის აღდგენა, არამედ ცოცხლის გამოყვანა ჭაობიდან. ივინი ნატრობენ იმასვე, რასაც მოისურვებდნენ, ჩვენს ქვეყანაში რომ ემოქმედნათ, რუსეთის უნიჭიერესნი მოღასავლეთენი: ბელინსკი, დობროლიუბოვი, ავტორები რომანებისა: „ვინ სტყუის“, და „რა ვენათ“, „შჩედრინი და სხვანი!“—განაცხადა მან 1882 წელს, და იაკობ გოგებაშვილის ამ განცხადებაში ნათლად და ამომწურავად არის მოცემული მისი სამოქმედო პროგრამის შინაარსი ეროვნულ-განმათავისუფლებელი და სოციალურ-პოლიტიკური ბრძოლის ასპარეზზე.

ეს არის სამოქმედო პროგრამა რუსეთის გამოჩენილი რევოლუციურ-დემოკრატებისა, რომლებიც იბრძოდნენ თავის ქვეყანაში სოციალური უთანასწორობის მოსპობისა და ისეთი საზოგადოებრივი წყობილების დამყარებისათვის, რომელიც ხალხს საშუალებას მისცემდა აქტიურად გამოეყვინებინა მანამდე დახშული თავისი შემოქმედებითი ეროვნული ძალები.

იაკობ გოგებაშვილიც, როგორც თვითონ აცხადებს, ამავე მიზნებისათვის იბრძოდა თავის ქვეყანაში და მისი ბრძოლის სამოქმედო პროგრამაც რევოლუციურ-დემოკრატიულ შინაარსს ატარებდა.

იაკობ გოგებაშვილი ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში, მხოლოდ დემოკრატიულ ფენებს ემყარებოდა და ამ მხრივ იგი განსხვავდებოდა

1 ი. გოგებაშვილი. რჩული ნაწერება, ტ. II, პიროფ. თავიშვილის რედაქციით, 1940 წ., გვ. 114.

XIX საუკუნის იმ მოღვაწეთაგან, რომლებიც ქართველი ხალხის წინსვლისა და განთავისუფლების საქმეში გლეხკაცობასთან ერთად თავადაზნაურობასაც მამოძრავებელ ძალად აღიარებდნენ.

იაკობ გოგებაშვილი კი მხოლოდ მშრომელ გლეხკაცობასა და მუშებში ხედავდა თავისი საყვარელი სამშობლოს მომავალი ბედნიერების გამქედს. მან ჯერ კიდევ 1883 წელს გადაჭრით განაცხადა, რომ „თავადაზნაურობას, როგორც წოდებას, მომავალი არა აქვს“; იგი აღარ წარმოადგენს ქვეყნის წინსვლისათვის რაიმე სასარგებლო ძალას, რომ ის, პირიქით, გზაზე ეღობება ამ წინსვლას, როგორც ცხოვერებიდან უკვე გარიყული და საზოგადოების მეტ-ხორცი-ზედმეტი ბარგიო.

ი. გოგებაშვილისთვის ერი ქართველი ხალხის ის დიდი უმრავლესობაა, რომელსაც შრომის პრინციპის დროშა აერთიანებს. მხოლოდ შრომის პრინციპის დროშის ქვეშ დარაზმულ, სწავლა-ცოდნით შეიარაღებულ ხალხს შეუძლია ეროვნული და სოციალური უთანასწორობის მოსპობა. ეროვნული კულტურა, ენა, ერის სიამაყე, მისი სახელი, შემოქმედებითი ნიჭი და სასიცოცხლო ძალაც მხოლოდ მშრომელი ხალხის, ამ დაბალი წოდების, საუნჯეს წარმოადგენს. ამ წოდების გარეშე ეროვნული პროგრესი-წარმატება წარმოუდგენელია. რაც შეეხება თავადობას, გოგებაშვილის აზრით, „უმეტეს ნაწილად იგი სრულიად მოშორებულია შრომის პრინციპს, უსაქმობაში არის ჩარეული... ჩვენი მსხვილი თავადები, თითო-ოროლას გარდა, თვითონ არაფერს აკეთებენ, ცხოვრება კი მდიდრული უყვარსთ... ამ დამქვანარს და გამხმარს ტოტებს ჩვენი ერისას, მათი სიმაღლის გამო, ყველა ხედავს, საღი, დაბალი ტოტები, საღი ტანი და ფესვები თვალში არავის ეჩხირება; — ამით სარგებლობენ ჩვენი მტრები და მომაკვდავ ერად გამოეყავართ. ამ სახით, ეს მაღალი გამხმარი ტოტები მთელს ერს უტეხენ სახელს... ამიტომ... რაც უფრო ადრე გადაჰკაფავს ცხოვრების ჩარხი ამ გამხმარ ტოტებს, მით უფრო სარგო იქნება ჩვენი ქვეყნისათვის“, სწერდა ი. გოგებაშვილი 1899 წელს და დაასკენიდა: „ჩვენდა სანუგეშოდ, საქართველოში ვაყვითლებულ-გამხმარ ფეოდალების რიცხვი მცირეა და მათი გამოკლება ცოცხალ ქართველთ რიცხვიდან დიდ ზიანს არ შეადგენს ქვეყნისათვის, თუ სხვა წოდებანი აღიჭურვებიან ქვეშარიტი განათლებით, შეერთდებიან მშურად შრომის დროშის ქვეშ და მტკიცედ დაადგებიან ეროვნულის პროგრესის გზას“.<sup>1</sup>

ამრიგად გოგებაშვილის ვაგებით ქვეყნის საღი ფესვები, საღი ტანი და ტოტები დაბალი წოდების ხალხია — მუშათა კლასი და გლეხკაცობა. მას ღრმად სწამს ამ ხალხის მომავალი — და არ აზნინებს ქართველი ხალხის დამეჩილება, უუფლებობა, დროებითი მიძინება.

გოგებაშვილი ზიზით უყურებდა გადაგვარების მოსურნე უნიდაგო და უთვისტომო არისტოკრატიულ ინტელიგენციას, რომელიც საქართველოს აყვავებისა და წინსვლისათვის ქართველ ხალხში ვერ ხედავდა დასაყრდენ ძალას, არ სწამდა ჩვენი ხალხის შემოქმედებითი ნიჭი და სასიცოცხლო ძალე-

<sup>1</sup> იაკობ გოგებაშვილი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 319 — 329.

ბი, ქართულ ენასა და კულტურას უარყოფდა და ყველაფერს უცხოურს ქედს უხრიდა და ელოლიავებოდა.

„თვის ტომის დამწუნებელსა ქირი მიუვა კარზედა.  
გადაგვარების მოსურნე ბუნებისაგან კრულია,  
მისი პირადი ღირსება ყოველგან დანაგრულია“-ო.

ასე ჰკიცხავს დიდი ქართველი პოეტი აკაკი წერეთელი თავის უარყოფელ, თავის ბუნების მგმობელ, გადაგვარებულ ქართველ არისტოკრატისა, და გოგებაშვილიც ჩვენს დიდ პოეტთან ერთად ზიზღით და წყევლა-კრულვით იხსენიებს და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას უცხადებს უცხოეთის ბურჟუაზიული კულტურით გატაცებულ უგვარტომო კოსმოპოლიტებს: „ბევრს არ სწამს მომავალი ქართველის ერისა და სიკვდილს უწინასწარმეტყველებს მას. შავრამ მათ რომ დაახლოებით გაიცნონ, თუ რა გამრყენელის და უდიერის ბიუროკრატის“ ხელში იყო ჩგი მთელის საუკუნის განმავლობაში, და მიუხედავად ამისა, მან შეინარჩუნა ძალა ბრძოლისა და სიცოცხლისა, იგინი ირწმუნებენ ამ ერის მომავლსა... ირწმუნებენ მომავალს არა ქართველის არისტოკრატისას, რომელიც ქენებით მისწრაფება უკან, უფსკრულისაკენ... არა ქართველი ბურჟუაზისას, რომელიც უღლეური ბავშვივით წყალდება დედის მუცელში, არამედ მშრომელი ქართველი ხალხისა.“<sup>1</sup>

„Народ... один хранит в себе огонь национальной жизни и свежий энтузиазм убеждения, погасший в слгях „образованного“ общества“ სწერდა ყველაზე უფრო თანამიმდევარი თავისი დროის მოწინავე რუს ადამიანთა შორის რევოლუციონერი და დემოკრატი ბელინსკი, რომელიც ებრძოდა გაბატონებული კლასების ქედმოხრილობას და მლიქვნელობას უცხოური კულტურის წინაშე,—და იაკობ გოგებაშვილიც, რომელიც აგრეთვე რევოლუციური დემოკრატიზმის პოზიციებიდან იხილავდა თავისი ქვეყნის საზოგადოებრივ განვითარების საკითხებს, მხოლოდ მშრომელ ხალხში ხედავდა ეროვნული კულტურის დამცველს და მომავლის იმედს.

მას ღრმად ჰქონდა შეგნებული, რომ ხალხთა მასების პატრიოტიზმი მშრომელთა მძლავრი იარაღია თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში; ამიტომ იგი ყველა საშუალებით ცდილობდა გაეღვივებინა და განემტკიცებინა ხალხის ფართო მასებში მშობლიური ქვეყნისადმი ღრმა სიყვარულისა და თავდადების გრძნობა. „მამულის სიყვარული, მხურვალე ეროვნული გრძნობა, არის უპირველესი თანხა ქვეყნის ბედნიერებისათვის... მამულის ქეშმარიტი სიყვარული იმისთანა მძალადი გრძნობაა, რომლის აღწერა ადვილი როდია... ეროვნულს, პატრიოტულს გრძნობასაც დიდი

<sup>1</sup> იაკობ გოგებაშვილი, რჩეული ნაწერები. ტ. II, გვ. 31.

ხნის ზრუნვა, მოვლა, ყურის გდება და ერთგულება ესაჭიროებაო<sup>1</sup>, გვასწავლიდა ვოგებაშვილი და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დიდ მებრძოლებთან — ილიასა და აკაკისთან ერთად — იაკობმაც მთელი თავისი შესანიშნავი სიცოცხლე საღი პატრიოტიზმის აღზრდისათვის ზრუნვა-მოვლასა და ერთგულებას შეაღია.

ვოგებაშვილს სძულდა სიტყვით მოლაყბე ცრუ — პატრიოტები. იგი პატრიოტისაგან ქვეყნისათვის თავდადებას, საქმით ერთგულებასა და გულშემატკივრობას მოითხოვდა:

„ვის ჰქვიან პატრიოტი? მას, ვისაც სიცოცხლის უმთავრეს საგნად გაუხდია მშობლიურის ქვეყნის ბედნიერება, ვინც თავგამოდებულად და შეუპოვრად ებრძვის დაუღალავად ყოველს დაბრკოლებას, რომელიც მის სამშობლო ქვეყანას წარმატების გზაზედ გადალობებია, ვისაც მთლად დაკარგულად მიანიხნია ყოველი წამი, რომელიც არ მოუხმარნია მამულის ზრუნვისათვის, ვისაც ედაგვის გული მამულის ტანჯვითა, უხარის მისი ღზენითა, ვინც ბედნიერია მისი ბედნიერებით, უბედურია მისი უბედურებით, და ვინც მზად არის ღიმილით შესწიროს მას თავისი სიცოცხლე“<sup>2</sup>.

თავისი ქვეყნის მგზნებარე პატრიოტი იაკობ ვოგებაშვილი წინააღმდეგი იყო ყოველგვარი ეიწრო-ნაციონალისტური მიმართულების. იგი, გულწრფელი სიყვარულის და პატივისცემის გრძნობით გამსჭვალული სხვა ერებისადმი, მკაცრად ილაშქრებდა იმ კაცობაშია ნაციონალისტების, — ურა-პატრიოტების, წინააღმდეგ, რომლებიც ქართველი ხალხის ინტერესებს, დიდი რუსი ხალხის ინტერესებს უპირისპირებდნენ და მეზობელი ერებს სიძულვილს ჰქადაგებდნენ.

იაკობ ვოგებაშვილის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დროშას მისი საყვარელი პოეტის აკაკი წერეთლის ღრმად კეთილშობილი და ინტერნაციონალური შინაარსის გამომატველი სიტყვები ამკობდა: „დე სუყველაჲ იბედნიეროს თვის სამშობლოში, თავის მხარეში, რომ მოამე ვიყოთ ერთი მეორის და არა მონა, ყმა და ფარეში“.

იაკობი სასტიკი წინააღმდეგია ისეთი პატრიოტებისა, რომელთაც უნდათ სხვის უბედურებაზე ააშენონ თავიანთი ქვეყნის ბედნიერება: „ჩვენი მამულიშვილები, — ამბობს ვოგებაშვილი, ნატრულობენ ჩვენი ქვეყნის ბედნიერების მიღწევას წმინდა და სწორი გზით, იმ გზით, რომელიც სხვის უბედურებაზედ არ არის გავლებული“.

რუსეთის სახელმწიფოში შემაველ ერების თავისუფალი განვითარება, ამ ერთა შორის ეროვნული შუღლის მოსპობა და ძმური კავშირის დამყარება შეადგენდა ვოგებაშვილის უგულწრფელეს მისწრაფებას; მაგრამ ეს მისწრაფება ძველი რუსეთის ფეოდალურ-ბურჟუაზიული რეჟიმის პირობებში განუხორციელებელ ოცნებად რჩებოდა, რადგან ამის, განხორციელება. როგორც

<sup>1</sup> იაკობ ვოგებაშვილი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 111.

<sup>2</sup> იქვე.



გვასწავლის ამხ. სტალინი, მხოლოდ კაპიტალიზმის განადგურების შემდეგ შეიძლება:

„ერთადერთი რეჟიმი, რომელსაც შეუძლია გადაჭრას ნაციონალური საკითხი, ე. ი. რეჟიმი, რომელსაც შეუძლია შექმნას სხვადასხვა ხალხთა და ტომთა მშვიდობიანი მშენებლობის და ძმური თანამშრომლობის უზრუნველყოფელი პირობები, საბჭოთა ხელისუფლების რეჟიმი“.

ზედმეტია იმის მტკიცება, რომ კაპიტალის ბატონობის, საწარმოო საშუალებათა კერძო საკუთრების და კლასების არსებობის დროს არ შეიძლება უზრუნველყოფილი იქნეს ეროვნებათა თანასწორობა, რომ სანამ კაპიტალის ძალაუფლება არსებობს, სანამ სწარმოებს ბრძოლა საწარმოო საშუალებათა დასაპყრობად, ეროვნებათა არავიათარი თანასწორობა არ შეიძლება იქნეს ისე, როგორც არ შეიძლება იქნეს თანამშრომლობა ერთა მშრომელ მასებს შორის. ისტორია ამბობს, რომ ნაციონალური უთანასწორობის მოსპობის ერთადერთი საშუალება, დაჩაგრულ და დაუჩაგრავ ხალხთა მშრომელი მასების ძმური თანამშრომლობის რეჟიმის დაყარების ერთადერთი საშუალება ეს კაპიტალიზმის ლიკვიდაცია და საბჭოთა წყობილების დამყარებაა.<sup>1</sup>

დიდი ქართველი პატრიოტი — იაკობ გოგებაშვილი ქართველი ხალხის ბედნიერებას რუსი ხალხის ბედს უკავშირებდა. მან დაგმო მეფის თვითმპყრობელური რუსეთი თავისი კოლონიური პოლიტიკით, რომელიც ხალხთა საპყრობილეს წარმოადგენდა, და ხელი გაუწოდა მოწინავე, ახალი დემოკრატიული წყობილებისათვის მებრძოლ რუსეთის ხალხს. „მოწინავე რუსეთს ყოველთვის მხარი უნდა მივსევთ, როცა იგი ცდილობს აიცილოს თავიდან რომელიმე სენი, რომელიმე უკუღმართი წესწყობილება. ამას მოითხოვს ჩვენი მომავალი ბედნიერება“<sup>2</sup>, სწერდა იგი 1905 წ., და რუსეთში გაბატონებული უკუღმართი წესწყობილების წინააღმდეგ ამხედრებული გოგებაშვილი ბრძოლისაკენ მოუწოდებდა თავის საყვარელ ხალხს და ურჩევდა, რომ მოწინავე რუსეთს ამოდგომოდა გვერდში ახალი წყობილების დასამყარებლად და ქვეყნის დემოკრატიზაციისათვის ბრძოლაში. იაკობ გოგებაშვილი მედგრად ებრძოდა მეფის რუსეთის კოლონიურ პოლიტიკას, რომელსაც ცარიზმის ერთგული დარაჯები, ხალხის სულთამხდელი იანოვსკ-ვისტორგოვეები ახორციელებდნენ საქართველოში და რაც ქართველ ხალხში დამნახურებულ და სამართლიან აღშფოთებას იწვევდა მეფის რუსეთის წინააღმდეგ.

დიდი ქართველი პოეტების ილიას და აკაკის ღირსეული თანამებრძოლი იაკობი არაერთხელ ამხედრებულა და თავგანწირულად მებრძოლებია მეფის ამ გაიძვერა მოხელეთა გამარჯვებულ და გამბრწყინელ საგანმანათლებლო პოლიტიკას. ეს პოლიტიკა ხელს უწყობდა დაჩაგრულ ერში (რომელიც ყოველთვის ვერ ასხვავებდა რუსეთის მთავრობას რუს ხალხისაგან) რუსი ხალხისადმი უნდობლობისა და სიძულვილის გრძობის გაღვივებას. დაჩაგრული

1 ი. სტალინი, მარქსიზმი და ნაციონალურ-კოლონიალური საკითხი, გვ. 103.

2 იაკობ გოგებაშვილი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 433.

ერების წინააღმდეგ მიმართულ ცარიზმის ამ მხეცური და გამხრწნელი პოლიტიკის შინაარსსა და მიზანს იშვიათის სიცხადით და ამომწურავად ამხელს ი. ბ. სტალინი თავის გენიალურ წიგნში „მარქსიზმი და ნაციონალურ-კოლონიალური საკითხი“: „ცარიზმი განზრახ ავითარებდა განაპირა ქვეყნებში პატრიარქალურ ფეოდალურ ჩაგვრას იმ მიზნით, რომ მასები მონობაში და მცონარეობაში ჰყოლოდა. ცარიზმმა განზრახ დაასახლა განაპირა ქვეყნების კუთხეები კოლონიზატორული ელემენტებით იმ მიზნით, რომ ადგილობრივი მცხოვრებნი ყველაზე უარეს რაიონებში გაეძეებინა. ცარიზმი ავიწროვებდა, ხოლო ზოგჯერ პირდაპირ აუქმებდა ადგილობრივ სკოლას, თეატრს, საგანმანათლებლო დაწესებულებებს იმ მიზნით, რომ მასები ბენლეთში დაეტოვებინა. ცარიზმი ძირშივე ჰკვეთდა ადგილობრივი მოსახლეობის საუკეთესო ადამიანთა ყოველგვარ ინიციატივას. ბოლოს, ცარიზმი ახშობდა განაპირა ქვეყნების ხალხის მასების ყოველგვარ აქტივობას. ყოველივე ამით ცარიზმმა დათესა მკვიდრ მოსახლეობაში უღიდვის უნდობლობა, — რომელიც ზოგჯერ გადადიოდა მტრულ დამოკიდებულებაში, — ყოველივე რუსულისადმი<sup>1</sup>. გოგებაშვილს ასეთი პოლიტიკა საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ბოროტ-მოქმედებად მიაჩნდა: „ამ უსამართლობას, ამ ბოროტმოქმედებას განათლების მოღვაწეთა ბევრი მავნებელი შედეგი მოაქვს, როგორც საზოგადოებისათვის ისე სახელმწიფო სარგებლობისათვის. ენა საგანძეა ხალხის ჰკუისა, ზნეობისა, გრძობისა, ენა სულია ხალხისა, ენის წართმევა სულთა-ხდაა, და მოდი და მერე იკითხე, ხალხს რატომ არ უყვარს. ვინ? სულთამხდელი? ეგ ბუნების წინააღმდეგია... სულთამხდელს კაცი ვერ შეიყვარებს<sup>2</sup>, სწერდა იაკობ გოგებაშვილი იანოვსკის და მისი დამქაშების წინააღმდეგ, რომლებიც სასტიკად სდევნიდნენ ქართულ ენას და ყოველმხრივ ავიწროებდნენ ქართველი ერის კულტურის განვითარებას. ველიკოდერჟავინკული შოვინიზმის მოციქულებს, რომლებიც ქართველებს მშობლიური ენისა და კულტურის გამოსარჩლებისათვის სეპარატიზმს სწამებდნენ, გოგებაშვილმა სასტიკი პროტესტით უპასუხა: „ეროვნულს პრინციპს, ეროვნულს მიმართულებას არავითარი კავშირი არა აქვს პოლიტიკურს სეპარატიზმთან... ისტორიის მსვლელობამ აუცილებელი გახადა იყოს საქართველო განუყრელი ნაწილი რუსეთის სახელმწიფოსი, მაგრამ ნაწილი თავისებური: საკუთარი ენით, კულტურით, თვითმმართველობით. ამიტომ ქართველებს სეპარატიზმს დააბრალებს მხოლოდ მტერი, ცილისმწამებელი, პროვოკატორი, გამსქვალული ბოროტი წადილით — გააძლიერებინოს ქართველების წინააღმდეგ რეპრესიული ღონისძიებანი“<sup>3</sup>.

გოგებაშვილმა სწორად შეაფასა რუსეთთან კავშირის და ერთობის მნიშვნელობა, რომ შექმნილ ისტორიულ პირობებში საქართველოს სხვა გზით არ შეეძლო წინსვლა და განვითარება, და კატეგორიულად განაცხადა: „ეს პო-

<sup>1</sup> ი. სტალინი, მარქსიზმი და ნაციონალურ-კოლონიალური საკითხი გამოც., 1934 წ.

<sup>2</sup> იაკობ გოგებაშვილი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 65.

<sup>3</sup> ი. გოგებაშვილი, რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერები 1910 წ.

ლიტერატურის ერთობა, „შეურყვეველი კავშირი რუსეთთან ჩვენთვის იყო და იქნება ძვირფასი საუნჯეო“<sup>1</sup>.

იაკობ გოგებაშვილის ასეთი დამოკიდებულება რუსეთისადმი გამომდინარეობდა არა მარტო ისტორიის იმ მსვლელობის შეგნებით, რომელმაც აუცილებელი გახადა საქართველოს რუსეთთან შეერთება, არამედ და უმთავრესად იმ შეგნებითაც, რომ „რუსეთი... იყო ის ერთადერთი პროგრესული ძალა, რომელსაც შეეძლო საქართველოს მიწა-წყლის გაერთიანება და ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარებისათვის საჭირო პირობების უზრუნველყოფა“<sup>2</sup>.

რასაკვირველია, გოგებაშვილის ნათელ გონებას და ფხიზელ თვალს არ გამოპარვია, ერთის მხრით, რუსეთის ფეოდალურ-მონარქიული წყობილება — თავისი გახრწნილი ბიუროკრატიული აბარატი და კოლონიური პოლიტიკით, რომელიც საშინლად ზღუდავდა, წინ ეღობებოდა და ფეხქვეშ თელავდა არა მარტო დაჩაგრული ერების თავისუფლებას, არამედ რუსი ხალხის თავისუფლებას, წინსვლასა და აღორძინებასაც, ხოლო მეორე მხრით ამ წყობილების წინააღმდეგ მებრძოლი რუსი ხალხი და ამ ხალხის მისწრაფებათა გამომხატველი მოწინავე, პროგრესულია მოაზროვნე ინტელიგენცია, მისი საუკეთესო წარმომადგენლები — რევოლუციონერ-დემოკრატების სახით. გოგებაშვილი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პირველს ზიზით უყურებდა და სასტიკად ებრძოდა, ხოლო მეორეს დიდად აფასებდა და მისადმი გულწრფელი პატივისცემისა და სიყვარულის გრძნობით იყო გამსჭვალული. ეს პატივისცემა და სიყვარული რუსი ხალხისადმი, მისი ენისა და ლიტერატურისადმი არა ერთ-ზელ გამოხატა მან როგორც პუბლიცისტურ წერილებში, აგრეთვე პრაქტიკულ მრღვაწეობაში. იგი ცდილობდა რუსული ენისა და ლიტერატურის და რუსეთის მოწინავე ინტელიგენციის იდეების ფართოდ გავრცელებას ქართველ ხალხში: „რაც შეეხება კერძოდ რუსულს ენასა, ჩვენთვის ქართველებისათვის მას მრავალგვარი მნიშვნელობა აქვს. იგი არის, პირველად სახელმწიფო ენა, სავალდებულო ყველა ქვეშევრდომ ხალხისათვის, მეორედ, იგი კულტურული ენაა, რომლის დახმარებით ვითვისებთ ევროპულს განათლებას და რომელსაც მიუცილებლად მოელის მნიშვნელობა ერთის მსოფლიო ენისა; მესამედ, იგი არის ენა ხალხისა, რომლის ბედთან ისტორიამ და ხალხის სურვილმა შეაერთა ბედი საქართველოსი. ამიტომ რუსული ენა უნდა მიუცილებლად მისდევდეს ქართულ ენასა, როგორც სკოლაში, ისე სახლობაში და ქართველნი უნდა ეცდილობდეთ შევითვისონ ეს ენა და მისი ლიტერატურა“<sup>3</sup>. ამას ურჩევდა გოგებაშვილი თავის ხალხს და თან ხალხის სურვილსაც ამკადვნებდა. „ჩვენ ხალხს სურს იცოდეს რუსული ენაც. ეს სურვილი, უნდა მართალი ვთქვათ, იმდენად საგრძნობელია, რომ სწახალხო სკოლა, რომელშიაც რუსულს ენას ადგილი არ ექნება, ვერ მოიპოვებს ჩვენის ხალხის სრულს სიმპატიას“<sup>4</sup>.

<sup>1</sup> ი. გოგებაშვილი, „რანი ვიყავით გუშინ“, გვ. 26.

<sup>2</sup> საქართველოს ისტორია, ნაწილი I, 1946 წ., გვ. 419.

<sup>3</sup> იაკობ გოგებაშვილი, რჩეული ნაწარები, ტ. II, გვ. 378.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 451.

ქართულ სახალხო სკოლებში რუსული ენის სწავლების სასურველ სიმაღლეზე აყვანას და მტკიცე საფუძველზე დაყენებას ძალზე აფერხებდა რიგობრივი, პედაგოგიურად მისაღები სახელმძღვანელოების უქონლობა. სამოსწავლო მთავრობა ყოველგვარი საშუალებით ცდილობდა, რომ ქართულ სკოლებში გაგებატონებინა ქართულ ნიადაგს დაშორებული ისეთი სახელმძღვანელოები, სწავლების ისეთი მეთოდი, რომელიც გამორიცხავდა მშობლიური ენის დახმარებას რუსული ენის შესწავლის საქმეში. დიდმპყრობელური შოვინიზმის წარმომადგენლები იანოვსკ — ვოსტოროგოვ-ლევიტსკები ცდილობდნენ სახალხო სკოლაში ეგრედწოდებული მუნჯური მეთოდის გაგებატონებას, რომელიც ამახინჯებდა და აჩლუნგებდა ნორჩი თაობის გონებრივ განვითარების საქმეს. გოგებაშვილი სასტიკი წინააღმდეგი იყო ბავშვის გონების დამამახინჯებელი მუნჯური მეთოდის და ეროვნულ ნიადაგს და თავისებურებას დაშორებული — ყველა ერისათვის ერთნარი საზომით შედგენილი — კონსერვატიული სახელმძღვანელოების.<sup>1</sup>

მან არა მარტო პრესის საშუალებით აიმაღლა ხმა ამ სიმახინჯის წინააღმდეგ, არამედ პრაქტიკული ნაბიჯიც გადადგა და ქართულ სკოლებში რუსული ენის სწავლების გაადვილები და შეგნებულად შეთვისების მიზნით შეადგინა სახელმძღვანელო „რუსკოე სლოვო“, რომელმაც დაუფასებელი სამსახური გაუწია ჩვენს მოზარდ თაობას რუსული ენის შეგნებულად შესწავლის საქმეში. «Неудовлетворенность руководства, по которым происходило и происходит до сего времени преподавание русского языка в грузинских школах, побудила меня составить новое руководство, под заглавием «Русское слово», которое имеет своею задачею облегчить и ускорить разумно-сознательное усвоение нашего государственного языка подрастающим поколением Грузии» — სწერდა „რუსსკოე სლოვოს“ დანიშნულებისა და მნიშვნელობის შესახებ განმარტებით ბარათში გოგებაშვილი<sup>2</sup> და გრძობდა რა დიდ პასუხისმგებლობას ახალი თაობის სწავლა-აღზრდის საქმეში, ზრუნავდა კიდევ უფრო გაუმჯობესებინა თავისი სახელმძღვანელო:

«Полная законченность «Русского слова» дело будущих изданий... я употреблю все свои усилия к тому, чтобы довести в будущем до возможного для моих сил совершенства, ко благу моей родины, материльное, умственное и нравственное преуспеяние которой находится в прямой зависимости от того, с какою сознательностью и прочностью будет усваиваться ее детьми русский язык и русское просвещение».<sup>3</sup>

„რუსსკოე სლოვოს“ დიდი დამსახურება და განსაკუთრებული მნიშვნელობა ჩვენი ახალი თაობის სწავლა-აღზრდის საქმეში — იშვიათი სიზუსტით და გულწრფელობით გამოხატა — გოგებაშვილის საფლავზე წარმოთქმულ სიტყვაში — მუშა სართიშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ გოგებაშვილმა „შეადგინა ქართველთათვის რუსული ენის შესწავლის გამაადვილებელი სახელმძღვანელო „რუსსკოე სლოვო“, რომელიც მანანასავით მოგვესწრო და გვიხსნა გონებრივ

<sup>1</sup> საბუთი № 82.

<sup>2</sup> საბუთი № 55.

<sup>3</sup> იქვე.

## მუწყუსი ვიდეო



### მუწყუსის ვიდეო მუწყუს ვიდეო მუწყუსი

მუწყუსი ვიდეო მუწყუსი: 1. მუწყუსი ვიდეო; 2. მუწყუსი ვიდეო; 3. მუწყუსი ვიდეო;  
4. მუწყუსი ვიდეო; 5. მუწყუსი ვიდეო; 6. მუწყუსი ვიდეო.

ცენტრის მიერ აკრძალული შვედლინგის კარიკატურა მუწყუსი მეთოდის შესახებ  
გაზეთ „ცნობის ფერეცელისათვის“. დონ. 480, სპ. 1872, ფერ. 4, 1903 წ.



ვად დამახინჯებისაგან. ამ სახელმძღვანელოს ღირსება და სარგებლობა ჩვენთვის განსაკუთრებით იმაში მდგომარეობს, რომ აგვაცდინა: ძალღებვიით უფასა, კატეზივით კნავილსა, მგლებივით ყმუილსა, ტურბივით ჩხავილსა, ბაყაყებივით ყყინსა, მამლის ყყილიყოს და სხვ., მოგვცა საშეაღება ჩვენთვის გაუგებარი რუსული ენა შევისწავლოთ გაგებული დედაენის შემწეობითა და გონებრივადაც დავრჩეთ დაუმახინჯებელი.<sup>1</sup>

„რუსსკოე სლოვოს“ გავრცელებას სასტიკად ეწინააღმდეგებოდნენ ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკის წარმომადგენლები, რომელთაც არ მისწონდათ ქართულ-ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებული და ხალხის ყოფაცხოვრებასთან დაკავშირებული დემოკრატიული შინაარსის მატარებელი სახელმძღვანელო და, როდესაც მისი გავრცელება ვერ აკრძალეს, მოინდომეს სახელმძღვანელოდან დემოკრატიული შინაარსის გამოცლა. რეცენზენტები მოთხოვდნენ, რომ წიგნში ხსენებაც არ ყოფილიყო რევოლუციურ-დემოკრატიული მწერლების: ბელისსკის, ნეკრასოვისა, და დობროლუბოვის: «В виду того, что сочинения Добролюбова изъяты из библиотек, не следовало бы и упомянуть имени его в учебнике для начальной школы»<sup>2</sup> სწერდა „რუსსკოე სლოვოს“ ერთერთი რეცენზენტი. გოგებაშვილი გულის წყრობით აღნიშნავდა: «В рассказе о России упоминание имени Некрасова и Добролюбова в ряду замечательных русских писателей признано рецензентами неуместными на том основании, что сочинения этих писателей запрещены для библиотек средних учебных заведений».<sup>3</sup> და, აბათილებდა რა ასეთი მოთხოვნის უსაფუძვლობას, ის გაბედულად იცავდა, როგორც აღნიშნული მოთხოვნის, ისე სხვა ამავე შინაარსის მასალების დატოვების საჭიროებას სახელმძღვანელოში.

ქართული სახალხო სკოლის საღ პედაგოგიურ პრინციპზე, დემოკრატიულ საფუძველზე და ეროვნულ ნიადაგზე ჩამოყალიბების საქმეში იაკობ გოგებაშვილის როლი განსაკუთრებული და დაუფასებელია. მის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოები — „დედაენა“ და „ბუნების კარი“ ნამდვილ ჩირაღდანს წარმოადგენდნენ წყვედიადი მოცულ ნაციონალურ-კოლონიური და სოციალური წაგვრის რკალში მომწყვედველ საქართველოში. „დედაენა“ და „ბუნების კარი“ ქართველ მოზარდ თაობას თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე უხსნიდნენ განათლების კარს და უნათებდნენ გზას უკეთესი და ბედნიერი მომავლისაკენ.

„მისმა წიგნებმა, — სამართლიანად აღნიშნავს პროფ. გ. თავზიშვილი, — შექმნეს მიუვალი სიმაგრე ეროვნული კულტურის დასაცავად XIX საუკუნის მეორე ნახევარში და ხელუხლებლად შეიწახნეს ქართული ენის ფესვები მოთ-

<sup>1</sup> „იაკობ გოგებაშვილის სახსოვრად“, 1913 წ., გვ.

<sup>2</sup> დოკ. 54.

<sup>3</sup> დოკ. 55.

რისა და გადაგვარებისაგან. მარტო „დედაენა“ და „ბუნების კარი“ კმარა იაკობის სამარადისო ძეგლად ქართველი ხალხის ისტორიაში“<sup>1</sup>.

ი. გოგებაშვილმა ნამდვილი მამობრივი ამაგი და მზრუნველობა გაუწია ჩვენს სახალხო სკოლას და განათლების საქმეს საქართველოში. არც ერთი საკითხი, არც ერთი მხარე ხალხის განათლებისა და სახალხო სკოლის ჭანსად ზრინციბებზე მოწყობისა ი. გოგებაშვილის ყურადღებისა და მზრუნველობის გარეშე არ დარჩენილა. ამ დარგში მას ყოველგვარი წვრილმანიც კი აინტერესებდა. იგი სიტყვით და საქმით მთელი თავისი შესანიშნავი სიცოცხლის განმავლობაში დაუღალავად იბრძოდა მშრომელი ხალხის განათლებისათვის და სახალხო სკოლის სადარაჯოზე იდგა. გოგებაშვილზე მთლიანად შეიძლება ვაფიქროთ ის სიტყვები, რომელიც მანვე რუსი გამოჩენილი პედაგოგის კორდის შესახებ თქვა: „არ დარჩენილა თითქმის არც ერთი მხარე განათლებისა, რომელსაც იგი არ შეხებოდეს, რა საგნები უნდა ისწავლებოდეს სახალხო სკოლაში, რა სივრცე უნდა ჰქონდეს ყველა საგანს, რამდენი დრო უნდა მოანდომოს მასწავლებელმა თვითეულს საგანს, რა ხერხები, რა მეთოდები უნდა ხმარებულ იქმნან სწავლების დროსა, რამდენი ხანი უნდა გაგრძელდეს სწავლა დღეში და წელიწადში, როგორი ურთიერთობა უნდა არსებობდეს პირველ დაწყებითს სკოლისა და სამეურნეო-სახელოსნო სკოლის შუა, რა ღონისძიებანი არიან საჭირონი, რომ სახალხო სკოლაში კურსდამთავრებულებმა არ დაეიწყონ, და ცოდნის შექმნა განაგრძონ შემდეგში, რამდენად საჭირო და სასარგებლო არიან „საკვირაო“ და გასამეორებელი სკოლები, როგორ უნდა იქმნან იგინი მიმართულნი... იგი ერთსა და იმავე დროს კიდევ სწერდა და კიდევ მოქმედებდა, თეორია და პრაქტიკა მას ტოლ-ტოლად მიჰყავდა. კაბინეთი და ცხოვრების მოედანი ერთმანეთზედ მოქმედებდნენ, ერთმანეთს შველოდნენ. ერთი ერთმანეთს ავსებდნენ“<sup>2</sup>. ეს სიტყვები ზედგამოჭრილია თვით ი. გოგებაშვილზე იმ დამატებით, რომ გოგებაშვილმა უშინსკის როლიც ღირსეულად შეასრულა სახალხო სკოლის შექმნისა და პედაგოგიური აზროვნების განვითარებისათვის — საქართველოში.

ისე, როგორც დიდი ქართველი განმანათლებელი ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილიც ხალხის განათვისუფლების, აღორძინების და წინსვლის საქმეში განათლებას-მეცნიერებას განსაკუთრებულ როლს და მნიშვნელობას აკუთვნებდა: „სწავლა, ცოდნა, მეცნიერება ღონეა იმისთანა, რომელსაც დღეს წინ ველარაფერი ვერ უდგება... ცოდნა უძლეველი ფარია არსებობისათვის, ბასრი ხმალია მოგერიებისათვის. თუ მაგაში ფეხი გავიდგით, თუ მაგაში წინ წავდექით, ჩვენი დაუძლეურებული ღონე ამოხეთქს მაგარ ფესვებს“<sup>3</sup>, სწერდა იაკობ გოგებაშვილი მეცნიერების მნიშვნელობის შესახებ, და

<sup>1</sup> გ. თაგზიშვილი, იაკობ გოგებაშვილი, 1949 წ., გვ. 10.

<sup>2</sup> იაკობ გოგებაშვილი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 137.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 53.

მთავარ დასაყრდენ ძალად ხალხის მდგომარეობის ძირეულად შეცვლისათვის სახალხო სკოლას აღიარებდა: „ნურცინ იტყვის რა შეუძლიან მარტო სახალხო სკოლას? იგი, როგორც პატარა აზარმაცი, თუ გონივრულად იქნება გამართული, ძირეულად შესცვლის ხალხის მდგომარეობასა და კეთილ დღეობის მტკიცე გზაზე დააყენებს მის არსებობას, თუ სხვა გარემოებაც ხელს შეუწყობს“<sup>1</sup>.

მაგრამ ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკა სწორედ იქითკენ იყო მიმართული, რომ ხალხის ფართო მასებისათვის სწავლა-განათლების გზა დაეწყო. იგი მხოლოდ შეძლებული, გაბატონებული კლასების ინტერესებს ემსახურებოდა.

გოგებაშვილი კი, დემოკრატიის ინტერესებიდან გამომდინარე, მთავრობის ამ უკუღმართ პოლიტიკას ებრძოდა და ენერგიულად მოითხოვდა სახალხო სკოლების გავრცელებას<sup>2</sup>. იგი გულსტიკივლით ვაღმოგვეცემს: „ხალხის სწავლების და განათლების საქმე ჩვენში ამ უკანასკნელ დრომდე იმაზედ იყო მიმდგარი, რომ მთავრობა მარტო საშუალო სასწავლებელთათვის ზრუნავდა... საშუალო სასწავლებელნი მარტო შეძლებულთათვის არის მისაწვდენი, ე. ი. თავადაზნაურობისათვის და მოქალაქობისათვის (ბურჟუაზიისათვის — ა. ი). ამის გამო მთავრობის მზრუნველობა განათლების შესახებ დღეს აქამომდე მარტო წოდებათა (сословный) განათლების მზრუნველობას მოასწავებდა და სხვას არაფერს. სხვა დანარჩენი ფრიად დიდძალი ხალხი კი, რომელიც კეშმარტი ღონეს შეადგენს, ამ მზრუნველობიდან გამოკლებული იყო. სწავლა და განათლება უფესვოა იქ, სადაც უდიდესი ხალხისა კარდაზმულია, მოკლებულია სწავლის სახსარსა“<sup>3</sup>.

იაკობ გოგებაშვილი იღწვოდა, რომ ფართო მასები შეეიარაღებინა ისეთი სწავლა-ცოდნით, რომელიც ხალხს რევოლუციურ ბრძოლაში მონარქიული წყობილების დასამხობად გამოადგებოდა. მხოლოდ ასეთი ცოდნა მიაჩნდა მას მძლეთა მძლე იარაღად, რომელიც ეროვნულსა და სოციალურ უთანასწორობას მოსობდა: „სწავლის საქმე გიმნაზიებში და სხვა საშუალო სასწავლებლებში, აგრეთვე უნივერსიტეტებში ისეა მოწყობილი, რომ იგინი წარმოადგენენ დიდს სამოსაწვლო ქარხნებს, სადაც მზადდებიან მოხელეები და ბურჟუები. ხალხს კი სრულიად სხვა ცოდნა სწყურთან, სწავლამ და ცოდნამ იგი უნდა მოაშალოს ერთი მხრივ ბუნებასთან ბრძოლისათვის, მეორე მხრივ სოციალურ ხანატრელ ცვლილებისათვის (ხ. ჩ. ა. ი.)“<sup>4</sup>.

<sup>1</sup> იქვე, გვ. 91.

<sup>2</sup> ამ მხრივ ფასდაუღებელია მისი შრომა, როგორც ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებლისა და გამოჩენილი მოღვაწის.

<sup>3</sup> ი. გოგებაშვილი, ჩრეული ნაწერები, ტ. II, გვ. 59, 64.

<sup>4</sup> იაკობ გოგებაშვილი, ჩრეული ნაწერები, ტ. II, გვ. 444.

ეს სიტყვები საკმაო სიციხადით გამოხატავენ იაკობ გოგებაშვილის რევოლუციურ-დემოკრატიულ მიმართულებას. ამაზე უფრო გარკვევით თვითმპყრობელობის დამხობისაკენ მოწოდება და ახალი დემოკრატიული წყობილების დასამყარებლად რევოლუციური ბრძოლისათვის ან როგორც თვითონ უწოდებს „სოციალურ სანატრელ ცვლილებისათვის“ დემოკრატიული ფენების ამოქმედება—მაშინდელ სულისშემძვლველ საცენზურო პირობებში წარმოუდგენელიც იყო. შემთხვევითი როდი იყო, რომ გოგებაშვილი ყოველთვის ესარჩლებოდა რუსეთის გამოჩენილ რევოლუციურ-დემოკრატიული ინტელიგენციის იდეებს. მას, როგორც ქართველი ხალხის, ისე კაცობრიობის პროგრესიეროვნული და სოციალურ უთანასწორობის მოსპობის გარეშე შეუძლებლად მიაჩნდა. იგი ჯერ კიდევ 1881 წელს, ილაშქრებდა რა სოციალური უთანასწორობისა და მშრომელთა ექსპლოატაციის წინააღმდეგ, წერდა: „აწმდგომი წესწყობილება კაცობრიობისა იმ გვარია, რომ გლახობა და მუშა ხალხი მთლად დამოკიდებულია, სრულიად დამონავეებულია მემამულეებისა და მეფებრივებისაგან, რომელნიც მათი გაჭირვებით სარგებლობენ და შრომის ფასს, რაც შეიძლება, ნაკლებს აძლევენ. ხალხი დილიდან საღამომდი შრომობს, წელებზედ ფებს იდგამს, მაგრამ უმეტესი დიდი ნაწილი მისი შრომის ნაყოფისა ჩადის მიწისა და ფულის პატრონების ჯიბეში... როდესაც გლახი და მუშანი განიცდიან ყოველს გვარს გაჭირვებას, ითმენენ შიმშილს, სიტიტვლეს, უბინობას და ცხრად არიან წელში მოკაკულნი, ამ დროს მიწისა და ფულის პატრონები სტოვრობენ განცხრომამში და ამყანი, წელში გამართულნი დასცურავენ კმაყოფილებათა ზღვაში. როდესაც პირველთ... კანისა და ძვლების მეტი არა აბადიათ რა, უკანასკნელნი აღარ ეტევიან კანში... და ჰყარან კეთილდღეობისაგან... სოციალისტებს სურთ კაცობრიობა გამოიყვანონ ამ გვარ გარყვნილ მდგომარეობიდან... მათ სურთ გამოიყვანონ შრომა მონობიდან, მეუფება ჩამოართვან კაპიტალსა და ჩააბარონ იგი შრომასა“.<sup>1</sup>

ამასვე იმეორებდა იგი 1905 წელს: „კაცობრიობა ვერას გზით ვერ ეღირსება კეთილდღეობას და ნორმალურს კულტურულს განვითარებას, ვიდრე ძირიანად არ შეიცვლება აწინდელი წესწყობილება, (ხ. ჩ. ა. ი.), რომლის წყალობით გამეფებულია ისეთი უდიდესი ნივთიერი უთანასწორობა, რომ ერთი მხარე ჰყარს სიმდიდრისაგან და მეორე ხილატაკისაგან... სწორედ ამის გამო ხდებოდა ისა, რომ ჩვენ ყოველთვის თანაგრძნობით ვუცქერდით ძირითადს აზრს ჩვენის მესამე დასელებისას, რომელნიც გამსჭვალულნი იყვნენ წადილით — დაეხსნათ მუშა ხალხი იმ მონობის უღლიდან, რომელიც მას ადგა კისერზე კაპიტალისტების წყალობით“.<sup>2</sup>

ამგვარად კაცობრიობის ბედნიერების ქვაკუთხედად ი. გოგებაშვილს სოციალური უთანასწორობის მოსპობა მიაჩნდა და იგი ყოველთვის იმ აზრს იტარებდა, „რომ ვიდრე მიწა სასეებით არ გადავა მხენელ-მთესველთა ხელში“

<sup>1</sup> • იაკობ გოგებაშვილი, რჩელი ნაწერები, ტ. II, გვ. 442.

<sup>2</sup> • იქვე.

ზავოდები და ფაბრიკები მუშათა ხელში, კაცობრიობაში ვერ დამყარდება ვერც საერთო კეთილდღეობა, ვერც თანასწორობა და ვერც თავისუფლებაო<sup>1</sup>.

აქვე უნდა დავსძინოთ, რომ იაკობ გოგებაშვილს, როგორც ამას შენიშნავს პროფ. დ. ლორთქიფანიძე, „არ ჰქონდა შეგნებული კლასთა ბრძოლის აუცილებლობა საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნის საქმეში“<sup>2</sup>, ან უფრო სიზუსტით რომ ვთქვათ, კლასთა ბრძოლის ზოგიერთი საშუალების გამოყენებას იგი ყოველთვის არ თვლიდა აუცილებლად. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ მისი სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებები ძირითადად 19 საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოყალიბდნენ, როდესაც ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობის ისეთი თვალსაჩინო წარმომადგენლები, როგორც ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, ვაჟა-ფშაველა, ალექსანდრე ყაზბეგი და სხვები უმთავრესად და განსაკუთრებით მეფის თვითმპყრობლობის კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ საბრძოლველად ამხვეილებდნენ ბრძოლის იარაღს, ამ ბრძოლის ასპარეზზე აერთიანებდნენ ქართველი ხალხის ყველა სასიცოცხლო ძალებს და კლასთა ბრძოლის გამწვავებას ერიდებოდნენ. ქართველ მესამოციანელთა სოციალურ-პოლიტიკური კონცეპციის ზოგიერთი სუსტი მხარე ნაწილობრივ იაკობ გოგებაშვილსაც ახასიათებდა. მაგრამ მიუხედავად ამისა, მთელი მისი მოღვაწეობა ეროვნული ჩაგვრისა და სოციალური უთანასწორობის წინააღმდეგ მიმართული რევოლუციური ბრძოლისაკენ მოუწოდებდა ქართველ მშრომელ ხალხს და, როგორც ქვემოთ დავინახავთ, თვით 1905 წ. რევოლუციაში ი. გოგებაშვილი აქტიურად მონაწილეობდა.

ხოლო „ისტორიული დამსახურება, — როგორც ამას გვასწავლის ლენინი — ფასდება არა იმის მიხედვით, თუ რა არ მოუციათ ისტორიულ მოღვაწეებს თანამედროვე მოთხოვნილებასთან შედარებით, არამედ იმის მიხედვით, თუ რა ახალი მოგვეცეს (ხაზი ყველგან ავტორისაა ა. ი.) მათ წინამორბედებთან შედარებით“<sup>3</sup>.

ამ თვალსაზრისით თუ განვიხილავთ საკითხს, უნდა გადაჭრით აღვიაროთ, რომ გოგებაშვილმა დიდი ნაბიჯი გადადგა წინ არა მარტო თავის წინამორბედებთან შედარებით, არამედ სამოციანი წლების ბევრ დემოკრატიულ მოღვაწესთანაც შედარებით. მის მიერ წარმოებული ქედმოუხრელი ბრძოლა ძველი, თვითმპყრობელური რეჟიმის წინააღმდეგ ქვეყნის დემოკრატიზაციისა, ეროვნული კულტურის აღორძინებისა და სახალხო სკოლის შექმნისათვის საქართველოს მშრომელი ხალხის ინტერესების დასაცავად იყო მიმართული და რევოლუციისა და სოციალიზმის საქმეს ემსახურებოდა.

პირველად ყოვლისა ი. გოგებაშვილი, როგორც ზემოდაც იყო აღნიშნული, იმ თავითვე ისეთი სწავლა-ცოდნის გავრცელებას მოითხოვდა, რომელიც

<sup>1</sup> იაკობ გოგებაშვილი, რჩული ნაწერები, ტ. I, გვ. 498. 1948 წ., გვ. 32.

<sup>2</sup> დ. ლორთქიფანიძე, დიდი ქართველა პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი, 1948 წ., გვ. 32.

<sup>3</sup> ვ. ლენინი, თხზულებანი, ტ. II, გვ. 122.



მშრომელ ხალხს „სანატრელი სოციალური ცვლილების“ მოსახდენად გამოადგებოდა. სწორედ ამ მიმართულებისათვის სდევნიდნენ მას მეფის მოხელეები. მეფის მთავრობა, რომელმაც გოგებაშვილი 1873 წელს სასულიერო სემინარიიდან გააძევა, მას ახსიათებდა, როგორც არაკეთილსამედო, მთავრობის საწინააღმდეგო მიმართულების ადამიანს, რომელიც ნ. ცხვედაძესთან ერთად მოწაფეებში მატერიალისტურ შეხედულებას ავრცელებდა, მეფის რეჟიმის წინააღმდეგ ილაშქრებდა და რესპუბლიკის სასარგებლო აზრებს გამოთქვამდა.<sup>1</sup> მეორე, და რაც უმთავრესია, 1905 წელს ი. გოგებაშვილი უყოყმანოდ დადგა რევოლუციური პროლეტარიატის და გლეხკაცობის მხარეზე და მიუხედავად მოხუცებულობისა ახალგაზრდული გატაცებით ჩაება განმათავისუფლებელ-მოძრაობაში.

განსაკუთრებით ხიბლავდა გოგებაშვილს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ აჯანყებული გურული გლეხკაცობის თავდადებული ბრძოლა და ასეთივე რევოლუციური ბრძოლისაკენ იწვევდა იგი მთელი საქართველოს მშრომელ ხალხს. აჯანყებული გურული გლეხკაცობის დასახმარებლად მან განმათავისუფლებელი ფონდი დააარსა, პირველმა შეიტანა 100 მანეთი და მოუწოდა ყოველ პატიოსან ადამიანს თავისი წვლილი აეღო ამ ფონდის სასარგებლოდ და მით წმინდა მოვალეობა შეესრულებინა.

„იმ ფულს, სწერდა ი. გოგებაშვილი 1905 წ., რომელიც ეხლა გროვდება გურულების სახელობაზე, არ შეშვენის შეწირულების სახელი. ეს წმინდა ვალის გადახდაა და არა შეწირულება...“

ღიახ, ჩვენ ყველანი ყელამდინ ვალში ვართ გურულების წინაშე. მათ პირველებმა გამოიღვიძეს, აირჩიეს განმათავისუფლებელი გზა, შეიმუშავეს ნამდვილი დემოკრატიული პროგრამა და ამ პროგრამის განხორციელებას შეუდგნენ სამაგალითო მხნეობით, იშვიათის გამბედაობით, საარაკო ვაჟკაცობით...

ისინი სიკვდილით სჯიდნენ სულმდაბალს ჯაშუშებს, რომელნიც მათ აბეზლებდნენ... და ათობით და ოცობით აგზავნიდნენ საპყრობილეში.

თუ ეხლა ყველას გაგვიტენდა დილა თავისუფლებისა და მოველით თავისუფლების შუადღესაც, თუ ქართველის ერის მეტ-ნაკლებლობით გატეხილი სახელი აღდგა და პატივით იხსენება კავკასიასა, რუსეთსა და მთელ განათლებულს კაცობრიობაში, ეს უმთავრესად გურულების მეოხებით, რომელთაც არ დაიშურეს საყოველთაო თავისუფლების მოპოვებისათვის არც თავისი რაინდული სახელი, არც თავისი ღვაწლიანი სიცოცხლე... მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, ქართლის გლეხობასაც კიდევ უფრო შავი დღე აღგია, ვიდრე გურულებსა. ეს გლეხობაც მტკიცედ და ერთგულად შეუდგა განმათავისუფლებელს მოძრაობას: მაგრამ სასტიკად დაისაჯა. მრავალ სოფელში ჩაუყენეს კაზაკების ეჭვეკუცია“... სწერს იაკობ გოგებაშვილი თავის რევოლუციურ მოწოდებაში და ითვალისწინებს, რა რომ რუსეთსა და კავკასიას წინ კიდევ ბევრი უბედულ-

რება, სასტიკი ბრძოლები და სისხლის ღვრა მოელის, მოითხოვს, რომ „დაარსდეს განმათავისუფლებელი საყოველთაო ფონდი, რომელმაც დახმარება უნდა გაუწიოს ჯერ გურულებს და მერმე სხვა გაჭირვებულ მებრძოლ ქართველებს... სასარგებლოდ ამ ფონდისა ვუდგენ რედაქციას ათს თუშანსა და გარდა ამისა, ვალად ვიღებ მომავალი იანვრიდან ყოველთვე ვინადო თითო თუშანი, რაც შეადგენს შეათედს ჩემი თვითური სახსრისას ამ წლის განმავლობაში. „წერაკითხვის საზ-ს“ ვთხოვ ამავ ფონდს შეუერთოს მთელი შემოსავალი ჩემი წიგნებისა „რანი ვიყავით გუშინ“.<sup>1</sup>

ამ მოწოდებიდან ნათლად ჩანს, თუ როგორ უყურებდა იაკობ გოგებაშვილი რევოლუციას, შეიარაღებულ აჯანყებას და კლასთა ბრძოლას.

მართალია, იაკობ გოგებაშვილი აჯანყებულ გლეხებს ურჩევდა გამწვავებული კლასთა ბრძოლის დროსაც უდანაშაულო მსხვერპლს მორიდებოდნენ და თავიანთი მახვილი მიემართათ მხოლოდ იმ მემამულეთა და თავად-აზნაურთა წინააღმდეგ, რომლებიც სახალხო საქმეს, რევოლუციას აშკარად მტრობდნენ და ზიანს აყენებდნენ და დაეზოგათ ისეთები, რომლებიც რევოლუციისათვის საფრთხეს არ წარმოადგენდნენ. მაგრამ, როდესაც ქართლის აღელვებული გლეხკაცობა მასიურად ელეტდა თავადებს, სწავდა და აპარტახებდა მემამულეთა სახლკარს, იაკობ გოგებაშვილი სავსებით ამართლებდა რევოლუციური ქართლის აჯანყებული გლეხების ასეთ ნაბიჯს და — გლეხების ამ მოქმედების გამომწვევ მიზეზად თავად-აზნაურობის და მემამულეთა სასტიკ, უკუღმართ და მხეცურ საქციელს თვლიდა:

„ჩვენებურნი ფეოდალნი სულ იმასა ცდილობდნენ, რომ ბატონ-ყმობა ფაქტურად ხელუხლებელი დარჩენილიყო და არ მოჰკლებოდა მათ არასოდეს მუქი სახსარი ცხოვრებისა და ფუფუნებისა.

ამბობენ... ჩვენებურმა გლეხებმა... კაკლის მტვრევა დაიწყეს მათ (მემამულეების ა. ი) კეთილშობილ თავზედაო.

ეს მართალია: მაგრამ უფრო დიდი ზა მწარე მართალი ის გახლავთ, რომ ჩვენში... თავად-აზნაურობამ მთავრობას თავის სასარგებლოდ დააწესებინა მეოთხედი მოსავლისა, რის გამოც ჩვენებურმა გლეხებმა ორმოცის წლის განმავლობაში იმდენი ღალა გადაიხადეს, რომელიც ხუთჯერ და ექვსჯერ აღემატება მამულის ფასსა“.<sup>2</sup>

ასე ესარჩლებოდა იაკობ გოგებაშვილი 1905 წელს რევოლუციურ გლეხკაცობას, გაბედულად აღიარებდა მათი ბრძოლის სამართლიანობას, იმედის თვლით უყურებდა რევოლუციის გამარჯვებას და „თავისუფლების დილის გათენებით“ აღფრთოვანებული სიხარულით „მოელოდა თავისუფლების შუადღესაც.“

მაგრამ, როდესაც რევოლუცია დამარცხდა და საქართველოს სოფლებს მუსრს ავლებდა შავი რეაქციის სუხნი, იაკობ გოგებაშვილი — ხალხის თავი-

<sup>1</sup> ცნობის ფურცელი, 1905 წ., № 2944.

<sup>2</sup> ცნობის ფურცელი, 1905 წ., № 2944, „განმათავისუფლებელი საერთო ფონდი“.

სუფლების ეს ერთგული დარაჯი და ჭირისუფალი — მისთვის ჩვეული გამბედაობით და პირდაპირობით სასტიკ პროტესტს და გულისწყრომას უცხადებდა რევოლუციის ჯალათებს ხალხის ასეთი უმაგალითო ხოცვა-ჟლეტის და ქვეყნის გაპარტახებისათვის:

„მთელი დასავლეთ საქართველო მოიცვა აუარებელმა უბუდურებამ, რომელიც არ გადახდენია ჩვენს მრავალტანჯულს ქვეყანას არასოდეს... ის, რაც გაზეთებში იწერება იმერთა დაწიოკების შესახებ, უნდა ათჯერ ამრავლოთ, ათჯერ აილოთ, რათა საშინელს სინამდვილეს, საზარელ სიმართლეს მოუახლოვდეთ... ყველაზე საზარელი აქ არის ზნეობრივი სიკვდილი ქალებისა... ანანოვის მახულში მოსულ ყაზახებს ნამუსი აუხდიათ იქაურის სოფლის თითქმის ყველა ქალებისათვის, რომელთა შორის უთუოდ ერიგენ თერთმეტ-თორმეტის წლის ხორჩი გოგონებიც“<sup>1</sup>... ასე აღშფოთებული სწირდა გოგებაშვილი შავი რეაქციის თარეშის წინააღმდეგ და დაბეჭითებით მოითხოვდა მთავრობისაგან ხალხისადმი მიყენებული უამრავი ზარალი აენაზღაურებიათ.

ხოლო, როდესაც მთავრობა უღმობელი აღმოჩნდება სამართლიანი მოთხოვნა დააკმაყოფილოს, გოგებაშვილი ზიზლით შეაფურთხებს მეფის მთავრობას და დახმარებისათვის უშუალოდ ხალხს მიმართავს:

„სვედიანი ვილებ კალამს ხელში, ის, რაზედაც მინდა ვწერო, სამწუხარო და სავალალოა და არ ვიცი, რა სიტყვები მოვქებნო იმის აღსანიშნავად, გამოსახატავად, რომ სურათი ნათლად დაგვიდგეს თვალწინ, ყოველი სიტყვა უფერულია, მგონია, საამისოდ.

ჩემ წინაშე ძევს 1 და 2 თებერვალს გადამწვართა სიები... ნუ თუ შველს არ არის, რომ კაცმა პირდაპირ მიაწოდოს დახმარება ხალხს და იძულებული არ იყო მთავრობას მიმართოს“.

ასე ეხმაურებოდა იაკობ გოგებაშვილი 1905 წლის რევოლუციის და რევოლუციის დამარცხების შემდეგაც თანაგრძნობას იჩენდა და ყოველგვარ დახმარებას მიმართავდა მშრომელი ხალხის გაჭირვებული მდგომარეობის შესამსუბუქებლად.

სიკვდილის წინ დაწერილი გოგებაშვილის ორი ანდერძიც მშობლიურა ქვეყნისა და მშრომელი ხალხისადმი მისი უანგარო სამსახურის, ერთგულების და გულწრფელი სიყვარულის დამაგვირგენებელია. ი. გოგებაშვილი ითვალისწინებს, რა, რომ „მჭიდრო სულიერი კავშირი ინტელიგენციასა და ხალხს შორის ითვლება ერთ-ერთ დედა-ბოძად ქვეყნის წარმატებისათვის“<sup>2</sup>, რომ „ერი, რომელსაც წინ არ მიუძღვის და არ უკაფავს პროგრესის გზას რაზმი მძლავრისა და მრავალის ინტელიგენციისა, ადრე თუ გვიან წააგებს საარსებო ბრძოლას“<sup>3</sup>, რომ მშრომელი ხალხის საარსებო ინტერესებისათვის ბრძოლა ძირი-

<sup>1</sup> ცნობის ფურცელი, 1905 წ., № 3019, „პატარა შენიშვნა დიდ საგანზე“.

<sup>2</sup> იაკობ გოგებაშვილი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 117.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 27.

თადად მხოლოდ ამავ ხალხის წიაღიდან წარმოშობილ დემოკრატიულ ინტელიგენციას შეუძლია, ასეთი ინტელიგენციის მოსამზადებლად იგი სპეციალურ სახალხო-საგანმანათლებლო ფონდს ჰქმნის და უანდერძებს ქართველთა შორის წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებას, რათა აღნიშნული ფონდით მხოლოდ მუშების, გლეხების და ღარიბ სახალხო მასწავლებელთა შეილები აღზარდონ „ქართველი ინტელიგენციის დემოკრატიული ელემენტის გაძლიერების მიზნით“.<sup>1</sup> როგორც ვხედავთ, იაკობ გოგებაშვილი ვერც შავმა რეაქციამ გატეხა და მან სიკვდილის უკანასკნელ წუთებამდე შეინარჩუნა მშრომელი ხალხის გამარჯვებისა და საყვარელი სამშობლოს განთავისუფლების ღრმა რწმენა და ნათელი იმედი. იგი აქტიური მონაწილე იყო იმ რევოლუციური ბრძოლებისა, რომელთაც ქართველი მშრომელი ხალხი აწარმოებდა ნაციონალურ-კოლონიური და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ და რომლებმაც იგი გამარჯვებამდე მიიყვანა.

ამრიგად იაკობ გოგებაშვილი ქართველი რევოლუციურ-დემოკრატიული ინტელიგენციის იმ რიგებს მიეკუთვნება, რომლებიც ძირითადად 19 საუკუნის მეორე ნახევარში გამოვიდნენ სამოღვაწეო ასპარეზზე, ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობის აქტიური მონაწილენი იყვნენ, ამ მოძრაობის დასაყრდენ ძალას მშრომელ ხალხში ხედავდნენ და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მიმართულ რევოლუციური პროლეტარიატის და გლეხკაცობის განმათავისუფლებელ ბრძოლას გაბედულად ესარჩლებოდნენ და აქტიურ დახმარებას უწევდნენ.

<sup>1</sup> დოკ. 86, 87.

1. 1861 წლის ივლისის 7. — თბილისის სასულიერო სემინარიის გამგეობის მოხსენება საქართველოს ეგზარქოსისადმი იაკობ გოგებაშვილის კითხვის სასულიერო აკადემიაში გაგზავნის შესახებ, № 419.

Присутствию семинарского правления доложено предписание киевского академического правления от 6 минувшего июня, за № 179, содержания следующего:

«По случаю окончания в текущем году XX учебного курса в Киевской д. академии, г. обер-прокурор Святейшего синода назначил в составе нового XXI учебного курса одного воспитанника из Тифлисской семинарии, а именно — воспитанника Гвиниева, если семинарским правлением он будет признан вполне достойным сего по успехам в науках и по поведению.

Правление Академии, по предложению г. синодального обер-прокурора от 26 мая за № 3947, дает о сем знать тифлисскому семинарскому правлению, для надлежащего с его стороны распоряжения, с тем, чтобы правление при избрании для сего воспитанника Гвиниева в точности сообразовалось с существующими по сему предмету правилами, или же, если Гвиниев не будет признан для сего правлением вполне достойным, избрало, по своему усмотрению, другого воспитанника вполне благонадежного как по способностям и оказанным им успехам, также не менее того и по поведению.

К сему академическое правление нужным находит присовокупить, что тем же предложением поручено оному, чтобы из числа имеющих прибыть в Академию семинарских воспитанников были удостоиваемы приема в число действительных студентов оной только те, которые на приемных экзаменах окажутся отлично успешными в предметах семинарского образования.

По выслушании сего семинарское правление мнением положило:

1. В состав нового XXI курса Киевской духовной академии назначить окончившего курс учения воспитанника здешней семинарии Иакова Гогебова, которого правление признает гораздо благонадежнейшим Гвиниева, по способностям, успехам в науках и поведению.

2. О состоянии здоровья воспитанника Гогебова и бытии на нем осы истребовать свидетельство от врача семинарии и инспектора врачебной управы П. Соболевцова.

3. Приготовить для назначенного в Академию, на счет экономических сумм семинарии, три пары белья, шелковый шейный платок, подтяжки, перчатки, сапоги и фуражку.

4. Снабдив его надлежащим видом, подорожную на две лошади, по казенной надобности, узаконенными прогонными деньгами, а также кормовыми, полагая на каждые 50 верст по 30 к. сер., немедленно отправить в Киев к месту назначения.

5. Уведомив академическое правление о назначении и отправлении Гогебова, препроводить в оное, согласно существующему положению 34 руб. 29 к. сер. на постройку<sup>1</sup> для него верхней одежды, семинарский его аттестат, свидетельство о состоянии здоровья и метрическое свидетельство о рождении и крещении его.

<sup>1</sup> ასეა საბჭოთხი.





Мнение свое правление Семинарии честь имеет благопочтеннейше представить вашему высокопреосвященству на благорассмотрение и утверждение. Ректор Семинарии архимандрит Викторин.

საქ. ცსსა, ფონ. 440, საქ. 585, ფურ. 55,68. დედანი, ხელით ნაწერი.

2. 1861 წლის ივლისის 14.—იაკობ გოგებაშვილის ატესტატი თბილისის სასულიერო სემინარიის დამთავრების შესახებ, № 462.

### А Т Т Е С Т А Т № 462

ბუნება ენის შესწავლისა. საქმე ის ვახლავთ, რომ თუმცა ბავშვის გონება  
ამ მეთოდით ახალს ცოდნას ვერ იძენს, ახალს საზარდოს არ იღებს, მაგრამ ლო-  
ლიკური მსჯელობა კი მისი ყოველ ნაბიჯზედ მოქმედებაში არის. როდესაც თქვენ  
ბავშვს შეადგენინეთ რაოდენიმე სიტყვიდან ფრაზები კანონიერს ყალიბზედ  
და ფორმაზედ, და ის შემდეგ ახალს ფრაზებს უმორჩილებს ამავე ფორმებს  
თავისი მოსაზრების ძალით, მისი გონება მოქმედებს სილოგიზმების კანონ-  
ზედ, დასკვნის ნიქს ავარჯიშებს. როდესაც ბავშვს ასწავლეთ რამდენიმე

სიტყვის დაბოლოებათა შეცვლა წინადადებაში და იგი მრავალს სხვა სიტყვებს ამავე რიგისას ამგვართვე უცვლის დაბოლოებათა მსგავსავე შემთხვევებში, მას ეხსნება გონების ის მხარე, რომელსაც ინდუქტიური ნიჭი ჰქვია. მართალია, სახსოვარს ბევრად მომეტებული სამუშაო ხვდება, მაგრამ ეს თვითონ ენის თვისების ბრალია და არა მეთოდისა. ყოველი ენა შესდგება სიტყვებიდგან და გრამატიკული ფორმებიდგან, რომელთაც ეს სიტყვები ემორჩილებიან. ენის შესწავლა ჰქვიათ ლექსიკონისა და გრამატიკულის ფორმების შეთვისებას. ეს შეთვისება კი შეიძლება დახსოვებით, დასწავლით, რომელიც არის ფუნქცია, ვალი სახსოვრისა. რომელი მეთოდიც უნდა აიღოთ ენის შესწავლისათვის, ვერც ერთი ვერ გაათავისუფლებს სახსოვარს იმ მომეტებული ჯაფისაგან, რომელიც წილად ხვდება მას უცხო ენის შესწავლის დროსა, და ან განა საჭიროა ეს განთავისუფლება? სახსოვარი არის ისეთი უსაჭიროესი ნიჭი ადამიანისა, რომ მისი მნიშვნელობის გაზვიადება შეუძლებელია. სახსოვარი არის ძვირფასი საღარო, რომელიც ინახავს და ზრდის ადამიანის გონების სიმდიდრესა. თუ სახსოვარი უძღურია, გონებაც დატაკია. მძღავრის გონების მექონენი, გენიოსები ყოველთვის ყოფილან მდიდარი სახსოვრის პატრონები. ამიტომ სახსოვრის ვარჯიშობა, მისი გამავრება და გაძლიერება შეადგენს ერთს უმთავრესს მიზანს სწავლისასა და აღზრდისასა. მართალია, თუ სწავლა მხოლოდ ავარჯიშებს სახსოვარსა და ბავშვის სხვა ნიჭიერებას განუუეთარებლად სტოვებს, სიმახინჯის მეტი აქედგან არაფერი გამოვა. მაგრამ ვინ არ იცის, რომ სახალზო სკოლა მართო უცხო ენას კი არ ასწავლის ბავშვებს, მის კურსში მოქცეულნი არიან იმისთანა საგნებიცა, რომელნიც თითქმის მართო გონების მსჯელობას ავარჯიშებენ, როგორც, მაგალითად, არითმეტიკა. როდესაც ერთი საგანი უფრო ერთს ნიჭსა ხსნის, მეორე უფრო მეორესა და მესამე მომეტებულად ავარჯიშებს მესამე ნიჭსა. აქედგან ბოროტება და სიმახინჯე კი არ გამოდის, არამედ მრვალმხროვანი და ჰარმონიული გახსნა ბავშვებისა.

მართალია, კალანდარიშვილის სახელმძღვანელოს პირველი განყოფილება გადამეტებულს მასალას იპყრობს, იმოდენა მასალასა, რომ მისი ერთს წელიწადში მკვიდრი შეთვისება ბავშვებისათვის ძალიან ძნელია; მაგრამ ჯერ ერთი ესა, რომ მასწავლებელს ძალას არავინ არ ატანს, უთუოდ ერთს წელიწადს გაათავეო და მეორე ისა, რომ ბევრის ცოტად გადაქცევა, ვრცელის შემოკლება ყოველის მასწავლებელისათვის ადვილია, მაშინ, როდესაც გაბევრება ცოტასი, მოკლე წიგნის გადიდება შეუძლებელია. ყოველ შემთხვევაში, ეს ნაკლულევანება წიგნის იმგვარი არ არის, რომ მის გამო ყვირილი მოვროთო წიგნის მავნებლობაზედ, მაშინ, როდესაც ყოველმხრივ მავნებელი წიგნები ტვინს უწყალებენ ჩვენს მოზარდობას და კრინტს კი არავინა სძრავს მათ წინააღმდეგ. სიტყვებისა და რუსული ფრაზების შემდეგ კალანდარიშვილის წიგნიც იპყრობს ქართულ ფრაზებს, რომელნიც ბავშვმა უნდა სთარგმნოს რუსულს ენაზედ. ბ. ბორა ამაში ხედავს დიდს ნაკლულოვანებას და ამტკიცებს, რომ მოსამზადებელს კურსში სრულიად არ უნდა ჰქოდნეს ადგილი

დედა-ენიდგან თარგმანს უცხო ენაზედაო, რათა დედა-ენიდგან თარგმანს უცხო ენაზედ ბავშვისათვის ძალიან ძნელიაო. ეს სიძნელე მართლა არსებობს, მაგრამ არა იმოდენა, რამდენიც სურს ჩვენს მკილავსა. ქართული ფრაზები რომ ბავშვისათვის უცნობი სიტყვებიდგან იყვნენ შემდგარნი, მაშინ სიძნელე უძლეველი იქნებოდა; მაგრამ იგინი შესდგებიან მხოლოდ იმავე სიტყვებიდგან, რომელნიც წინათ ბავშვებმა შეისწავლა ჯერეთ ცალკე და მერმე რუსულის ფრაზების კითხვის და თარგმნის დროს გაიმეორა. ეს გარემოება ქართულის ფრაზების თარგმანის სიძნელეს ამცირებს, მაგრამ სრულიად კი ვერა სპობს. მიუხელომელის და უხეირო მასწავლებლის ხელში ბავშვებს ქართულიდგან თარგმნის დროს ბევრი შეცდომები მოუვთ და ეს მავნებელია, რადგანაც ყოველს შეცდომას, ერთხელ ბავშვის გონებაში ჩასახულს, მიდრეკილება აქვს ფეხი მოიკიდოს ტვინში და არა ერთხელ გამეორდეს. ამ ბოროტების ასაცილებლად მასწავლებელმა ჯერ თვითონ უნდა უთარგმნოს ქართული ფრაზები და როდესაც ბავშვები დაახლოებით შეითვისებენ მათ, მაშინ თვით ისინი ავარჯიშოს სწორედ და კანონიერს თარგმანში. ჩვენ, რომ სიძნელის გამო ქართული ტექსტი გამოვაკლოთ რუსულის ენის სახელმძღვანელოს, ეგ ისეთივე უგუნურება იქნება, როგორც ტყეში ფეხის ამოკვეთა მგლების შიშის გამო. ერთს წამსაც არ უნდა დავივიწყოთ ჩვენა, რომ თარგმანი დედა-ენიდგან უცხო ენაზე ერთიორად და სამად უფრო მძლავრი ღონისძიებაა ენის შესასწავლად, ვიდრე უცხო ენიდგან თარგმანი დედა-ენაზედ. ეს ყველას აქსიომად მიაჩნიათ და ამიტომ ვერც ერთს სახელმძღვანელოს უცხო ენისას ვერა ნახავთ, რომელშიც მესამედი მაინც წიგნისა არ ეჭიროს თარგმანს დედა-ენიდაგან. ზოგერთ სახელმძღვანელოდგან სათარგმანო უცხო ენიდგან დედა-ენაზედ სრულიად გამოტოვებულია და დედა-ენიდგან სათარგმანოს უჭირავს თითქმის ნახევარი წიგნი. ასეთს დიდს მნიშვნელობას აძლევენ თარგმანს დედა-ენიდგან უცხო ენაზედ. ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ქართული ტექსტი რუსული ენის სახელმძღვანელოში, ქართულის ხასიათს შესძინებს მას, ქართველი ბავშვისათვის მიმზიდველს თვისებას აძლევს და, სხვა არა იყოს რა, ქართულს კითხვაში ავარჯიშებს მას...

ყოველი ამ მოსაზრების ძალით ჩვენ რუსულის ენის სახელმძღვანელოდგან ქართულის ტექსტის გამოკლება მიგვაჩნია სრულიად უსაფუძვლოდ და მავნებლად, როგორც რუსულის ენის შესწავლისათვის, ისე ქართულის ენისათვის.

ამასთანავე უსაფუძვლობას სჩადის ბ. ბორა, როდესაც ელემენტარული გრამატიკული ცნობების ჩართვას კალანდარიშვილის სახელმძღვანელოში ნაკლულევანებადა სთვლის. მას შეუძლებლად მიაჩნია გრამატიკული ცნობების გადაკემა სახალხო სკოლის მოწაფეებისათვის მესამე წლის განმავლობაში. ჩვენ კი იმ აზრისანი ვართ, რომ პირველდაწყებითის ცნობების შეთვისება ქართულის გრამატიკიდან ბავშვებს შეუძლიან იწყონ მერე წლიდგან და მესამე წლის მერე ნახევრიდგან რუსული ენის ზოგიერთი, უფრო უსაჭიროესი კანონები და ფორმები გაიცნონ. გრამატიკული ცნობების სიძ-



ჩელე ბავშვებისათვის ძლიერ გავზიადებულია. ბავშვი პირველ ორ წელიწადს სხვა საგნებიდან იძენს ბევრს იმისთანა ცნობებსა, რომელნიც თუ ძნელნი არა, ადვილნი არ არიან ენის ელემენტარულს კანონებზედ. რუსის გამოჩენილ პედაგოგს ბუნაკოვს მეორე წლის საკითხავ წიგნში მოქცეული აქვს გრამატიკული განყოფილება: იმისთანა განვითარებული და გამოცდილი პედაგოგი, როგორც არის ქუთაისის სააზნაურო სკოლის ინსპექტორი ბატ. ალექსი ჭიჭინაძე, ქართული გრამატიკიდან ელემენტარულს ცნობებს ასწავლებინებს თავის მოწაფეებს მეორე წლიდანვე. შესაძლებელია, რომ ზოგიერთი ცნობები რუსულის გრამატიკიდან, რომელნიც კალანდარიშვილის სახელმძღვანელოში მოქცეულნი არიან, ძნელნი აღმოჩნდნენ შესათვისებლად ჩვენი სახალხო სკოლის მასწავლებელთათვის. მაგრამ ამგვარი ცნობების გამოტოვება მასწავლებელს ადვილად შეუძლიან, მით უმეტეს, რომ, როგორც თვითონ წიგნშია მოხსენებული, გრამატიკული პარაგრაფები დანიშნული არიან არა მოსწავლეთა საკითხავად, არამედ წარმოადგენენ მასალას, რომლითაც უნდა მასწავლებელმა ისარგებლოს და ცოტ-ცოტათი, ჩელ-ნელა, თავ-თავის ადგილს გააცნოს კლასი რუსულის ენის უსაქიროეს კანონებს და ფორმებს. თუ მაინცდამაინც მასწავლებელი მეორე წელს საქმელად დაინახეს ბავშვებისათვის გრამატიკულ ვარჯიშობათა, მას შეუძლიან ეს საქმე მესამე წლისათვის გადასდოს. ამ შემთხვევაში მესამე წლის პირველ ნახევარში გადასცემს ელემენტარულს ცნობებს ქართულის გრამატიკიდან და მეორე ნახევარში გააცნობს მას რუსული ენის გრამატიკის უმთავრეს ნაწილებსა.

ბ. ბორას საკიროდ და სასარგებლოდ მიიჩნია, რომ რუსულს ენასთან ჩვენი ბავშვები რეალურს ცოდნასაც იძენდნენ. აგრეთვე სასარგებლოდ სთვლის უწიგნოდ სწავლებას პირველ ხანებში მაინცა. ეს ორივე აზრი მკაფიოდ, ვადაპრით არა აქვს გამოთქმული, ბინდ-ბუნდით აქვს მოცული, როგორც სხვა ბევრი თვისი აზრები, მაგრამ მაინც საკმაოდ ცხადად გამოსუვევის მისი სიტყვებიდან, რადგანაც ამ ორივე აზრს ბევრი მომხრეები ჰყავთ ჩვენში. რადგანაც მათზეა დამყარებული ესრედ წოდებული ლექსიური სწავლა რუსულის ენისა, რომელიც მძიმე ვალად აჰქიდეს სახალხო სკოლას პირველივე წლის მეორე ნახევრიდან. ამიტომ ჩვენ ამ ორი აზრის გარჩევაზედ, ანალიზზედ, უფრო მომეტებულს ხანს შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას. ჯერ პირველ აზრს გავსინჯავთ.

ყოველი საგანი მხოლოდ მაშინ შეიძლება დროზედ და ბეჭითად შეთვისოს ბავშვმა, როდესაც მისი გონების ძალა ჩაკვირებული იქნება ერთსა და იმავე დროს მხოლოდ ამ საგანში. როგორც ორის კურდღლის მღვარი ვერც ერთს ვერ დაიქერს და დარჩება ხელკარიელი, ისე ბავშვი, რომელიც ერთსა და იმავე გაკვეთილზედ, ერთსა და იმავე საათის განმავლობაში, ორს სხვადასხვაგვარს საგანს ეტოტინება, ვერც ერთს ვერ შეითვისებს და დარჩება თავკარიელი. ჩაკვირება ბავშვის გონებისა ერთსა და იმავე დროსა მარტო ცოდნის შეძენისათვის არ არის საჭირო; იგი უფრო მომეტებულად არის საჭირო ყუ-



რადღების აღზრდისათვის, რომელზედაც არის დამოკიდებული მომავალი სიღრმე, სიმაღლე და ენერჯია ბავშვის გონებისა. ეს მოსაზრება დამყარებულია იმ ფსიქიურ კანონზედ, რომლის ძალითაც საგანი მხოლოდ მაშინ ჩა-სახავს ტვინში ღრმა და წაუძილელ კვალსა, როდესაც ამ საგანზე გონება თავის ყურადღებას შეჰკრებს და დაამყარებს საკმარისს დროსა. თუკი გონება ერთის რიგის საგნებიდგან ხტება მეორე რიგისაზედ, მაშინ ეს საგნები სტო-ვებენ ადამიანის ტვინში სუსტს, მჭრთალს კვალსა, რომელიც ისე ჩქარა წაიშლება, როგორც სწრაფათა ქრება წყლიანი მელნის კვალი ნაწერის ქა-ლალდიდგანა. საუბედუროდ საქმე არა თავდება მხოლოდ სარგებლობის დაკარ-გვით. ეს სლიკინი საგნებიდგან საგნებზედ ძლიერს დიდს ვნებას აძლევს ბავშვის ტვინსა: ამ შემთხვევაში—ტვინის ქვემო. ღრმა ნაწილები სრულიად ხელუხლებლად რჩებიან ჩაბეჭდილებათაგან, უმოქმედოთ, უსაზრდოვოთ არიან დეტოვებულნი და ამიტომ ხდებიან მსხვერპლი ატროფიისა. ფსიქიური კვლები, რომლებსაც სტოვებენ გონებაში სწრაფი სუსტი ჩაბეჭდილებანი. ამ შემთხვევაში შეეხებიან მხოლოდ ზემო ნაწილს ტვინისასა და უზრდიან ბავშვსა ისეთს თხელს ჭკუას, როგორიც არის ეს ზემო პირი ტვინისა. აისად უნდა ვეძებოთ მიზეზი იმ გონების აფრაკობისა და ქარაფშუტობისა, რომელ-საც ჩვენ ხშირად ვხედავთ ცხოვრებაში.

ენა და რეალური ცოდნა სრულიად სხვადასხვა რიგის, სხვადასხვა გვარის საგნებს შეადგენენ. რა ნათესაური კავშირია, მაგალითად, ვაშლის ფერის, მისი ფორმის, სიმაგრის და გემოს შუა, ერთი მხრით, და, მეორეს მხრივ, იმ ხმებს შორის, რომელთაგანაც შესდგება ამ ნაყოფის რუსული სახელი. არა-ვითარი. ეს ამკარად სჩანს იქიდანაც, რომ ამავე ნაყოფის ქართული სახელი შესდგება სრულიად სხვა ხმებისაგან. აიღეთ კანონები ვაშლის ზრდისა, აყვა-ვებისა, დამწიფებისა და სხვა მისი ცვლილებებისა და შეადარეთ ამ ნაყოფის სახელის ცვლილებათა კანონსა; რა მსგავსებაა, არავითარი. ნაყოფი ემორჩი-ლება თავის ცვლილებაში ერთგვარს კანონებსა, მისი სახელი მეორეგვარს კანონებსა. აქ ჩვენ ვხედავთ ორ შეუდარებელს რაოდენობათა (несоизмеримые величины). ამიტომ ამ რაოდენობათა შესწავლის მეთოდები სხვადასხვა-გვარია. ცოდნის შექმნას აქვს თავისი საკუთარი მეთოდები, რომელნიც ენის შესწავლისათვის გამოუსადეგარნი არიან; ენის შესწავლა დამყარებულია იმისთანა მეთოდებზედ, რომელნიც საგნების სწავლას სრულიად არ მიუღდე-ბიან. ამის შემდეგ ჩვენ, რომ ბავშვები გამოუყენოთ ერთსა და იმავეე გაკვე-თილებზე საგნების შესწავლასაც და ენის შეთვისებასაც, ცოდნის შექმნის მეთოდი აურითთ ენის შესწავლის კანონებში, რა მოსაივას მოვიპოეთ. ბავ-შვები ვერ შეითვისებენ ვერც ერთს საგანს, ვერც მეორესა, მიუჩვევიან გონების სლიკინს საგნების ზედაპირზედ და ბოლოს ხელში შეგვრჩება გა-მოუსადეგარი ქარაფშუტები. არა, ეს წმინდა უუღლმართობა იქნება. მოსწა-ვლეებმა ჯერ საგნები უნდა შეისწავლონ, მერმე შეუღდგენ მათი უცხო ენის სახელების შეთვისებას და დაკავშირებასა. ჯერ ნივით, მერმე მისი სა-ხელი. ჯერ საგნების ურთიერთობა, მერმე დაკავშირება უცხო სიტყვებისა

ერთმანეთთანა. ამ აზრს ქადაგობს ყოველი წმინდა წყლის პედაგოგი და ჩვენც მას უნდა მტკიცედ ვადგეთ.

როგორ სწავლობენ უცხო ენებს გამოჩენილი პირნი, კაცობრიობის ტალანტი და გენიოსნი? ისინი როდი აიღებდნენ ჩოღმე ხელში უცნობის შინაარსის წიგნსა და ერთად როდი სწავლობდნენ საგანსაც და ენასაც. სახარება შესასწავლ ენაზედ და ლექსიკონი ამ ენისა—ი ჩვეულებრივი მათი ღონისძიება. სახარებას იმიტომ ირჩევდნენ, რომ იგი მარტივი შინაარსისაა, იმისთანასი, რომელსაც კარგად იცნობს ყოველი ქრისტიანი და რომლის გაგება ნამცეცი გონების ყურადღებას არ წაართმევდა. მთელი მათი ყურადღება დამყარებული იყო ენაზედ, სიტყვებზედ და მათი დაკავშირების დასწავლაზედ. ამიტომაც სწავლობდნენ უცხო ენებს ესე ჩქარა, რომ ბოკლომ ამ მეთოდით თავის მოკლე სიცოცხლის დროს შეისწავლა 19 ენა. თუ მაღალნიჭიერნი პირნიც ძნელად სთვლიდნენ თავიანთ თავისათვის ენების შესწავლასთან შეერთებინათ ახალი საგნების შესწავლაცა, მაშ რა გონების პატრონი უნდა იყოს ისა, რომელიც ამტკიცებს, რომ რვა-ცხრა წლის ბავშვები უცხო ენასთან საგნებსაც უნდა სწავლობდნენო და მათ ორი კურდღელი, რომელთა გამოდგომა გენიოსებსაც ეძნელებოდათ, ერთად უნდა დაიჭირონო.

რამდენიც უსაფუძვლო და უბედურია აზრი, რომელსაც ჩვენ ვამტყუარებთ, ცხადად სჩანს იქიდან, რომ ცოდნის შეძენის და ენის სწავლების შეერთება ერთად მავნებელ საქმეთ მიაჩნიათ არა მარტო უცხო ენის შესახებ. არამედ დედა-ენის სწავლების დროსაცა. იმ პედაგოგთაც, რომელნიც ამ შეერთებას დედა-ენის შესწავლისას და რეალური ცოდნისას შესაძლებლად რაცხდნენ, უარჰყვეს თავისი აზრი და იმ გზას დაადგნენ, რომ ამ ორის საგნის შესწავლა უნდა გაცალკეედესო, რათა ბავშვებმა მთელი ყურადღება დაამყარონ ერთს დროს ენასა, მეორე დროს ცოდნის შეძენასაო, გამოჩენილი რუსი პედაგოგი ბარონ კორფი უწინ ძლიერ ესარჩლებოდა ამ შეერთებას ენისასა და საგნების სწავლებისასა. მან შეადგინა პირველი საკითხი წიგნი ამ მიმართულებისა „Малютка“, რომელსაც ერთსა და იმავე დროს ბავშვებისათვის უნდა ესწავლებინა რუსული ენა, კითხვა და ამასთან შეეძინა რეალური ცოდნა. მაგრამ წიგნმა სკოლებში გზა ვერ გაიკვლია, რადგანაც პრაქტიკამ წიგნის უხეირობა და გამოუსადეგრობა ცხადად დაანახა ყველასა. გავიდა რამდენიმე წელიწადი, რომელთა განმავლობაში ბარონ კორფმა უფრო დაახლოებთ შეისწავლა პედაგოგია სამზღვარს გარეთ, მეტი გამოცდილება შეიძინა და ბოლოს წლებში სრულიად გადუღდა უწინდელს თავის აზრსა. წარსული წლის დასაწყისში პეტერბურგის პედაგოგიურს მუზეუმში ღირსშესანიშნავი ბაასი მოხდა, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს გამოჩენილმა რუსის პედაგოგებმა და მსწავლულებმა. აქ ერთ ხმით მიღებული იქმნა ის აზრი, რომ მავნებელია ენას და რეალურს ცოდნას ბავშვები ერთად გამოვეყენოთო და საჭიროა, რომ ეს ორი საგანი სხვადასხვა ღონისძიებებით და სხვადასხვა დროს ისწავლებოდნენო. სახალხო მასწავლებლებისათვის ძა-

ლიან სასარგებლოა გაცივოს პროტოკოლები ამ სხდომისა, საიდგანაც ის ამოკითხავს ბევრს შესანიშნავს და გამოსაყენებელს აზრსა.

განთქმული ინგლისის მეცნიერი ბენი ამ საგნის შესახებ შემდეგ მსჯელობას წარმოთქვამს: „ენის სწავლების და ნივთების გაცნობის შეერთების მოუხერხებლობა ხშირად თავიდან აუცილებელია დედა-ჟნის შესწავლის დროსა; მაგრამ ეს მოუხერხებლობა არ უნდა გამოიღოს უცხო ენების შესახებ. უკანასკნელს შემთხვევაში საგნების გაცნობა ყველასათვის წონ უნდა უძღოდეს ენების შესწავლასა“. (ბენი, სამეცნიერო საფუძველნი სწავლებისა; 269 გვერდი).

მეორე აზრი ბ. ბორასი კიდევ უფრო უსაფუძვლო და მანებელია. მას შესაძლებლად და სასარგებლოდ მიიჩნია რუსულის ენის სწავლება უწიგნოთა. ეს აზრი დიდი ხანია ჩვენში დაუცხრომელად ვრცელდება და აღსრულებაში მოდის. შშობელი მისი, თუ არა ვცდებით, იყო ნეტარხსენებული ზახაროვი. ჩვენ იმავ თავდაპირველად წინააღმდეგნი ვიყავით ამ აზრისა, რადგანაც კარგად გვესმოდა, რა მიზნით ეჭიდებოდნენ მას ორივე ხელბითა, და ვამტკიცებდით, რომ რუსულის ენის სწავლება უწიგნოდ მოუხერხებელია მანებელია. მასწავლებელთა კრებამაც, რომელიც მოხდა თბილისში, ამ თხზიწლის წინეთ, უარპყო ეს აზრი და გადასწყვიტა რუსულის ენის სწავლება რუსული კითხვა-წერის გაცნობის შემდეგ და უთუოდ წიგნის შემწეობითაც. ეს გადაწყვეტილება დამყარებულია შეურყეველს პედაგოგურს საფუძველზედ.

პედაგოგიური აქსიომაა, რომ საგანი იმდენად უფრო ადვილად შეითვისება და უფრო მკვიდრს ჩაბეჭდილებას მოახდენს, რამდენათაც უფრო მომეტებული ორგანოების შუამავლობით ჩაისახება კაცის გონებაში. უცხო ენის შეთვისებისათვის ადამიანს შეუძლიან ამუშაოს ორი თავისი ორგანო: ყური და თვალი, მასწავლებლის ცოცხალი სიტყვა მოქმედებს გონებაზედ ყურის შუამავლობით; წიგნში ამოკითხვას მასწავლებლისაგან გაგონილისა ტვინში მიაქვს იგივე ჩაბეჭდილება თვალების შუამავლობითა. ამ სახით საგანი ორ-კეცად მოქმედებს ბავშვის გონებაზედ, ორჯელ უფრო ღრმა კვალსა სტოვებს მასში, ორჯელ უფრო ჩქარა შეითვისება და ორჯელ უფრო მტკიცედ დაიბნეავენს ტვინში. ახლა წარმიდგინეთ, რომ რომელმანმე ახირებულმა მასწავლებელმა წიგნი უარპყო და მხოლოდ ზეპირსიტყვაობით გადასცემს რუსულს ენას თავის მოწაფეებსა რასა სჩადის ამით? ის იკლებს თავის საქმის წარმატებისათვის იმისთანა ორგანოს შეწვენას, როგორც არის თვალი. ამითი ის ერთიორად აძნელებს და აგვიანებს საქმესა. მას ამ შემთხვევაში იმისთანავე უგუნურება მოსდის, რომელსაც ჩაიდენდა ის, ვინც აუზის ორს მილში ერთს დაწმავდა და მის ავსებას ერთის მილის ანაბრად დასტოვებდა. მეორე მხრით არანაკლებ უგუნურებას ჩაიდენს ის მასწავლებელი, რომელსაც ცოცხალის სიტყვისათვის წელი სწყდება, მარტო წიგნზედ არის მიწოდებული, მხოლოდ ბავშვების თვალს ამუშავებს და ყური კი უმოქმედოდ აქვს დატოვებული, ამ შემთხვევაშიც წარმატება ერთიორად ძნელდება. შე-

ერთგულად შრომა თვალისა და ყურისა მით უფრო საქმითა, რომ ზოგ ბავშვს თვალის ჩაბუქვით უფრო შერჩება, ზოგს ყურისა. ჩვენი პედაგოგიური პრაქტიკის დროს შევნიშნეთ საყურადღებო მოვლენა: ზოგი მოწაფე სტატიის შინაარსს უფრო მარჯვად იმეორებდა მაშინ, როდესაც თვითონ კითხულობდა მას წიგნში, ზოგი კი მაშინ, როდესაც სხვისგან წაკითხულს ყურს უკადებდა. წერის სწავლების დროსაც შენიშნულია, რომ ზოგი მოწაფე, მართლწერას უფრო ადვილად სწავლობს მაშინ, როდესაც კარნახის შემწეობით მის სმენაზედ მოქმედებენ. ზოგი კი მართლწერას უფრო ჩქარა ითვისებს გადმოწერით, ესე იგი მაშინ, როდესაც თვალის ჩაბუქვით შეუძლებლობით ბავშვის გონება ეხება საგანსა. ამიტომაც იმისთანა პედაგოგი, როგორც არის ლანგე, ურჩევს წერით მასწავლებლებსა, რომ ჭეროვანი ყურადღება მიაქციონ როგორც კარნახით წერასა, ისე წიგნებიდან გადმოწერასა.

უცხო ენის სწავლების დროს წიგნი იმითიც არის კარგი, რომ სრულს შეძლებას აძლევს თვალსა კანტროლი იქონიოს ყურის მოქმედებაზედ. ხშირად ბავშვს მასწავლებლისაგან სიტყვა მკაფიოდ ვერ ესმის, ერთი ხმა მის ყურში მეორე ხმათ იცვლება, და ბავშვი დამახინჯებულს სიტყვებს იხსომებს. თუ მას წიგნი აქვს, თვალი ადვილად გაასწორებს ყურის შეცდომას და დამახინჯებულს სიტყვას ნებას არ მისცემს ფესვები გაიდგას ბავშვის გონებაში. ისიც მოხდება ხოლმე, რომ ბავშვი კლასში სწორედ სმენულობს სიტყვასა, სწორედ იხსომებს მას, მაგრამ კლასის გარეთ რომელიმე ხმა სიტყვისა უნებლიედ იცვლება ბავშვის სახსოვარში, მის მაგივრად რაღაც მანქანებით სხვა ხმა ჩაეკერების სიტყვაში და ეს უკანასკნელი გადასხვაფერებული რჩება ბავშვის გონებაში. ამ შემთხვევაშიაც წიგნი სახსოვარს უწყევს იმავე სასარგებლო სამსახურსა.

მართალია, სრული მართალია, რომ ცოცხალი სიტყვა, ბენეკისი არ იყოს, უფრო ძლიერ მოქმედებს უმეტესობაზედ, უფრო მტკიცე და ღრმა კვალს სტოვებს გონებაში. მაგრამ რას ამტკიცებს ესა? მხოლოდ იმას, რომ მასწავლებელი, რომელიც წიგნის ანაბარა დაარჩენს მოწაფეებსა და თავის ცოცხალს სიტყვას კი არ ამოქმედებს, ბინძურ მოჯამაგირებზედ უარესია და ოცდაოთხს საათს უნდა ჩამორთმეული ჰქონდეს მას ის მალალი და წმინდა თანამედებობა, რომელიც მას აბარია, მაგრამ იმის გამო, რომ ყური უფრო ძლიერია თვალზედ უნის სწავლებაში, წიგნი სრულიად უარეყოთ, ეს იმას ემსგავსება, რომ რომელმანმე უკუნურმა მეეტლემ თავის ეტლს შეარჩინოს მხოლოდ შუა ცხენი და ნაპირის ცხენი კი გაუშვას და გააგდოს იმ მოსაზრების ძალით, რომ პირველი ცხენი უფრო მეტს ეწევაო, და ამით ეტლს ტაატით დააწყებინოს სიარული.

ტაატით სიარული ზოგიერთ პედაგოგებს იდეალად მიანინათ. ისინი მზად არიან ერთის წლის სამუშაო ჩიგნონ სამი ან ოთხი წლის ვანმავლობაში და გასამართლებლად მოიყვანონ პირველი წიგნიდან ამოკითხული და მათთვის გაუგებარი ფრაზა: „ნელა იჩქარეო“, მაგრამ ამ ახირებული პირების ჰკუთას,

რომ ავეყვით, გიმნაზიამდის თვით უნიჭიერესი ბავშვი ოც წლამდის ვერ მიღწევდა და უნივერსიტეტის კარების ნახვა ხომ მას სამოც წელზედ ადრე არ ეღირსებოდა.

უწიგნოდ ენის სწავლებას ესარჩლებიან იმისთანა პედაგოგები, რომელნიც სულ იმასა სცდილობენ, რომ უცხო ენის სწავლება ადრე დააწყებინონ, და რადგანაც უცხო ენაზედ წერა-კითხვის დაწყება ყოველად შეუძლებელია მეორე წელიწადზედ ადრე და მათ კი სურთ პირველსავე წელში შეიტანონ ეს ენა სკოლის კურსში, ამიტომ ესარჩლებიან ისინი ზეპირსიტყვაობას და უარჰყოფენ წიგნის შემწეობას პირველ ხანში...

ვათავებთ ჩვენს წერილს მოკლე დასკვნით: კალანდარიშვილის სახელმძღვანელოს აქვს არა ერთი ნაკულულოვანება, მაგრამ მაინც გამოსადეგი და სასარგებლო წიგნია, როგორც რუსულთა ენის შესწავლისათვის, ისე დედაენისათვის; მხოლოდ მიუცილებლად საჭიროა, რომ მასწავლებელი სვინიდიხიანად ეპყრობოდეს თავის თანამედებობასა, ყოველ გაკვეთილისათვის ემზადებოდეს, ცოცხალი სიტყვით შეათვისებინებდეს ბავშვებს ყოველი პარაგრაფის შინაარსსა და წიგნსა ხმარობდეს მასწავლებელ ღონისძიებად, გასამეორებლად და კითხვაში სავარჯიშოდ. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ მასწავლებელი თავიდან შრომას აიცილებს და მხოლოდ წიგნზედ მიანდობს რუსული ენის შესწავლასა, ჩვენი სახელმძღვანელო, როგორც სხვები, მეოთხედ სარგებლობასაც არ შესძინებს ბავშვებს და იქნება ენებაც მოუტანოს.

რასაკვირველია, შესაძლებელია და დიდად სასურველია, რომ უკეთესი სახელმძღვანელო შესდგეს, იმისთანა სახელმძღვანელო, რომელიც უფრო კიდევ გონიერად ასწავლიდეს რუსულს ენასაც და დედაენისათვისაც უფრო კიდევ სასარგებლო იყოს. მაგრამ დღემდის ამგვარი სახელმძღვანელო არ დაბადებულა, ვიდრემდის სანაცვლო კალანდარიშვილის სახელმძღვანელოსი სრულიად არ გვაბადია, მისი კიცხვა და ლანძღვა სასარგებლო იქნება მხოლოდ ყოველი მხრით მავნებელი წიგნებისათვის, რომელნიც ამ გაკიცხვის გამო უფრო მომეტებულად შეაფიწროებენ სასარგებლო წიგნსა და ბურთსა და მოედანს თვითონ დაისაკუთრებენ. (ამიტომ) უნდა დავიხსოვოთ და ვერიდოთ იმგვარს საქციელსა, რომელსაც გულითაც, რომ გინდოდეს, სხვას ვერაფერს დააბრალებ, ვარდა მტყნარის უმეცრებისა ან ბინძურის განზრახულებისა. იაკობ გოგებაშვილი.

საქ. ცსსა, ფონ. 480. საქ. 548. ფურ. 48—56. ცენზურის მიერ აკრძალული ამონაბეჭდი ჟურნალ „ივერიიდან.“ საბუთზე საცენზურო კომიტეტის დადგენილება: „По журналу цензурного комитета 8 июня 1883 г. определено в виду 1035 ст. улож. 6 и 90 ст. Пенз. уст. напечатание воспретить и удержать при делах. За председателем: В. Дингельшпедт.“

<sup>1</sup> საბუთშია „გად.“



§4. 1884 წლის იანვრის 10. — იაკობ გოგებაშვილის მოხსენება ქარაგელთა შორის წერა—კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობისადმი აგენტურების დაარსების შესახებ.

თანახმად მმართველობის მონდობილობისა, ვუდღევ მას ჩემს მოსაზრებასა შესახებ აგენტურების დაარსებისა და მმართველისა:

1. მმართველობა აგენტურებს დააარსებს საქართველოს ყოველს მაზრაში.

2. აგენტურა შესდგება სამი პირისაგან: ერთი მათგანი თავმჯდომარეა, მეორე მდივანი, მესამე ხაზინადარი.

3. აგენტურის წევრები დანიშნული იქნებიან მმართველობისაგან იმ მაზრებში, სადაც საზოგადოების წევრებად ითვლება ორმოცდაათს კაცზედ ნაკლები. რომელს მაზრებშიც რიცხვი წევრთა აღის ამ რაოდენობამდის, იქ ადგილობრივთა წევრთა კრება ირჩევს სააგენტოს წევრებსა, რომელნი ამ თანამდებობაში დამტკიცებულნი იქნებიან მმართველობისაგან.

4. ყოველი აგენტურა აღორჩევა იმავე ვადით, რა ვადაც არის დანიშნული მმართველობის წევრთა ახალი ამორჩევისათვის, ე. ი. ოთხის წლის ვადით.

5. აგენტურის უფლებას და ვალდებულებას შეადგენენ: ფულების კრეფა წევრთაგან, ახალი წევრების შოვნა, რომელთაც აგენტურა ჩარიცხავს კანდიდატებად და საზოგადო კრება თბილისში ირჩევს ნამდვილს წევრებად, საკურორთო სკოლების და სახალხო საუბრების გამართვა, წაქეზება სოფლებისა და სადგენად განჩინებისა შესახებ სკოლების გახსნისა, თვალყურის დევნა, მზრუნველობა და ხელმძღვანელობა სკოლებისა, რომელნიც დაფუძნებული იქნებიან წერა-კითხვის საზოგადოების სახელით, სხვა სახალხო სკოლების საჭიროების შეტყობა და დაკმაყოფილება, მეტადრე ქართული ენისა, კონცერტების, სპექტაკლების, და სალიტერატურო საღამოების გამართვა სასარგებლოდ საზოგადოებისა, ბიბლიოთეკების დაარსება ქალაქებში და სოფლებში და ყოველგვარი მოქმედება, რაც კი შეეწყება და დაეხმარება საზოგადოების მიზნის მიღწევას, მის დანიშნულების ასრულებასა.

6. შემოსავალს ყოველი აგენტურა ზოგს მოიხმარებს ადგილობრივი საჭიროების დასაკმაყოფილებლად შესახებ ვინაილებისა და ზოგს უგზავნის თბილისის მმართველობას, რომელიც მოახმარებს მას საყოველთაო მოთხოვნილებათა და ქართული ელემენტის გაძლიერებას იმ მაზრებში, სადაც იგი დროთა ვითარების გამო შესუსტებულია, როგორც, მაგალითად, საინგილოში და ახალციხის მაზრაში.

7. აგენტურას აქვს თავისი შესავალ-გასავლის წიგნი, მმართველობისაგან გაგზავნილი.

8. ყოველწლივ, საზოგადო კრების წინეთ აპრილის ნახევრობამდის ყოველი აგენტურა უგზავნის მმართველობას განვითარებულს ანგარიშსა შესახებ თავისი წლიური მოქმედებისა და შესავალ-გასავლისა.

9. ყოველ აგენტურას უნდა გაეგზავნოს: ათიოდე ეგზეპლარი საზოგადო-



ების წესდებულებისა, სია საზოგადოების წევრთა, რომელნიც იმ მხარეში ცხოვრობენ, და ოციოდე ეგზემპლარი დარიგებისა შესახებ ხალხის გონების ნაწარმოებისა და განაჩენის ნიმუში ახალი სკოლების გახსნის თაობაზე. მმართველობის წევრი იაკობ გოგებაშვილი.

საქ. ცსსა, ფონ. 481, საქ. 57, ფურ. 6. დედანი, ხელით ნაწერი.

**35. 1884 წლის იანვარი—მარტი. — იაკობ გოგებაშვილის მიერ შედგენილი ქართველთა შორის წერა—კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ინსტრუქცია აგენტებისათვის.**

პირველი მოვალეობა ყოველი აგენტისა ის არის, რომ შესძინოს წერა-კითხვის საზოგადოებას ახალი წევრები. იგი ერთგულად ცდილობს აღძრას მხურვალე თანაგრძნობა ადგილობრივ საზოგადოებაში, წერა-კითხვის საზოგადოების საგნისადმი და გაუღვიძოს სურვილი რაც შეიძლება მრავალთა პირთა საზოგადოების წევრად გახდომისა. ის პირნი, რომელნიც მოისურვებენ საზოგადოების წევრობასა, ჩაწერილ იქმნებიან ცალკე წიგნში აგენტისაგან და მისგანვე შერიცხულნი კანდიდატებად. ამ კანდიდატების სიას აგენტი უგზავნის მმართველობას, რომელიც წარუდგენს მას საზოგადო კრებას კანდიდატების წევრად ასაღვიარებლად. აგენტი ცდილობს, რომ კანდიდატები და წევრები საზოგადოებისა ეხმარებოდნენ მას არა მარტო საწევრო ფულის დროულ შემოტანით, არამედ ყოველი ღონისძიებით, რომელიც კი სასარგებლო იქნება საზოგადოების დანიშნულების შესრულებისათვის.

მეორე მოვალეობას აგენტისას შეადგენს „საზოგადოების“ ქონებრივი შეძლების მომატება, ამისათვის იგი: ა) ყოველს შემოდგომაზედ ჰკრებს კანდიდატებისა და წევრებისაგან საწევრო ფულსა და უგზავნის მმართველობასა. ყოველს ფულის შემომტანს, კანდიდატსა და წევრსა აგენტი აძლევს კვიტანციას იმ წიგნიდან, რომელიც მას ექნება გაგზავნილი მმართველობისაგან საწევრო ფულის ჩასაწერად; ბ) მართავს, წევრების დახმარებით, სპექტაკლებსა, სალიტერატურო სადამოებებსა, ბალებსა და სხვათა საყოველთაო გასართობთა საზოგადოების სასარგებლოდ და უგზავნის მმართველობას სრულს შემოსავალსა და ამასთან ვრცელს ანგარიშსა ხარჯისა და შემოსავლისას, რომელიც იბეჭდება ქართულ გაზეთში.

**შენიშვნა.** ყოველი აგენტი უგზავნის საზოგადოების მმართველობას შეკრებილ ანგარიშს ყოველს სამ თვეში ერთხელ: არა უგვიანეს ყოველ 1-ს იანვარისა, 1-ს აპრილისა, 1-ლს ივლისისა და 1-ლს ოქტომბრისა.

მესამე მოვალეობა აგენტისა არის გამართვა წიგნთა საწყობისა და მათი გაყიდვა ან თვითონ საწყობიდან, ან საუკეთესო მაღაზიების შუამავლობით და ან კერძო პირების მონაწილეობით. გასაყიდი წიგნები აგენტს მისდის მმართველობისაგან და იგი ჩასაწერს მათ განსაკუთრებულს დაეთარში. ის პირნი, რომელთაც აგენტი ჩააბარებს წიგნებს გასასყიდად, საკომისიო ფასად მიიღებს მისგან მანეთზედ არა უმეტეს ორის შაურისა.

მეოთხედ აგენტი ვალდებულია ჩააგონოს სოფლის საზოგადოებათა, რათა დააარსონ სკოლები წერა-კითხვის საზოგადოების სახელობაზედ. რგი ამ შემთხვევაში ან თვითონ იმოქმედებს პირადად სოფლების საზოგადოებაზედ და ან რომელიმე გავლენიანი წევრის შუამავლობით შეადგენინებს განჩინებასა. ეს განჩინება სკოლის გახსნის შესახებ უნდა იქმნას შედგენილი იმ აზრით და იმ რიგზედ, როგორც არის შედგენილი მმართველობისაგან ნიმუში განჩინებისა, რომელიც ეგზავნება ყოველს აგენტსა. აგენტი ვალდებულია სახეში იქონიოს, რომ სკოლის წარმოებისა და წარმატებისათვის საჭიროა სოფელმა სკოლის ხარჯად წელიწადში გაიწეროს არანაკლებ ოცდაათი თუმნისა. ამიტომ სკოლების გასასწნელად იგი ჭერჯერობით ირჩევს დიდს სოფლებსა, რომელთაც არ გაუჭირდება წელიწადში ოცდაათის, ორმოცის თუმნის და მომეტებულის გარდახდა. სოფლის განჩინებას აგენტი უგზავნის მმართველობასა, რომელიც ამტკიცებინებს მას მთავრობასა.

მეხუთე მოვალეობას აგენტისას შეადგენს თვალყურის დევნა საზოგადოების სახელზედ გახსნილი სკოლებისა. იგი, რაც კი შეიძლება, ხშირად დახედავს ამ სკოლებსა, გაამხნევებს მასწავლებლებსა, ეცდება ყოველი დაბრკოლება ააცილოს მათ თავიდან, აცნობებს დროზედ მმართველობას სკოლების საჭიროებას, მდგომარეობას და ზრუნავს მათი წარმატებისა და წაყოფიერებისათვის. მას აგრეთვე თვალყური უჭირავს სხვა სახალხო სკოლებზედაც, აქვს დაახლოებითი კავშირი მათ მასწავლებლებთანა, ტყობულობს ამ სკოლების გაჭირვებასა და ცდილობს ან თვითონ დაეხმაროს და ან მმართველობას აცნობოს ეს გაჭირვებანი.

მექექსე მოვალეობად აგენტი უნდა სთვლიდეს საკვირაო სკოლების გახსნას, სახალხო ბიბლიოთეკებისა და სახალხო სასაუბროების გამართვას, რის შესახებაც მას მიუფა ცალკე წესდება.

გარდა ყოველი ამისა აგენტი ვალდებულია გამოიწვიოს მომზადებულნი პირნი ხალხის სიტყვიერი ნაწარმოების შესაკრებლად იმ პროგრამით, რომელსაც მას გაუგზავნის მმართველობა.

საქ. ცსსა, ფონ. 481. საქ. 57, ფურ. 12. სტამბაში დაბეჭდილი. საბუთს თარიღი არ უზის. საქმეში დაცული სხვა საბუთების მიხედვით იგი შედგენილი უნდა იყოს არა უადრეს 1884 წლის 10 იანვრისა და არა უგვიანეს იმავე წლის 31 მარტისა. საქმეში დაცულია იაკობ გოგებაშვილის ხელით ნაწერი და ხელმოწერილი შავი-დედანი.

**36.** 1884 წლის აპრილის 14.—იაკობ გოგებაშვილის თხოვნა კავკასიის საცენზურო კომიტეტისადმი მისი სტატიის „მიუტევებელი დანაშაული“ ყურნალ „ნობათში“ ან სხვა ხალიტრატურო ორგანოში დაბეჭდვის ნებართვის შესახებ, № 194.

Статья моя «Непростительная вина», предназначенная для третьей книги грузинского педагогического журнала «Нобати», не была разрешена Цензурным комитетом к напечатанию. Между тем она вполне цензурна, так как имеет единственную свою целью исключительным

«своим предметом доказать, на основании педагогических и научных данных и соображений, ту вполне законченную мысль, что в семье прежде всего должен изучаться родной язык, как в видах правильного развития детей, так и сознательного и прочного изучения языка государственного и иностранных языков. Будучи убежден, что неразрешение такой вполне законной статьи произошло от неправильного перевода ее младшим цензором г. Исарловым, прошу Цензурный комитет поручить рассмотрение статьи кому-либо из старших цензоров и затем разрешить ее напечатание если не в «Нобати», то в каком-либо литературном органе. Яков Симонич Гогებაшвили.

საქ. ცსსა, ფონ. 430, საქ. 577, დედანი, ი. გოგებაშვილის ავტოგრაფი. საბუთის პირველ გვერდზე ზემო არშიაზე მელნით მინაწერი: „Доложить комитету 14 апреля 84 г.“ საბუთის მეორე გვერდზე საცენზურო კომიტეტის დადგენილება ზელნით: „По журналу цензурного комитета 14 апреля 1884 года определено: ходатайство г. Гогებაшвили признать не подлежащим удовлетворению. Председатель комитета Якимов.“ აღნიშნულა სტატიის რუსული თარგმანი სათაურით „Непостижимое преступление“ დაცულია საცენზურო კომიტეტის ფონდში. იხ. საქ. № 660.

**37.** 1885 წლის მაისის 29, იაკობ გოგებაშვილის განცხადება კავკასიის საცენზურო კომიტეტისადმი, № 357.

В грузинской книге для чтения, под заглавием «Дверь природы», составленной мною, между прочим помещено и этнографическое описание Грузии. Цензор грузинского языка Исарлов из этого отдела вымарал выражение «Западная Грузия» и «Южная Грузия» и заменил их выражениями: «Имеретия» и «Турецкая Грузия». Но я нахожу эти выражения совершенно неправильными, первое выражение потому, что под Имеретию разумеется не весь Рионский бассейн с частью Ингульского бассейна, а лишь Кутаисский и Шорапанский уезды, а второе выражение потому, что хотя Чорохский бассейн прежде назывался Турецкою Грузиею, но после присоединения его к России название употребленное г. Исарловым, противоречит действительности и кроме того оно имеет политический характер, выражение же «Южная Грузия» есть физико-географический термин и вполне соответствует этнографическому описанию. Сверх того, в моей книге описанию административного устройства края предшествует описание природы и жителей с употреблением этнографических терминов, г. Исарлов же требует, чтобы в этнографическом отделе были употреблены и административные термины, что вносит в книгу большую путаницу для учеников. Я готов в начале этнографического отдела оговорить, что Грузия в административном отношении разделяется на две губернии, если сочтет необходимым Цензурный комитет; но употребление вперемежку и этнографических и административных терминов нахожу крайне неудобным. Заявляя об этом Цензурному комитету, имею честь покорнейше просить разрешить мне печатать этнографическое описание Грузии в том виде, в котором он печатался в течение пятнадцати лет и в котором он был доз-

волен самим Исарловым три года тому назад при четвертом издании, приняв во внимание, во-1-х, то, что книга моя не раз была одобряема местным учебным начальством, как светским, так и духовным и, наконец, в последние годы была рекомендована Ученым комитетом, с утверждения министра, равно как и Святейшим синодом, во-2-х, то обстоятельство, что моя физико-географическая терминология есть та самая, которая издавна установилась и которая употребляется решительно во всех исторических и географических книгах, писанных на русском, грузинском и иностранных языках и, в-3-х, то, что в прошлом году летом сам Цензурный комитет признал такую терминологию и правильную и законною в другой моей книге «Деда-эна» — «Родной язык».

Яков Симонис сын Гогებაшвили.

საქ. ცსსა, ფონ. 480, საქ. 685,<sup>2</sup> ფურ. 10-11. დედანი, ხელით ნაწერი. საბუთზე აღნიშნულია: „Должено комитету 29 мая.“

**38.** 1885 წლის ივნისის 5.—იაკობ გოგებაშვილის განცხადება კავკასიის საცენზურო კომიტეტისადმი „ბუნების-კარი“ ტერმინის „საკართველს“ ხმარების აკრძალვის გამო, № 378.

Так как между господином цензором грузинского языка и мною не во всех пунктах произошло соглашение при изменении четырнадцатой формы моей книги «Бунебис-кари» («Дверь природы»), то имею честь просить Цензурный комитет разрешить мне следующее: во-первых, вместо длинного и неудобоваримого заглавия («Краткая география Кутаисской и Тифлисской губернии или бывшей Грузино-Имеретии»), данного г. Исарловым географическому отделу книги, позволить мне отдел этот назвать «Родиноведением», что вполне соответствует его содержанию и характеру; во-вторых, в виду того, что с уездами учащийся осваивается в моих этнографических очерках, по мере ознакомления с частями своей родины, не обязывать меня вначале же перечислить все уезды, тем более, что в отделе об административном устройстве края ученик снова встретится с разделением на уезды и повторит их; в третьих, не обязывать меня, вопреки установившейся терминологии, называть Рионский бассейн в физико-этнографическом отношении Имеретиею, а его обитателей — имеретинами, а — Западную Грузию — западными грузинами, согласно взгляду всех без исключения географов иностранных, русских и местных, а также сообразно прошлогоднему постановлению самого Цензурного комитета. Что же касается до стеснения употреблять термин «Грузия» в смысле этнографическом, провинциальном, то, хотя и вынужден был подчиниться этому стеснению и во многих случаях отступить от пути, начертанного педагогиею, однако ж я нахожу нужным и позволяю себе заявить пред Цензурным комитетом, что такое стеснение не может быть оправдано ни европейскою, ни русскою практикою, так как и там, и здесь этнографические, провинциальные названия пользуются полным правом гражданства и даже в одобренных и рекомендованных учебниках по географии свободно употребляются не только такие термины, как «Малороссия», «Белоруссия»,

«Польша», «Северная польша», «Южная польша», но и такой чисто политической термин как «Царство польское», в чем Комитет может удостовериться из рассмотренных, между прочим, наиболее распространенных учебников Кузнецова и Белохи. Если эти этнографические названия свободно допускаются по отношению к окраинам покоренным, то тем более основания позволять их в приложении к окраине, добровольно присоединившейся к России и всегда выказывавшей к ней полную преданность.

Яков Симонов сын Гогებაшвили.

საქ. ცსსა, ფონ. 480, საქ 685.<sup>2</sup> ფურ. 12. დედანი. იაკობ გოგებაშვილის ხელით ნაწერი. საბუთზე აღნიშნულია „Должено комитету 5 июня“.

**39.** 1886 წლის იანვრის 21.— იაკობ გოგებაშვილის მოხსენება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობისადმი ქუთაისის სააზნაურო სკოლის პროგრამის შესახებ, № 18.

კაი ხანია, რაც ქუთაისის სააზნაურო სკოლის ინსპექტორმა ბატონმა ჭიჭინაძემ წარმოუდგინა მმართველობას პროგრამები სამოსწავლო საგნებისა. ეს პროგრამები გასინჯულ იქნენ ჩემს მიერ, თანახმად მმართველობის მონდობილობისა და ინსპექტორს ეცნობა ის შენიშვნები და შეცდომანი, რომელნიც ჩემგან იქნენ წარდგენილნი. პროგრამები იქმნენ ბატონ ჭიჭინაძისაგან გადაკეთებულნი, თანახმად მმართველობის მოწერილობისა და ხელახლად წარმოდგენილნი მმართველობისადმი. მმართველობამ ხელახლად მომანდო მე მათი გადაშინჯვა და მეც გადაკითხვის შემდეგ წარუდგინე მას ის აზრი, რომ, თუმცა უკანასკნელი რედაქციაც პროგრამებისა არ არის მეთქი უნაკლო, მაგრამ, რადგანაც საქმე ძლიერ გაძნელდა და პროგრამებს დაბეჭვდა უჭირს, ამიტომ მიეცეს მეთქი ინსპექტორს ნება მათი დაბეჭვდისა. მმართველობას ჩემი მოხსენების მოსმენის შემდეგ, დაედო ვალად დამესახელებინა ის ნაკლებევაწებანი, რომელნიც შევამჩნიე. ეს გადაწყვეტილება ჩემთვის სრულიად უცნობი იყო, რადგანაც მე იმ სხდომაზედ ვერ დავესწარი და უწინდელმა საქმისმწარმოებელმა არ შეცნობა არც პირად და არც ქაღალდით. მხოლოდ ახლა შევიტყვე მმართველობის განკარგულება და ვისწრაფი წარმოუდგინო მას ჩემი უკანასკნელი აზრი შესახებ პროგრამებისა..

პროგრამები აწინდელს მდგომარეობაში წარმოადგენენ განვითარებულს და სრულს შრომას, რომელიც ძლიერ დაეხმარება სწავლის რიგიანად დაყენებასა და მსვლელობასა. მაგრამ მაინც ურიგო არ იქმნება მათში მოხდეს ზოგიერთი ცვლილება, სახელდობრ: 1. პროგრამა ქართული ენისა უკან აქვს მოქცეული რუსული ენის პროგრამასა, სამართალი კი ითხოვს, რომ ქართული სკოლის პროგრამებში, ქართული ენის პროგრამა წინ უძღოდეს რუსული ენის პროგრამასა, მით უმეტეს, რომ მოწადენი ჯერ სწავლობენ ქართულ წერა-კითხვასა და გრამატიკასა და მერმე რუსულზედ გადადიან. 2. რუსული ენის თავდაპირველ სახელმძღვანელოდ დანიშნულია ბუნაკოვის ანბანი და



ეს შეუსაბამოდ უნდა ჩაითვალოს: ეს ანბანი, შედგენილია რუს მავშეებისათვის და ქართველებისათვის, მეტი ნაკლებობით გამოუსადეგარია, მით უმეტეს, რომ, თანახმად იმავე პროგრამისა, მოწაფენი ბუნაკოვის ანბანის შემდეგ, რუსულს ენას სწავლობენ არა ბუნაკოვის პირველს საკითხავ წიგნში (Первинка), რომლისთვისაც ამზადებს ანბანი, არამედ უშინსკის „როდნოე სლოვო“-ში. უკეთესი იქნებოდა, ჩემის აზრით, რომ რუსული ენა თავდაპირველად ესწავლებინათ ქუთაისის სააზნაურო სკოლაში ერთს-ერთს ჩვენებურს რუსულის ენის სახელმძღვანელოში და მერმე დაეწყათ პირდაპირ „Родное слово“-ს მეორე ნაწილი. 3. „დედა-ენა“ ქართული ენის სახელმძღვანელოდ არის დადებული მთელი ორი წლის განმავლობაში, მისი გათავება კი ყოველს შემთხვევაში ადვილია წელიწადნახევარსა. 4. სამშობლოს აღწერისათვის მესამე და მეოთხე განყოფილებაში დადებულია ორ-ორი გაკვეთილი. 5. ვალობის პროგრამით პირველს წელიწადს ბავშვებმა უნდა ისწავლონ სიმღერა იმისთანა რთული ლექსებისა, როგორც, „მოგონება“, „გავლესით ძმებო ნამგალი“, „მორბის არაგვი არაგვიანი“, რომელნიც დანიშნული არიან მოზრდილ ყრმათათვის და მოქცეულნი „ბუნების კარში“. თუმცა მოხსენებული ცვლილებანი სასურველნი არიან, მაგრამ თუ ინსპექტორი პედაგოგიური კრებითურთ მათ საჭიროდ არ დაინახავს, ნება უნდა მიეცეს დაბეჭდოს პროგრამები ისე, როგორც წარმოდგენია მმართველობისათვის და მისცეს მასწავლებელთა სახელმძღვანელოდ.

ამას საჭიროდ ვრაცხ დაურთო ერთი აზრი კიდევ: პროგრამების შედგენა და დაბეჭდვა მაშინ არის ფრიად სასარგებლო და საქმისათვის დამხმარებელი ღონისძიება, როდესაც თვითეული საგნის პროგრამას დაემატება რამდენიმე სამაგალითო გაკვეთილი, ყოველგვარი პედაგოგიური ხერხებით. რადგანაც ბატ. ჰიჭინაძისაგან წარმოდგენილს პროგრამებს აკლიათ ამგვარი გაკვეთილები, ამიტომ მმართველობა, ჩემის აზრით, ძალიან კარგს იზამს, თუ მისცემს მას წინადადებას მოკლე ხნის განმავლობაში შეადგინოს მან თავისი მასწავლებლებითურთ სამაგალითო გაკვეთილები ყოველი სამოსწავლო საგნის შესახებ და დაუმატოს პროგრამების ბოლოში. მმართველობის წევრი იაკობ გოგებაშვილი.

საქ. ცსსა, ფონ. 481, საქ. 98, ფურ. 1, 2. დედანი, იაკობ გოგებაშვილის ხელით ნაწერი.

**40. 1886. წლის იანვრის 21.**—**იაკობ გოგებაშვილის მოხსენება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობისადმი საზოგადოებია სკოლების წლიური ანგარიშების შესახებ. № 19.**

ჩემი აზრის წარმოდგენა შესახებ საზოგადოების სკოლების წლიურის ანგარიშებისა და ვაგვიანე იმის გამო, რომ მოველოდი ქუთაისის და სამეგრელოს სააზნაურო სკოლების ანგარიშებს და მინდოდა საერთო მოხსენებაში მომექცია ყველა ანგარიშები. მაგრამ სააზნაურო სკოლებმა აქამდის არ წარმოდგინეს ანგარიშები და დაგვიანებამ ყურადღება უნდა მიამჯციოს მმართველობაში.

ხელთუბნის სკოლის მასწავლებლის ანგარიში ძლიერ მოკლეა, ბევრს საჭირო ცნობებს არ შეიცავს და ამიტომ ძნელია კაცმა ზედმოწევნით აზრი შეადგინოს სკოლის მდგომარეობაზედ. სწავლის მსვლელობაზედაც არავითარი ცნობა არ მოიპოვება, გარდა იმისა, რომ ამდენი და ამდენი გვერდი წიგნისა გავათავეო. მაგრამ როგორ გაათავა, რა ხერხებს ხმარობდა, რა დაბრკოლებას ზედავდა, როგორ ასწავლიდა წერას, გალობასა — ამაზედ და ამისთანაებზედ სრულს სიჩუმეს იჩენს მასწავლებელი. ეს დაუდევრობა მით უფრო სასტიკი შენიშვნის ღირსია, რომ ხელთუბნის სკოლა ახლად არის დაარსებული და ბევრი რამ საყურადღებო ითქმებოდა. გარდა ამ ლატაკი ანგარიშისა მასწავლებლის დაუდევრობა იქიდანაც სჩანს, რომ, რაც იგი განწყობულია, არც ერთხელ არ უნახავს მმართველობის წევრები, არც ერთს არ დაჰკითხვია სკოლის საქმეზედ, არც ერთი კითხვა არ აღუძრავს, თითქოს ხელთუბნის სკოლამ არც სიძნელე იცოდეს და არც დაბრკოლება.

სამაგიეროდ ანგარიშები ბათუმისა და თიანეთის მასწავლებლებისა საკმაოდ ვრცელი და განვითარებულია, — ეტყობა, რომ მასწავლებლები ერთგულად ეკიდებიან საქმესა, ყოველს მხარეს სკოლისას ჯიჯივანს ყურადღებას აქცევენ და ამიტომ მათდამი მინდობილი სკოლები წარმოადგენს ცოცხალს ორგანიზმს. ორივე სკოლაში წლის განმავლობაში უსწავლიათ იმდენი, რამდენიც პროგრამით არის დადებული. ორივე სკოლაში დაცული ყოფილა სასკოლო რიგი და წესი. ბატ. ნათაძის ანგარიშს აკლია მხოლოდ ერთი ცნობა, სახელდობრ: მოწაფეთა სიაში არ არის ნაჩვენები ბალებით თვითიული მოწაფის წარმატება და აგრეთვე არ არის მოხსენებული, თუ რამდენს გაკვეთილს დააკლდა წლის განმავლობაში თვითიული მოწაფე. არც შეცდომას არის სრულიად მოშორებული მარჯვე მასწავლებელი ბათუმის სკოლისა. იგი თურმე ბევრს სახელმძღვანელოს ხმარობს რუსული ენის სწავლების დროსა. მეორე განყოფილებაში ასწავლის კალანდარიშვილის წიგნში, მესამეში — სიმენოვის „Дар слово“-ში, მეოთხეში უშინსკის „Родное слово“-ში. რასაკვირველია, ვერც ერთს წიგნს ვერ ათავებს, დაახტება მეორე წიგნზედ მაშინ, როდესაც პირველი წიგნის მესამედიც არ შეუსწავლიათ. უკეთესი იქნებოდა ბევრად, რომ ბატ. ნათაძეს მეორე და მესამე განყოფილებაში გაეთავებინა მთლად კალანდარიშვილის წიგნი და შემდეგ ეხმარა ერთ-ერთი — ან სიმენოვის წიგნი და ან უშინსკისა... არ შეიძლება ისიც არ შევნიშნო, რომ მასწავლებელთა ძალას ატანს რუსულის გრამატიკასა, რომელსაც სახალხო სკოლაში ან სრულიად არ უნდა ჰქონდეს ადგილი და ან ძლიერ ნაკლებად. ბატონ ჭილაძესაც მოსვლია ორიოდე მსხვილი შეცდომა. იგი, როგორც ანგარიშიდან სჩანს, რუსულს ენას მეორე განყოფილებაში ასწავლის გრამატიკული ახსნით, როდესაც ქართული გრამატიკისაც არა იცოან რა ბავშვებმა. გალობაშიაც მოსვლია მსგავსი შეცდომა. ბატ. ჭილაძე თურმე რუსულის ჰანგზედ ამღერებს ქართულს ლექსებსა, რაც დამამახინჯებელია ჩვენი ეროვნული სიმღერებისათვის და უნდა უთუოდ აკრძალულ იქნას... ბატ. ჭილაძის ანგარიში არკვევს ერთს დიდს დაბრკოლებას, რომელიც ლოდივით წინ ეღობება წარმატებასა. ეს დაბრკოლება არის ხშირად დაკლება გაკვეთილებზედ მოწაფეებისა, რომელიც ხდებ-

ბა მშობელთა და ნათესავთა დანაშაულობით, როგორც პირად ამიხსნა ბატ-მასწავლებელმა. თითქმის მესამედ გაკვეთილებზედ აკლდება ხუთეული მოწაფე, რის გამოც სწავლება უხდება მას ბევრი-ბევრი ოთხი თვის განმავლობაში. ამ დაბრკოლებას მმართველობამ უნდა მიიქციოს მთავარი ყურადღება და მასწავლებლებთან ერთად იხმაროს რაიმე შესაბამი ღონისძიება...

ჩვენი სკოლების პრაქტიკა ჰბადავს ერთს კითხვას, რომელიც გაშინჯული და განხილული იყო წინათაც, მაგრამ გადაჭრილს დადგენილებას ვერ ეღირსა. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ ერთს მასწავლებელს შეუძლიან ასწავლოს წარმატებით მხოლოდ ორს განყოფილებასა, ჩვენს სკოლებს კი აქვთ ოთხი წლის კურსი. როგორ მოვიქცეთ, რომ თვითუღს სკოლაში იყოს მხოლოდ ორი განყოფილება? შეიძლება მოწაფეთა მიღება იქმნას არა ყოველწლივ, არამედ წლის გამოშვებით, — პირველსა მესამე წელში, — ან არა და ორბირი სწავლება უნდა იყოს, ესე იგი მასწავლებელმა ასწავლოს დილით ორს განყოფილებას და სადილის უკან ორს დანარჩენს განყოფილებასა. ვიდრე ამ საგანზედ დასკვნას დაადგენდეს, მმართველობამ უნდა მოსთხოვოს აზრი ყველა თავის მასწავლებლებსა და შემდეგ ამისა იჭონიოს სჯა. მმართველობის წევრი იაკობ გოგებაშვილი.

საქ. ცსსა, ფონ. 481, საქ. 102, ფურ. 2. დედანი, ხელით ნაწერი.

**41. 1886 წლის იანვრის 21.**—**იაკობ გოგებაშვილის მოხსენება წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობისადმი მასწავლებელთათვის სასწავლო პროგრამების შედგენის შესახებ, № 19.**

ამ ხუთი-ექვსი წლის წინედ მმართველობამ შეადგინა პროგრამები სა-მოსწავლო საგნებისა თავისი სკოლებისათვის. მაგრამ ეს პროგრამები უფრო მთავრობისათვის იყო დანიშნული, ვიდრე სახემძღვანელოდ მასწავლებელთათვის. ამიტომ მათ აქვთ საზოგადო ჩასიათი და ძლიერ აკლიათ განვითარება. აუცილებლად საჭიროა ამ ცოტა ხანში შეადგინოს მმართველობამ სხვა პროგრამები, ვრცელი, კონსპექტური და მათ დაუმატოს რაოდენიმე სამაგალითო განაკვეთი თვითუღსი საგნის შესახებ და შემდეგში დაიბეჭდოს. ამგვარი პროგრამები სამაგალითო გაკვეთილებით დიდს სიკეთეს მოუტანს არა მარტო წერა-კითხვის საზოგადოების სკოლებსა, არამედ ყველა პირველდაწყებითს სკოლას ძლიერ დაეხმარება. მე პირად ვალად ვიღებ შევადგინო ვრცელი პროგრამა ქართული ენისა და ქართული წერისა სამაგალითო გაკვეთილებით. სხვა საგნების პროგრამების შედგენა ადვილად ჩეუძლიან მმართველობის იმ წევრებს, რომელნიც მასწავლებლებად არიან. მმართველობის წევრი იაკობ გოგებაშვილი.

საქ. ცსსა, ფონ. 481, საქ. 102, ფურ. 1. დედანი, ხელით ნაწერი.

**42. 1886 წლის ნოემბრის 14.**—**იაკობ გოგებაშვილის მოხსენება წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობისადმი ბათუმის, ქუთაისის და ხელთუბნის სკოლების რევიზიის შედეგაზე.**

თანხმად გამგეობის მონდობილობისა, მე გავშინე სექტემბრის და ოქტომბრის დამდგეს სამი სკოლა საზოგადოებისა: ბათუმისა, ქუთაისისა და ხელთუბნისა.

ბათუმში ჩავედი 18 სექტემბერსა, თერთმეტ საათზე და მეორე დღელადვე გამოვცხადე სკოლაში. დავესწარი თითქმის ყველა გაკვეთილებზედ. ძლიერ გავოცდი, როცა ქართველ მუსულმანთაგანი არც ერთი მოწაფე არ დამიხედა სკოლაში. მასწავლებელმა მითხრა, რომ მხოლოდ სამი დღეა, რაც სწავლა დაიწყო და მუსულმანები ჯერედ არ გამოცხადებულანო. აღმოჩნდა, რომ მუსულმანს მოწაფეებს თითქმის ჩვეულებად ჰქონიათ ქრისტიანებზედ გვიან გამოცხადება სკოლაში, ხშირად დაკლება გაკვეთილებზედ და საზოგადოდ გულაცრუებით მოპყრობა სკოლისადმი. მე ყველაზე უფრო საჭიროდ მიმაჩნდა გამეგო, რამდენად ითვისებენ ქართულს წერა-კითხვას და საზოგადოდ სწავლას მუსულმანი ქართველების შვილები და ამიტომ ვსთხოვე მასწავლებელს, რომ ორშაბათისათვის მაინც შეეგროვებინა ხოჯის შუამავლობით მუსულმანი მოწაფეები. მასწავლებელმა ამითქვა და კიდევაც შეასრულა. ორშაბათს რომ სკოლაში მივედი, იქ დამხედა რამდენიმე ფესკიანი ბავშვი თავისი ხოჯითა. მაშინვე შეუდექი მოწაფეების გამოცდასა და უმთავრესი ყურადღება მივაქციე მუსულმანებსა. მეოთხე განყოფილებაში მყოფი ფესკიანი მოწაფე ძლიერ სუსტი აღმოჩნდა, როგორც კითხვაში, ისე წერაში. რაც იმან იცოდა მეორე განყოფილებაში უნდა იცოდეს შუალა მოწაფემა. მესამე განყოფილების ფესკიანი მოწაფე კი ყოჩალი აღმოჩნდა, — იგი არ დაუვარდება წერა-კითხვაში თავის საუკეთესო ამხანაგებსა. რაც შეეხება მეორე განყოფილების მოწაფეებსა, ესენი თითქმის ყველანი სუსტნი აღმოჩნდნენ. როცა მე ვკითხე მასწავლებელს მიზეზი ამ სუსტი წრმატებისა, მან მითხრა, რომ მუსულმანები გულს არ უდებენ სწავლასა და ამაში თვითონ ხოჯაც (ქანელია) დამნაშავეაო, რადგანაც ფიქრი აქვს, ვაი თუ ქართული ენის სიყვარულმა, ქართული წერა-კითხვის მიყოლამ გული გაუგრილოს თავის სჯულზედ და ქრისტიანობისაკენ მიიზიდოსო. ამიტომ იგი ცდილობს, ბავშვები დიდხანს არ დარჩენ სკოლაში და რაც ხანი არიან, უმთავრესი ყურადღება ყორანზედ ჰქონდეთ დამყარებულთ. მართლაც, ერთს ფესკიანს მოწაფეს წავაკითხე ყორანი მასწავლებლის ოთახში, ვასილი ყიფიანის დასწრებით, და ჩვენ ყველანი განცვიფრებულნი დავრჩით, ისე ხელოვნურად კითხულობდა ბავშვი წიგნსა გაუგებარს ენაზედ. როგორც შევიტყვე, ხოჯა მზად იყო ერთ დღესვე გაეყვანა სკოლიდან ბავშვები მუსულმანები, თუ მას ჯამაგირი ამის გამო არ მოაკლდებოდა.

რაც შეეხება ქრისტიან მოწაფეებსა, რომელნიც არიან შვილები იმერელი და მეგრელი მეღუქნეებისა, მათ ბეჯითად უვლიათ სასწავლებელში, შეგნებით შეუთვისებიათ ყველა საგნები და გონების გახსნილობაც საქმარისად ეტყობათ. მეტადრე მოსაწონა მათი ცოდნა სამშობლო ქვეყნისა, საქართველოსი, რომლისთვისაც ჯეროვანი ყურადღება მიუქცევია მასწავლებელსა. არც

ერთს სკოლაში არ მინახავს, რომ ამდენი ყურადღება მიექციოს რომელსამე მასწავლებელს სამშობლოს შესწავლისათვის, რამდენიც ბატონ ნათაძეს უხმარნია. მასწავლებელი მხნე, გამოცდილი, ხერხიანი და ერთგული მასწავლებელია. მხოლოდ ერთი საგანი — ქართული წერა — ჩამოუტრჩხება სხვა საგნებსა და ძლიერ კოჭლობს. როგორც ამ ნაკულლოვანებაზედ, ისე ზოგიერთ სხვებზეც მე დაწერილებით მოველაპარაკე ბატონ ნათაძეს და იმედი მაქვს რომ ჭეროვნულად ისარგებლებს შენიშვნებით და დარიგებით.

საზოგადოდ, ბათუმის სკოლა მიუცილებლად სასარგებლო დაწესებულებაა, მით უმეტეს, რომ მეგრელები აქ სწავლობენ ქართულ წერა-კითხვას იმდენადვე, რამდენადც სხვა ქართველები. მაგრამ, რადგანაც ჩვენს ლაიბ საზოგადოებას იგი უზის დიდძალი ფული, ამიტომ უთუოდ გადატანილი უნდა იქნას ერთ რომელსამე დიდს ქარაველ მუსულმანთ სკოლაში, იმისთანა სოფელში, რომელიც იკისრებს აშენებას ან დაქირავებას სასკოლო სახლისა, შეშის ზილვას სკოლისათვის და მოსამსახურის დაქვრას. გამგებობამ უნდა იკისროს მხოლოდ გამაგირი მასწავლებლებისა და სახელმძღვანელობისა გაგზავნა, რაც მონდომებს ორმოცდა ხუთ თუნამდის.

ბათუმიდამ ქუთაისს ავედით და გავეშინე იქაური სააზნაურო სკოლა. ორი დღის განმავლობაში დავდიოდი მოსამზადებელ კლასებში და დავრწმუნდი, რომ გარდა ზოგიერთი წვრილმანი ნაკულლოვანებისა, რაზედაც მე მოვილაპარაკე ინსპექტორთან და მასწავლებლებთან, იგი წარმოადგენს კეთილგანწყობილს სასწავლებელს. სწორედ ღირსია დიდი მადლობისა ბატონი ალექსანდრე ჭიჭინაძე, ყოფილი ინსპექტორი ამ სკოლისა, რომელმაც კი ხნის განმავლობაში ფრიად ეთრუვლად, მხნედ და პატიოსნად ემსახურა ამ სკოლასა. ვთხოვ გამგებობას დაადგინოს მადლობის გადახდა და საჯაროდ გამოაცხადოს გაზეთის შუამავლობით.

შემდეგ ვნახე ხელთუბნის სკოლა. დავესწარ ყველა გაკვეთილებზედ და გამოვცადე ყველა საგნებში მოწაფეები. მასწავლებელი აღმოჩნდა ერთგული მნათე, გონებაც უჭრის, ხერხიც აქვს, მაგრამ საგნების სწავლებაში მრავალი შეცდომა, უფრო წვრილმანი კი, მოსვლია. ეს შეცდომანი მას დაუხსახელე, განვუმარტე და მან აღმითქვა შემდეგისათვის ერიდოს. ძირითადი ნაკულლოვანება ამ სკოლისა არის სახლის მოუხერხებლობა. ბალკონი ზემო ეტაჟისა და კიბე ისეა დამბალი, რომ მასწავლებელი, რომელსაც მეორე ეტაჟში აქვს სადგური ოთახი, ყოველთვის შიშის ქვეშ არის ასვლა-ჩასვლის დროსა. მიუცილებლად საჭიროა დაჩქარდეს სახლის აშენება ხელთუბანში.

სკოლების დაშინჯვამ დამარწმუნა, რომ ჩვენი სკოლების პროგრამებს ეჭირვება ცვლილება, განვითარება და საზოგადოდ გაუმჯობესება. თუ გამგეობა ინებებს, მე მზად ვარ ვიკისრო ეს შრომა...

თუმცა მე ამ რევიზიის დროს ფულა ბლომად დამეხარჯა, მაგრამ, რადგანაც მე ძლიერ გაჭირვებული არა ვარ და საზოგადოების კასა კი ძლიერ ნაკულლად არის, ამის გამო გამგეობას მე საგზაოს არ ვთხოვ. გამგეობის წევრი იაკობ გოგებაშვილი.

საქ. ცსსა, ფონ. 481, საქ. 99, ფურ. 31, 37, დედანი, ხელით ნაწერი.



**43. 1887 წლის მარტის 27. — იაკობ გოგებაშვილის მოხსენება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მმართველობისადმი ძველი ხენაკის და ქუთაისის სააზნაურო სკოლების შექაზებ.**

თანხმად მმართველობის მინდობილებისა, მე განვიხილე როგორც ძველის სენაკის სააზნაურო სკოლის წლიური ანგარიში, ისე განაჩენი ქუთაისის სააზნაურო სკოლის პედაგოგიური რჩევისა ყოველდღიური გაკვეთილების განაწილებითურთ.

გარდა ამისა, რუსული მმართველობის პირველ წლებშივე თარხნობის საკითხის ვარშემო გაჩნდა ბევრი სხვა გაუგებრობაც. ჯერ ერთი, გადასახადების თარხნობა ყველა იმაზე არ გავრცელდა, ვისაც მეფეების დროს ჰქონდა ამისი უფლება. ზოგმა ვერ შესძლო ამისი ახალს პირობებში დროზე გაფორმება. ზოგი კიდევ 1811—1812 წლის ქამისა და შიმშილის დროს იმერეთიდან გადავარჩილი იყო და უკან დაბრუნებისას ვერ ახერხებდა წინანდელი სათარხნო უფლების ადვილად აღდგენას და სხვ. ამიტომ რუსულმა ადმინისტრაციამ ბოლოს გადაწყვიტა შეეკრიბა ყველა ამოწურავი ცნობები მეფეების დროს იმერეთში არსებული თარხნობის უფლების შესახებ და ამ მიზნით მოსთხოვა შემამულეებს და თარხნობის პრეტენზიის მქონე სახაზი-

ნო გლეხებს წარმოედგინათ სათანადო საბუთები. ეს მოხდა 1819 წელს. საბუთები წარდგენილ იქნა იმერეთის მმართველობაში, სადაც შედგენილ იქნა რუსულად ამ საბუთების სრული ნუსხა ოლქების მიხედვით, ე. ი. ცალ-ცალკე ქუთაისის, ვაკის, შორაპნისა და რაჭის ოლქებისათვის. ეს ნუსხა წარმოდგენილია ცენტრ. საისტორიო არქივის მე-1451 ფონდში დაცულ საქმეში, რომელიც ქვემოთ იბეჭდება. ძველი საბუთების განყოფილებაში დაცულია კიდევ ნაწილი სათარხნო სიგელების დედნებისა, რომელიც თანდართული იყო აღნიშნულ საქმეში, ხოლო ამჟამად შეტანილია ცალკე ნომრებით ფონდში № 1448. გარდა ამისა, ამ საქმიდანვე საკითხის გასარკვევად მოგვყავს ზოგიერთი მიწერ-მოწერა, რომელსაც კავშირი აქვს თარხნობის პრობლემასთან.

ამ საქმიდან არ ჩანს, თუ რა პრაქტიკული შედეგი მოჰყვა სათარხნო სიგელების რეგისტრაციას და ნაწილობრივ მათ შეკრებას. მალე იმერეთში მოხდა დიდი აჯანყება (1819 — 1820 წლებში), რის შედეგად იმერეთის საგადასახადო სისტემაში შეტანილ იქნა ზოგიერთი ცვლილება. როგორც ჩანს, მაშინ გაუქმებულ იქნა სათარხნო და შეუვალობის ის პრივილეგიები, რომლითაც იმერეთის მეფეების დროიდან სარგებლობდნენ მემამულეები. ამის შემდეგ ყველა გლეხი ვალდებული გახდა გარკვეული გადასახადები გაეღო სახელმწიფოს წინაშე. ფეოდალური მმართველობის ამ ნაშთს — თარხნობას ამით ბოლო მოეღო.

ქვემოთ რუსული ტექსტი იბეჭდება უცვლელად, მაგრამ ეხლანდელი ორთოგრაფიით. საკუთარი სახელების ადვილად მისაცნობი დამახინჯებანიც დაეტოვებოდა უცვლელად, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში მთელს ტექსტს დასჭირდებოდა შესწორება, რაც მიზანშეწონილად არ უნდა ჩათვალოს.

რუსული ტექსტის შემდეგ იბეჭდება ის ქართული საბუთები, რომელიც თანდართული იყო ხსენებულ საქმეში ანდა ცალკე იქმნა აღმოჩენილი. ქართული ტექსტები იბეჭდება უცვლელად, მხოლოდ არ არის დაცული მართლწერა, სახელდობრ სასტამბო ტექნიკური პირობების გამო ამოღებულია ხმარებაში ეხლა არ მყოფი ძველი ქართული ასოები. ყველა საბუთი არის დედანი.

რუსული მიწერ-მოწერა თარხნობის ამ საბუთების შეკრების გამო ინტერესს არ წარმოადგენს და ამიტომ გამოუყენებელი დარჩა.

**1. 1750 წ.—იმერელ ბატონიშვილის თეიმურაზის წყალობის წიგნი ბუჭუა და ტეტუა ლორთქიფანიძეთა სახელზე მათი უმებისთვის საურის ამოკვეთის შესახებ.**

სახელითა ღვთისითა მამისა, ძისითა, სულისა წმინდისათა, მინდობითა და შუადგომლობითა ყოვლად წმინდისა ღვთის მშობელისა დიდებულისა დედოფლისა მარიამისათა მინდობითა და შუამდგომლობითა, ესე საბოლოო გასათავებელი მტკიცე და შეუცვალეებელი წყალობისა საფიცარი წიგნი დაგიწერეთ და გიბოძეთ ჩვენ ბატონმა ბატონიშვილმა თეიმურაზ და თანამეცხედრემან ჩემან ბატონმა ერისთვის ასულმან ანამ თქვენ ჩვენს ერდგულს ყმას ლორთქიფანიძეს ბუჭუასა და ტეტუას, შვილთა და მომავალთა თქვენსას ასე და ამა პირსა ზედან, რომე დაგვეაჯენით და შამოგვეხვეწეთ, ქრთამიც ისე მოვართვი, როგორათაც ვული შეგვიჯერდებოდა. ვისმინელ აჯა და მოხსენება თქვენი და ჩვენ წყალობა გიყავით, ამოგიკვეთეთ თქვენის ყმის საური, ასე რომე ჩვენგან და არას მებატონისაგან თქვენ თქვენი ყმის საური არ გეთხოვოს და არც გადაგზდესთ. ამისათ გასათავებლათ მოგვიცემია თავთა ღმერთი და ყოველი მისი წმინდანი. ვინაც და რამაც ძემან კაცისამან თქვენ ეს ჩვენი წყალობის საფიცარი წიგნი მოგიშალოს, ისიმც შეიშლება სჯულის ქრისტიანობისაგან, მასამც რისხავს მამა, ძე და სული წმინდა, ხორციელი და უხორციონი, ზეციერი და ქვეყნიერი. კაცთავან ამისა გამრიგე და მოწამე მიქლადე თეიმურაზ და დავით, მოურავი აბულადე ქაიხოსრო და პაპუნა. არის ამისი მოწამე წინამძღვარი სვიმონ მაიღნისა, ჯეღერია ივანე. ლორთქიფანიძე სვიმონ. დაწერა წიგნი ესე ქველი ჭაფარიძისაგან, რვესა აპრილს ბ. ქორონიკონს ქრისტეს აქეთ ათას შვიდას ორმოცდაათს.

ბუჭუდი (მხედრულით): დავითიან ვარ ტომობით, მხმობენ უფლისწულობით (ასომთავრულით): თეიმურაზ.

ცსსა, ძსგ, ფონდი № 1448, № 9575; დაწერილია მხედრულათ ქალღღებ ზომით 44×31,5 სანტ.; ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ იხმარება თითო წერტილი.

**2. 1764 წ.—სოლომონ I-ის წყალობის წიგნი ბუჭუა და ტეტუა ლორთქიფანიძეთა სახელზე მათი გლეზების განთავისუფლების შესახებ საურისაგან.**

ქ. ნებითა და შეწვევითა ღთისათა ესე უკუნისამდე საბოლოოდ გასათავებელი წყალობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და გიბოძეთ ჩვენ ღთიე ზეცით კურთხევით გვირგვინოსანმან იესიან დავითიან სოლომონიან პანკრატოვანმან მეფეთ მეფემან ბატონმან სოლომონ და თანამეცხედრემან ჩვენმა დადიანის ასულმა დედოფალთ დედოფალმა ბატონმა მარიამ, პირმშომან დასასურველმა ძემან ჩვენმა ბატონიშვილმა ბატონმა ალექსანდრემ შენ ლორთქიფანიძენს ბუჭუას და ტეტუას, თქვენთა შვილთა და მომავალთა ასე რომე

წყალობა გიყავით და ქრთამიც სრული მოგვართვით, რაც საჩინოს ყმა ვყავთ, ამისი საური თქვენს ყმას არ ეთხოვს არასოდეს. თუ თქვენ ჩვენი ერდგული, სიტყვის და ბრძანების მორჩილი იყოთ, არასოდეს ჩვენი წყალობა თქვენ არ მოგეშალოსთ. ვინცა რამანცა კაცმა, დიდმან ანუ მცირემან, ეს ჩვენი წყალობა წიგნი შევიშალოს, მასმცა რისხავს მამა ღმერთი, ძე ღმერთი, სული წმინდა ღმერთი, ყოველი მისი წმინდანი ზეცისანი და ქვეყანისანი, ხორციელნი და უხორცონი, ჩვენისამც ცოდვის ნუქვით იმ სოფელს განიკითხვის. არის ამისი მოწამე წერეთელი ნიკოლოზ, სახლთხუცესი პაატა მესხი, წულუკიძე ბერი და პაატა, მესხი ამირან და თამაზა. მე დავით მდივანს დამიწერია. დამწერა ქორთიკონს ჩ ლ ა ე ნ ც ე ნ ის თ ვ ის ს.

ბ ე ქ ე დ ი მ ს ხ ე დ რ უ ლ ი თ : დავითის ნორჩი, ჯვართ მტერს მოვრჩია (ასომთავრულად): მეფე სოლომონ.

ქ. ბატონის კუროხეულის ბიძის ჩემის მეფის სოლომონის ბრძანებას და ბოძებულს წიგნსა ამას ნებითა ღმრთისათა მეფე იმერეთისა ძე არჩილისა სოლომონ ვამტკიცებ.

ბ ე ქ ე დ ი ა ს ო მ თ ა ვ რ უ ლ ი თ : მეფე იმერეთისა სოლომონ.

ქ. სრულიად იმერთა დედოფალი დადიანის ასული მარიამ ვამტკიცებ.

ბ ე ქ ე დ ი მ ს ხ ე დ რ უ ლ ი თ : დედოფალი მარიამ.

ესსა, ძსგ, ფონდი № 1448, № 9680; დაწერილია მხედრულათ ქალაღზე ზომით 44×19,3 სანტ.; ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ იხმარება თითო წერტილი.

**მ. 1765 წ.—სოლომონ I-ის შეწირულების წიგნი ჯგურუქის მონასტრის სახელზე ამ მონასტრისათვის ხაში კომლი გლეხის შეწირვის შეახებ.**

ქ. ოი ღვაწლისა მძლეო და მოწამეთა შორის მხნეო, რომელმან ისიბრძნე აღრჩევა წინა აღრჩევითა თქმულებრ დამსკელისა ვითარ შესწავება სახმარ არს, ვითარმედ სათნოვება უკვე მღრთისა მიერ მიეცა ბუნებასა შინა და თვით იგი არს ყოვლისა კეთილისა დასაბამი და მიზეზი და თვინიერ შეწევნისა და თანა მოქმედებისა მისისა შეუძლებელ არს ჩვენგან მნებება ანუ კეთილისა ქმნა. ხოლო შენ, კეთილო, აღრჩევითა მძლევერ ბუნებასა მშვენნიერთასა, ვარდოფერ მშვენნიერო, სამყაროთა მნათობრთაებრ მცხინვარეო, ზღვაო მწყნარად მღელვარეო, მოწამეთა შორის წარჩინებულო, შვიდ წილ უძლეველო დიდო მოწამეო გიორგი, რომლისა ძალითა ჩვენ შენ ზედა სასოვების დამდებმა და წარმათებისა მავედრებულმა საწინასწარმეტყველოთა ძირთაგან აღმოცენებულმან უფლისა მიერ ცხებით მღრთივ გვირგვინოსანმან იმერთ მეფემან სრულიად იმერეთისამან კედრის-კედრამდის მ(ბ)ყრობმან დავითიან სოლომონიან პაკრატონმან მეფეთ მეფემან სოლომონ, თანამეტყვებულმან ჩვენმან დედოფალთ დედოფალმან დადიანის ასულმან ბატონმა მარიამ და პირმშომან სასურველმა ძემან ჩვენმან ალექსანდრემ შამოგწირეთ ითხვის ერთი გლეხი ბარჯაძე მამუკასშვილები, ჭილუანს

ერთი გლეხი ტყემალაძე ზაქარია მისის ამისწულებიანა, სკინდორს მხალაძე ერთი გლეხი კაჭინა, სესიკი და გიგეტი მხიარული მისის ძმინათ მათის მამულ ალაგით და ყოვლის ფერით მათის საქებრით და უძებრით და ან აწ რაც, აწი შამოგეწიროს და ან შენი მონასტრის ჯრუჟისაგან რაც დაიხსნას შენის თეთრით და დესახლოს მონასტრისათვის, იმათ არ ეთხოვებოდეს საურა, საუდიერო და სათხოვარი და მუშაობა არც ჩვენგან და არც ჩვენი ნებადართულის კაცისაგან. ვინც ეს ჩვენი შამოწირული სიგელი და წიგნი შენი ჯრუჟის მონასტერს მოუშალოს და გამოახვას ანუ ჩვენთა შემდგომთა მეფეთაგან, ანუ დიდმან ანუ მცირემან, მასამც რისხავს თვით დაუსაბამო ღმერთი და ყოველნი მისნი წმინდანი ზეცისანი და ქვეყანისანი. შეჩვენებულმც იქნება შვიდთა კრებათაგან, ათორმეტთა მოციქულთა და ოთხთა პატრიარქთაგან და ყოველთა სათნო ყოფილთა წმინდათაგან. ვინც ხელ ყოს შლად და გამოხეებად, მასამც დაერთვის შიშთვილი იუდასი, ძრწოლა კენისა, კეთრი გეზის, მეხის ტეხა დიოსკორესი, დანთქმა დათან და (ა)ბირონისი. ამის სანაცვლოდ წირვა დაგადევით თქვენ ერთობით ჯრუჟის კრებულს: თორმეტს საუფლოს დღეს და გიორგობას ცხოვრებისა ჩვენისა წარსამართებულად და სულისა ჩვენი საოხად, ძეთა და ასულთა ჩვენთა აღსაზრდელად კაცთაგან ამის მოწამე და გამრიგე ძმა ჩვენი ბატონიშვილი გენათელ მიტროპოლიტი იოსებ, ქუთათელ მიტროპოლიტი მაქსიმე, რაჟის ერისთავი როსტომ და მე მეფის მოძღვარს და კარის მწირველს მღვდელს წერეთელს სვიმონს დამიწერია. გამირიგებია და მოწამეცა ვარ ამისი. დაიწერა ქრისტეს აქეთ ჩ ღ ა ე.

ბეჟდები სოლომონ მეფის და ალექსანდრე ბატონიშვილის.

არშიაზე სხვა ხელით მიწერილია: აწ ასე ბარჯაძე საამიშვილის კაცი იყო და მასვე უბოძეთ და თქვენ ამისდა სანაცვლოთ შემოგწირეთ ორი გლეხი კაპანაძე და ყიფშიძე და ვინცა თქვენ ესენი გამოგწიროს, წყეულმცა არს ოთხთა პატრიარქთაგან.

თვით ტექსტში სიტყვებთან „შამოგწირეთ ითხვის ერთი გლეხი“ ჩაწერილია კიდევ სხვა ხელით: ბარჯაძის სანაცვლოთ შემოგწირეთ ორი გლეხი — კაპანაძე გიგეტი და ყიფშიძე სეხნია.

ცსსა. ძსკ, ფონდი № 1448. № 9685; დაწერილია მხედრულათ ჩალაღზე ზომით 44×28,7 სანტ.; ნიშნად იხმარება ყოველი სიტყვის შემდეგ თითო წერტილი.

**4. 1766 წლის ახლობ.**—იმერეთის მეფის თეიმურაზის წყალობის წიგნი სვიმონ და უმცროს სვიმონ ლორთქიფანიძეთა სახელზე მათი გლეხებისთვის საურის ამოკვეთის შესახებ. საბუთის თარიღი (ჩღაი) შემცდარია.

ქ. ნებთა და შეწვენითა მღვთისათა ესე წყალობის წიგნი გიბოძეთ ჩვენ ბატონმა მეფე თეიმურაზ შენ ჩვენს ერდგულს ყმას სვიმონ ლორთქიფანიძეს





და შენს ძმისწულს უნცროს სვიმონს ლორთქიფანიძეს ასე და ამა პირსა ზედან, რომე შამოგვეხვეწე და ვისმინეთ აჯა და მოხსენება და სურელოზე პარტახი მისი ყოველისფერით, რაც იმ პარტახის შემავალი ჭური და მამული იყოს. იმიანათ თქვენთვის წყალობათ გვიბოძებია და თქვენი გლეხების საურიც ამოგვიკვეთია, ასე რომე არას დროსა და ჟამშიდ თქვენი გლეხების საური აღარაოდეს აღარ გეთხოვებოდესთ. აწ ვინც და რამაც ძემან კაცისამან თქვენ ეს ჩვენი წყალობის წიგნი შეგიშალოსთ, წყეული და შეჩვენებულმც იქნება მღვთისაგან და ყოველის მისის წმინდანებისაგან, შეიდის კრებია და ათორმეტის მოციქულთაგან და ოთხის პატრიარქისაგან და ყოველის მართმადიდებელის ეფისკოპოზისაგან. კაცთაგან ამისი მოწამე მიქელაძე როსტომ და დავით, აბულაძე ქაიხოსრო, ლორთქიფანიძე ტეტუა. დიეწერა მღვინის ჩვენის დათუნას ზელით, ქორონიკონს ქრისტეს აქეთ ჩ ლ ა ი.

ბ ე ქ ე დ ი (ასომთავრულით): მეფე თეიმურაზ.

ცსსა, ძსკ, ფონდი № 1448, № 9674; დაწერილია მხედრულათ ქალაღზე ზომით 41×12,6 სანტ.; ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ იხმარება თითო წერტილი.

**5. 1770 წ.—სოლომონ I-ის წყალობის წიგნი ფუტკარაძის სახელზე საუ-  
რის, საუდიეროს და ხორცის ფასის მისთვის ამოკვეთას შესახებ.**

ქ. წყალობითა და მინდობითა ღვთისათა ჩვენ ღვთისა მიერ ამალღე-  
ბულმან, დიდათ სახელოვანმან, ძლიერმან და არა ვისგან ძლეულმან სრუ-  
ლიად აფხაზ იმერთა მეფეთ მეფემან დავითიანმან სოლომონ ასე საუკუნოდ  
გასათავებელი, მტკიცე და უცვალოდ წყალობა და წყალობის წიგნი აღვი-  
წერინე და გიბოძე შენ ფუტკარაძეს მახარობელას და შენს შვილსა და მო-  
მავალს ასე და ამა პირსა ზედა, რომ ღოღაბერიძე ბერს ოდიშს ეშოვნე და  
დაეხსენი და ჩემს მიწა ადგილს და წყალზედ დაესახლებინე ჯიხაიშ და მე  
მევედრა შენი ბატონი ღოღაბერიძე ბერი და წყალობა გიყავი და აღმოგიკ-  
ვეთე ჩემი მოსართმევი სახელმწიფო საური და საუდიერო და ხორცის ფასი,  
რაც სახელმწიფო გარდასახადი მოვიდეს ჯიხაიშ, არასფელი არც გეთხოროს არც  
შენ და არც შენს შვილსა და მომავალს არც ჩვენგან და არც შემდგომთა  
სხუათა ხელმწიფეთა და მეპატრონეთაგან. აწ თუ ვინმემ იყადროს და ხელ-  
ყოს შლად ამ ჩემს მიერ ბოძებულს წყალობის სიგელსა, ისეც შეიშლება თა-  
ვის სახისაგან და მასაც რისხავს მამა, ძე და სული წმინდა და შეჩვენებულ  
იყოს კათოლიკე ეკლესიისაგან და შეიღოა კრებათაგან, ათორმეტთა მოცი-  
ქულთა და ოთხთა პატრიარქთა მიერ და ეღების კეთრი გეზ ანგარისა. შიშთ-  
ვილი იუდასი, მეხის ტეხა დიოსკორესი და თან დანთქმა აბირონისი, დი-  
ქოლოს მძიმითა ლოდითა და შთაირეხოს სპარეხსა მას იეზაბელისასა, ხოლო  
მამტიკეებელი წიგნისა ამის კურთხეულ იყოს უკუნისამდე. არის საქმისა  
ამის გამრიგე და მოწამე თავათ ღმერთი და კაცთაგან არის მოწამე სარდალ-

წულუკიძე პაატა და გიორგი, წერეთელი ნიკოლოზ, მესხი თამაზა, აბულაძე პაპუჩა. აღიწერა ქორიონიკოსს ქრისტეს აქეთ ჩ ღ ო ივანობისთვის კდ.

ბექედი (მხედრულით): დავითის ნორჩი ჯვარის მტერს მოვრჩი (ასომთავრულით:) მეფე სოლომონ.

ცსა, ძსკ, ფონდი № 1448, № 9677; დაწერილია მხედრულათ ქალაღღზე ზომით 28×19 სანტ.; ნიშნად ყოველი სიტყვის შემდგე არის ორ-ორი წერტილი.

**6. 1770 წ.—ხოლომონ I-ის სიგელი ქაიხოსროს და პაპუჩა აბულაძეთა სახელზე მათთვის საყულიის ბოძების შესახებ.**

ქ. სახელითა სახიერისა არსება დაუსაბამოსა მღვთაებით გარე შემოუწერელისა არსისა და დამაარსისა ღმრთისა მამისა, ღმრთისა ძისა და ღმრთისა სულისა წმინდისათა ესე ამიერიდგან და უკუნისამდე ყამთა ხანთა და გრძელთა უხერხო, უტრელო, უტყუარი მტკიცედ შეუცვალებელი, საბოლოოთ ვასათავებელი, არას კაცისაგან არ მოსაშალი ღვთის ფიცით დამტკიცებული წყალობის წიგნი, ფიც(ი) და საფიცარი დაგიწერეთ და გიბოძეთ ჩვეი ღვთივ აღმატებულმან და მტკიცედ დამყარებულმან თვით მძღემან და არვისგან ძღელულმან იესიან დავითიან სოლომონიან პანკრატთანმან ღიხა. ამერთ მპყრობმან პატრონმან მეფეთ მეფემან სოლომონ და თანა მეცხედრემან ჩემმან დედოფალთ დედოფალმან დადიანის ასულმან ბატონმან მარიამ და სასურველმან პირშომან ძემან ჩვენმან ბატონიშვილმან ალექსანდრემ და სხვათა ჩვენთა შვილთა და მომავალთა სახლისა ჩვენისათ შენ აბულაძეს ქაიხოსროს და პაპუჩას და სხვათა თქვენთა შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა ასე და ამა პირსა ზედა, რომე შემოგვეხვეწეთ და ვისმინეთ ვედრება თქვენი, წყალობა გიყავით და გიბოძეთ საყულია, რაც რომ ჩიჯავაძეს ჩვენგან წყალობით მიცემული ქონდა, მისული მისის ყოველისფრით, მითთ, ბარით, წყალით, საყანით, სასაფლაოთი, საქებრით და უძებრით გქონდესთ და ამას გარდა საური და საუღიერო არ გეთხო(ო)ს და გიბედნიეროს ღმერთმან ჩვენს ერდგულობაშიდ ყოველის კაცის უცილებლად. თუ თქვენ ერდგული და ბრძანების მორჩილი იქნეთ, არც ჩვენგან და არას მეპატრონესაგან არც თქვენ და არცა თქვენთა შვილთა და მომავალთა ეს ჩვენგან ბოძებული წყალობის წიგნი და საფიცარი არ მოგიშალოსთ. ვინც და რამანც ძემან კაცი-სამან, მეფემან ანუ დედოფალმან, გინა უფლისწულმან, ანუ რომელმანმე მეპატრონემან, დიდმან გინა მცირემან, წიგნისა ამის შლად ხელყოს, წყეულმცარის და შეჩვენებულ წმინდის სამებისაგან, შვიდის კრებისაგან, ოთხის პატრიარქისა და ათორმეტ მოციქულთაგან. მეორეთ მოსვლას ჩვენის ცოდვის მაგიერთამც ის გაიკითხვის, ქრისტეს ჯვარისმცემელთა ურიათა თანამც დაისჯების, კეთილი მისი ცულადამცა იქნების. ამისად ვასათავებლად მოგვიცემა თვით დაუსაბამო ღმერთი, კაცთაგან გამრიგე და მოწამე სახლთუხუცესი აბაშიძე დავით, წულუკიძე პაატა და ბერი, მესხი თამაზა. მე უღირსს ხუ-

ეს წერეთელს დავითს დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. აღიწერა წიგნი ესე ქორონიკონს ქრისტეს აქეთ ათას შვიდას სამოც და ათს, თვესა ივლისსა კა, დღესა ოთხშაბათს.

ბეჭედი (მხედრულით): კეთილ ძირთავან რტონი, მეფედ ვარ ბაგრატიონი (ასომთავრულით:) სოლომონ.

ბატონიშვილი (ხეულად:) ალექსანდრე.

ესსა, ძსგ, ფონდი № 1448, № 9678; დაწერილია მხედრულით ქალაქდზე ზომით 44,8×19,6; ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ 1 წერტილია.

### 7. 1779 წ.—სოლომონ I-ის წყალობის წიგნი ქაიხოსრო ლაშხიშვილის უმების განთავისუფლების შესახებ საურისა და საუდიეროხაგან.

ქ. ნებითა და შეწევნითა ღვთისა, მამისა, ძისა და სულისა წმინდისათა ჩვენ ზე გარდამო ზეცით კურთხევით გვარგვიროსანმან ძლიერმან და არვისგან ძლეულმან იესიან დავითიან სოლომონიან ბაგრატიონმან მეფეთ მეფემან პატრონმან სოლომონ და თანამეცხედრემან ჩემმან წულუკიძის ასულმან პატრონმან გულქან და პირშომან ქემან ჩვენმან უფლისწულ ბატონიშვილმან ალაქსანდრემ შენ ჩვენს ერთგულს ყმას ლაშხიშვილს ქაიხოსროს გიყავით წყალობა ასე და ამა პირსა ზედა. აფხაზნი და თურქნი ურთიერთარს შეითქვენ, ქრისტიანზე ბრძოლად ხელყვეს. აქიდგან ჩვენ მივმართეთ და ზუბდიდს და რუხვს შუა შევიბენით და ძალითა ღვთისათა და მინდობითა წმინდისა ღვთის მშობელისათა გავიმარჯვეთ, ესძლიეთ, გავაქ(ე)იეთ, ამოვსწყვიტეთ და ურიცხვნი ტყვე ვყვენით და ჩვენი ბაიარხტარი იყავი იმ დღეს. შემოგვეხვეწეთ, ვისმინეთ შემოხვეწნა თქვენი და შენ და შენს შვილს და მომავალს ეს წყალობა გიყავით. თუ ჩვენი ერთგულნი და ბრძანების მორჩილნი იქნეთ, არც ჩვენგან და არც ჩვენის მოხელისაგან თქვენს ყმას არც საური და არც საუდიერო და აროდეს არ ეთხოვბოდეს. აწ ვინც და რამაც ქემან კაცისამან შენ ეს ჩვენი ბძანებული წყალობა მოგიშალოს და ამ წიგნის შლად ხელყოს, წყეული და შეჩვენებული იყოს ყოველად წმინდის სამების ღვთისაგან და ყოველის მისის წმინდისაგან, ათორმეტთ მოციქულთაგან, შვიდის კრებისაგან და ოთხთა პატრიარქთაგან. ხოლო დამამტკიცებელი ამისი აკურთხნეს ღმერთმან, ამინ. კაცთაგან გამრიგე და მოწამე ამისი ჩვენი დარბაისელი მანაბელი ზურაბ. მე მღვდელს ონოფრეს დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. აღიწერა დეკემბერს ია, ქორონიკონს წელთა უფლისათა ჩ ღ თ.

ბეჭედი მხედრულით: კეთილ ძირთავან რტონი მეფედ ვარ ბაგრატიონი (ასომთავრულით:) სოლომონ.

ესსა, ძსგ, ფონდი № 1448, № 9683; დაწერილია ქალაქდზე ზომით 43×21,8 სანტ.; ნიშნად იხმარება ყოველი სიტყვის შემდეგ თითო წერტილი.

**8. 1786 წ.—დავით II-ის წყალობის წიგნი ჯრუჭის მონასტრის გლეხების განთავისუფლების შესახებ ყოველგვარ გარდასახადებისაგან.**

ნებითა და შეწყვენითა ღმრთისათა მეფემან სრულიად იმერეთისამან დავითიანმან დავით და თანა ერთ ვორცმან ჩემმან ორბელითთა ასულმან ანნა. ესე მტკიცე და უცვალებელი წყალობის წიგნი გიბოძეთ ჯრუჭის მონასტრის არხიმანდრიტს სვიმეონს და ერთობით შენს კრებულს, ასრე რომ დიდის ვედრებით გვევედრეთ და ვინათგან ჩვენის მეფობის მლოცველნი იყუცენით, თქვენი ვედრება ჩვენც ვისმინეთ. და სადაც ჩვენ საბრძანებელშიდ თქვენი მონასტრის ყმა იყო ვისგანმე შემოწირული ან ბატონი მეფის სოლომონის, ან ჩვენი მამის, ან ჩვენი ან სხვისი ვისიმე შემოწირული ან თქვენი ნაცოდვილევი და ნაყიდი, ან აწ რაც შეემატოს თქვენს ეკლესიას ყმა, მას ჩვენგან არა ეთხოვოს რა არც ბეგარა, არც საუდიერო, არც საურგი, არცა რა სხვა სათხოვარი არც ჩვენგან, არც ჩვენის მოხელისაგან, არც, თუ ღმერთმან მომცეს, ჩემი შვილისა და შვილისშვილისაგან, არავისგან ჩემთა შემდგომთა მეფეთა და მეპატრონეთაგან, არც ქალისა და არც კაცისაგან თქვენის ეკლესიის ყმას თქვენს მეტი კაცისაგან ვერავინ სთხოვოს ვერა გარდასახადი და საქვეყნო სათხოვარი, ასრე თავის უფლება მოგვიცია, წმინდანო მამანო, და თუ ვინმე ეს ჩვენი ბოძებული ამოკვეთილობის წიგნი შეგიშალოსთ და გაგიტეხოსთ, ღმრთისაგან და თქვენის სასოის წმინდის გიორგისაგან იყოს რისხვეული სულით და ხორციით და ჩვენდა ნაცვლად იგი განიკითხოს წინაშე ქრისტესსა. ხოლო დამამტკიცებელნი ამისნი აკურთხოს უფალმან აქა და მუნ პირი ქრისტესი მხიარულსა ახილვოს და საუკუნოდ მისთანა მკვიდრ ყოს. არის ამისი გამრიგე და მოწამე სახლთუხუცესი აბაშიძე ზაალ, გამყრელიძე ლევან, ჩემი მოძღვარი წერეთელი იოანე, აბაშიძე ამილახბარ, მასხარაშვილი ბუჭუქი, საჩინო ბარათაშვილი. ამათ ყოველთა მოწმობითა და შუადგომლობითა (ა)სრე გვიქმნია სათხოველი. ესე თქვენი, მამანო წმინდანო. თვესა აგვისტოსა ი, ქრისტეს აქეთ ჩ ღ ჰ ვ.

ბეჭედი გვირგვინით და მხედრული წარწერით, ხოლო შუაში ასომთავრულით: დავით.

ბეჭედი მხედრულით: სრულიად იმერთა დედოფალი ანნა.

მეფე სრულიად იმერეთისა სოლომონ ვამტკიცებთ წერილსა ამას ძმისა ჩვენისასა საუკუნოდ შეუშლელად ყოველთა ხორციელთაგან.

ბეჭედი ასომთავრულით: მეფე იმერეთისა სოლომონ.

ჩვენ თანამეცხედრე მეფისა მეორისა სოლომონისა დედუფალი მარია ვამტკიცებთ წერილსა ამას.

ბეჭედი ასომთავრულით: დედოფალი მარიაჲ.

ცსსა, ძსგ, ფონდი № 1448, № 9667, დაწერილი მხედრულით ქალაქზე ზომით 35,5×24,9 სანტი; ნიშნით აქვს არევით თითა წერტილი.

**9. 1788 წ.—**ანტონ ერისთავის წყალობის წიგნი ერისთავისძის ბერის სახელზე შისი უმეზიზვის მესადგომობის, სახორცის და საურის ამოკვეთის შესახებ.

ქ. ნებითა და შეწვევითა მღთისათა, არსება დაუსაბამოსა მამისა და ძისა და სულისა წმინდის(ა)თა თავდებობითა, მინდობითა შუამდგომლობითა ესე მტკიცე და შეუშლელი და არას კაცთაგან არ მოსაშალი წყალობის წიგნი დაგიწერე და გიბოძე მე რაჟის ერისთავმა ანტონიმ შენ ჩემს ერდგულს და კაის მდომს ერისთვის ძეს ბერს და შენს შვილებს ბეჟანს, ვახუშტის, ივანეს, ლევანს და ყველას ერთობით სხვათა შენთა შვილთა და მომავალთა ყოველთავე, ასე რომ შამოგვეხვეწეთ და ვისმინეთ შენი აჯა და მოხსენება და ამოგვეკვეთეთ მესადგომობა და სახორცე და კვალად და ამოგიკვეთეთ შენი კაცის საური ყველასი ერთობით. და თუ შენ ჩემი ერდგული და ჩემი ბრძანების მორჩილი იქნე, არც ჩემგან და არც ჩემის შვილისა და მომავლისაგან, არც ჩემის გვარის კაცისაგან არც შენ და არც შენს შვილს ეს ჩემგან მოკემული წყალობა აროდეს არ მოგეშალოს. და ვინცა და რამაც ძემან კაცისამან, დიდმან ანუ მცირემან, მეფემან ანუ დედოფალმა, თავადმან ანუ სამღვდელმან, ან ჩვენის უღრობისა და მტრობისათვის და ან შენის სიმძ(უ)ღვარით ეს ჩვენი წყალობა წიგნი შეშალოს, ისიმც შეიშლება თავისი სახისაგან, სჯულის ქრისტიანობისაგან. მასამც რისხავს თავათ დაუსაბამო ღმერთი და ყოველნი მისნი წმინდანი, ზეცისანი და ქვეყანისანი, ზორციელნი და უზურცონი; მასამც ეცემის კეთრი გეზისა, ძრწოლა კენისა, შიშთილი თუდასი, მეხის ტეხა დიოსკორესი. ნუმცა ექმნების ხსნა სულთა და ზორცთა მისთასა უკუნისამდე. ნუმცა ეხსნების წირვითა და ლოცვითა. ნურც გლახკისა და ქრივისა და თბლის შეწყყარებითა, ნურც საყდრის და ხიდის აღშენებითა. ვინც ეს წიგნი შეშალოს, თუ ჩემს ორგულობაშა არ შევიდეს, მომშლელი ამისი ღმერთმან მოშალოს და დამამტკიცებელი ამისი ღმერთმან დაამტკიცოს და კაცთაგან არის ამისი მოწამე და გამრიგე ერისთვის ძე ვახტანგ, ჩიკვაძე დავით, ჯაფარიძე ბეჟან. მე დამიწერია ბართაშვილს ზოსიას და მოწამეთა ვარ ამისი. დაიწერა წიგნი ესე აბრილს იბ დღესა ოთხშაბათს ა ქრისტეს აქეთ ჩ ლ 3 მ

ბ ე ქ ე დ ი (მხედრულით): ერისთავისძე ანტონ.

ქ. ჩვენ სრულიად საიმერეთოსა და სხვათა მეფე ძე არჩილისა მეორე სოლომონ ვამტკიცებ წიგნსა ამას.

ბ ე ქ ე დ ი (ასომთავრულით): მეფე იმერთა სოლომონ.

ქ. ჩვენ სრულიად იმერთა დედუფალი მარიამ ვამტკიცებ წერილსა ამას.

ბ ე ქ ე დ ი (ასომთავრულით): დედოფალი მარიამ.

ჩვენ ყოვლად სამღვდელო ქუთათელ მიტროპოლიტი დოსითეოს წყალობითა ღმრთისათა ვამტკიცებ წერილსა ამას და ვინც შლად ხელ ყოს, წყაულ იყავნ და შეჩვენებულ.

ბ ე ქ ე დ ი (მხედრულით): ყ-დ სამღვდელო ქუთათელ მიტროპოლიტი (ასომთავრულად): დოსითეოს.



ცსსა, ძსგ, ფონდი № 1448, № 9669; დაწერილია მხედრულათ ქალღღებზე ზომით 42,2×18,5 სანტ.; ნიშანი არა აქვს, ორი ადგილას დასმულია სიტყვების შემდეგ ორი წერტილი და სხვა ორ ადგილას კიდევ სამი წერტილი.

**№ 1790 წ.** — დავით II-ის წყალობის წიგნი ბერი ლორიქმანიძის ხახელზე მასი კუთვნილი ყმას ჩახუნაშვილის განთავისუფლების შესახებ საუბრისა და საუდიეროსხვან.

ქ. ნებითა და შეწვევითა ღმრთისითა ჩვენ ღმრთის ცხებულობით ამადლებულმან იესიან დავითიან სოლომონიან ბ(ა)კრატ(ოვა)ნმან სრულიად იმერთა მეფემან მეფეთამან დავით და ერთ ხორცმან ჩემან სრულიად იმერთა დედოფალთ დედოფალმან ანანა და ძემან ჩვენმან პირშომმან და სასურველმან კონსტანტინე ესე ამიერითაგან საუკუნო უცვალადო წყალობის წიგნი დაგიწერეთ და გიბოძეთ შენ ჩვენს ერდგულს ყმას ლორთქმ(ა)ნიძეს ბერს ასე და ესე ვითარად, რომე გადავარდნილი ვიყავი, მოდი, შემარჩი და მემსახურე და მეც ეს წყალობა გიყავი, ამოგიკვეთე შენის კაცის ჩახუნაშვილის საური და საუდიერო შენი საკარის კაცის, აწ მოგცეს და გიბედნიეროს ღმერთმან ჩვენს ერდგულობაში და თუ თქვენ ჩვენი ერდგული იყო, არას დროს შენს კაცს ჩახუნაშვილს საური და საუდიერო სამეფოთ არ ეთხოვოს და ვინცა და რამანც ძემან კაცისამან, მეფეთა ანუ დედოფალთა, უფლის წულთა, თავადთა, აზნაურთა ამ წიგნის შლად ზელ ყოს, ისევე შეიშლება სჯულისა და სახისაგან. მასამც რისხავს მამა, ძე და სული წმინდა და ჩვენის ცოდვისა ნუქბათამც განისაჯება მეორედ მოსლ(ე)ას მსაჯულისა წინაშე. ვარ ამისი მოწამე ერისთვის ძე ელიზბარ, გამყრელიძე ლევან. მე კარის მდივანს მღვდელ(ლ)ს სვიმონს დამიწერია, მოწამეცა ვარ ამისი. აღიწერა ქრისტეს აქეთ ჩ ღ ჟ თვესა სეკდემბერს კ ღ.

ბ ე ჰ ე დ ი მ ხ ე დ რ უ ლ ი თ: მეფე იმერეთისა დავით.

ცსსა, ძსგ, ფონდი № 1448, № 9682; დაწერილია მხედრულათ ქალღღებზე ზომით 43,6×21,1 სანტ., ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ არის თითო წერტილი.

**№ 1791 წ.** აგვისტოს 3. — სითარხნის წყალობის წიგნი, მიცემული სოლომონ მე-II-ის მიერ ანდრია ყვიბანეის შვილისადმი თარხნობის შესახებ.

ქ... ჩვენ იესიან დავითიან სოლომონიან პანკრატოანმან სრულიად საიმერეთოს მეფემან მეფეთამან ძემან არჩილისამან ახალმან მეორემან სოლომონ და თანა ერთ ხორცმან ჩემმან დედუფალთ დედუფალმან დადიანის ასულმან მარიამ ესე ამიერიდგან უკუნისამდე საბოლოათ გასათავებელი და აროდეს არ მოსაშალი წყალობის სითარხნის ახატობის წიგნი დაგიწერეთ და გიბოძეთ თქვენ ხახულისა და ვანათისა მდთის მშობლის შეწირულის ყმას ყვიბანეის შვილს

მღვდელს ანდრიას, შენს ძმას ნახსდას(!), დათუნას, მამისთვალს, თქვენთა შეილ-  
 თა და მომავალთა სახლისა თქვენისათა ესრეთ და ესე ვითარად, რომ პირვე-  
 ლათაც პაპის ჩემის წყალობის ახატობის წიგნი გვქონდათ, ჩვენც გვევედრეთ,  
 ძველი წყალობის წიგნიც მოგვიტანეთ, გავსინჯეთ და ჩვენც წყალობა გიყა-  
 ვით და წიგნი გავიხალეთ, ახატობისა და სითარხნის წიგნი ვიბოძეთ. რომე-  
 ლიც სამსახური მღთის მშობლის და გაენათლის გამართებდით, იმას გარდა ყოვე-  
 ლისფერი ამოგვიყვეთია, არც საური, არც საულიერო, არც ხორცის მოსაყ-  
 რეფელო, არც მუშაობა, არც ხარის გამოწვევა, არაფერი სამეფო  
 გარდასახადი, სამოურაო გარდასახადი, არაფერი თქვენ არ გეთხოვე-  
 ბოდეს არც ჩვენგან და არც შემდგომთა ჩვენთა მეპატრონეთაგან,  
 არც მოურავისაგან. ამისდა ნაცვლად ყოველს აღდგომას ჩვენთვის  
 განსაძლიერებლად და სასულიეროთ უნდა გვიწიროთ თუ თქვენს სახლ-  
 შიდ მღვდელი არავინ იქნეს, სხვა მღვდელს უნდა გვიწირვინოთ და მოგვისე-  
 ნოთ. თუ თქვენ ჩვენი ერთგული და ბრძანებისა ჩვენისა მორჩილი იქმნეთ და  
 ყოველს აღდგომას წირვა და მოხსენება არ მოგვიშალო, ეს ჩვენგან წყალო-  
 ბა არაოდეს თქვენ არ მოგეშალოს... აწ იქმნა ბრძანებისა ამის ჩვენისა მო-  
 წამედ სახლთუხუცესი წერეთელი ზურაბ. წულუკიძე გიორგი, მოლარეთ  
 უხუცესი წერეთელი გიორგი, მოურავი ზღვიანი ბუჭუა, მოწამეც და გამრი-  
 გეც გაენათლის არხიდაიკონი იოსელიან დავით. აღწერა ხელითა მეფის  
 კარის მღვდლის გრიგოლაშვილის იესესითა ქორონიკონს ქრისტეს აქეთ ჩლეა,  
 აკვისტოს გ.

სოლომონ II-ის ბეჭედი.

ქ. ჩვენ ყოვლად სამღვდელო ქუთათელ მიტროპოლიტი დოსითეოს ვამ-  
 ტაიცებ სიგელსა ამას ზელმწიფისა ჩემისასა... (ბეჭედი).

ქ. ჩვენ ყოვლად სამღვდელო გაენათელ მიტროპოლიტი ეფთვიმი ამ  
 ჩემი ზელმწიფის ბრძანებასა და სიგელსა ამას მეცა ვამტაიცებ (ბეჭედი).

ცსსა, ძსგ, ფონდი № 1448, № 1201; დაწერილია მხედრულათ  
 ქალაღზე ზომით 63,7×17,8 სანტიმ.; ნიშნად ყოველი სიტყვის  
 შემდეგ იზმარება თითო წერტილი.

**12. 1791 წ.—სოლომონ II-ის წყალობის წიგნი ავღლიანების სახელზე  
 ორი სოფლის გლეხების საურისაგან განთავისუფლების შესახებ.**

ქ. წყალობითა და თარვაცივითა მარიამ დავითიანისა დედათა უმ-  
 წიკელ უბიწოასა ზეინაასა დედუფლისათა, რომლისა მიერ იქმნეს გან-  
 სხნანი საუკუნოსანი(ი) და აღმოწოდებანა ზენად სამეფოდ. კვლად შეწე-  
 ნითა ყოველთა წმიდათა და სათნოთა ღვთისათა, ამათ ყოველთა და სათნოთა  
 ღმრთისა მინდობილმან და ყოვლისა სასო(ე)ბისა და აზრისა ზედა დამდ-  
 გელმან სრულიად იმერთა მეფემან მეფეთამან ქემან არჩილისამან მეორე-

მან ახალმან სოლომონ დავითიანმან და ერთხორცმან ჩემმან დედუფალთ დედუფალმან დადიანის ასულმან მარიამ ესე მარად უცვალოდო და ყოვლისა მიზეზისა თავისუფალ ქმნილი წყალობის სიგელი გიბოძეთ თქვენ ოჯახისა ჩემისა მკვიდრს მარად ყოვლითურთ სისხლთაღმდეგ ერთგულისა გონებითა თავდადებ ნამსახურს და მოსამსახურეს ერთობით ავალიანებს ესრეთ, რომ რომელიც პირველის ჩემის ოჯახებისათვის გამსახურიათ, უმეტესი მსახურება და ერთგულება უმეტე სგაანახლეთ ესრეთ, რომ ოდეს ძლიერი ახოვანი და აგარიანთა ძირითურთ აღმომგზვრელი მამისა ჩემისა ძმა ბატონი ბიძა ჩემი გარდაიცვალა და მე მცირედი დავრჩი, იმ ეამებზედ თანაშემწეთა ფიცისა თქვენისა კაცთა გლახთა და აზნაურთა თანა ერთობით გამოცხადებით თავდადებ მსახურეთ და ტახტსა ჩემსა განუშერებელ(!) იყავით და რომელიმე წყალობა ითხოვეთ ორის სოფლის საურისაგან განთავისუფლება და მეც წყალობა გიყავი და ამოუკვეთე ოფრჩხეთს და ჟონეთს მოსახლეს გლუხკაცს, თქვენი კაცი არის თუ სხვისი. ესრეთ ჩემგან და შემდგომთა ჩემთა მეპატრონეთაგან ოფურჩხეთს და ჟონეთს მოსახლეს კაცს საური არ ეთხოვებოდეს ბუჭუ ავალიანის შვილებს ვარდა და ბუჭუა ავალიანის შვილები არც თქვენშიდ ჩამიგდია და არც საური ამომიკვეთია, თუმც თქვენი ჩემი ერთგული და ბრძანების მორჩილი იქმნეთ, არც თქვენ და არც თქვენს შვილსა და მომავალს არც ჩემგან და არც შემდგომთა ჩემთა მეპატრონეთაგან ეს ჩემ მიერი ესე ბოძებული წყალობა არას რომელსამე ეამსა არ მოეშალოს. აწითვან ვინც და რომელითამე მეტომეთა, მეფეთა ანუ დედუფალთა, უფლისწულთა, თავადთა ანუ აზნაურთა, დიდთა ანუ მცირეთა ყოველთავე ვეტყვი ერთბაშად წერილისა ამის შლად ხელყოს მძღავრებით, იყავნ იგი ზეგარდამოთა რისხვითა შეკრულ და დაისაჯოს იგი დაშჯითა საუკუნითა. ზოლო დამამტკიცებელნი ამისნი იყავნ კურთხეულ კურთხევითა ზეგარდამოთა ამა წერილის მოწაშე სალოუხუცესი წერეთელი ზურაბ, წულუკიძე გიორგი, ბოჭალთუხუცესი წერეთელი ვახუშტი და სხვანისა კარისა ჩემისა დიდებულნი და დარბაზისკრნი. აღიწერა ხელითა ჭიჭინაძის ნიკოლაოსათა წელითა უფლისათა ჩლეა მარტის 3.

ბ ე ჭ ე დ ი (ასომთავრული): მეფე იმერეთისა სოლომონ.

ქ. მე ყოვლად სამღვდელო ქუთათელ მიტროპოლიტი დოსითეოს ვამტკიცებ ჩემის ხელმწიფისა ამას სიგელსა. თუ ვინმე მძღავრებით სიგელისა ამის შლად ხელყოს, ზეგარდამოთა მოცემულთა მადლთა მიერ ყოვლად სამღვდელოთა ხმითა შევაჩვენებ და დავსწყევ.

ბ ე ჭ ე დ ი მ ს ხ დ რ უ ლ ი თ: ყოვლად სამღვდელო ქუთათელ მიტროპოლიტი (ასომთავრული): დოსითეოს.

ცხსა. ძსკ, ფონდი № 1448, № 9681; დაწერილია მხედრულათ, ქალაქდზე ზომით 54,5×33,1 სანტ. ნიშანი სიტყვების შორის არ აქვს.

**13. 1792 წ.—ხოლომონ II-ის წყალობის წიგნი ლევან ლოლაბერიძის ყმებისათვის საურის და საუდიეროს ამოკვეთის შეხახებ.**

ქ. ძლიერებითა და წყალობითა დაუსაბამოისა მამისა ღმერთისათა ჩვენ იესიან დავითიან სოლომონიან პანკრატოანმან სრულიად საიმერეთოს მპყრობელმან მეფემან მეფეთამან ძემან არჩილისამან მეორემან სოლომონ და თანაერთხორცმან ჩემმან დედუფალთ დედუფალმან დადიანის ასულმან მარიამ ესე ამიერიდგან უკვე საბოლოათ გასათავებელი და არ ოდეს არ მოსაშალი უცვალადო წყალობის წიგნი დაგიწერეთ და გიბოძეთ შენ ჩვენს ერთგულს და თავდადებით (ეს ორი სიტყვა შესწორებულია: თავადებს) ნამსახურს ლოლაბერიძეს ლევანს და შენს ძმებს ქაიხოსროს და როსტომს, თქვენთა შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა ესრეთ და ესე ვითარად, რომ გვეკედრეთ და მოგვასხენეთ. ერთგულებისა და მსახურებისა შენისა ნაცვლად ჩვენც წყალობა ვიყავით და ამოგიკვეთეთ თქვენი კაცების საური და საუდიერო, ღომი და ღვინო, თუ თქვენ ჩვენი ერთგული და ბრძანებისა ჩვენისა მორჩილი იქმნეთ, აროდეს ეს ჩვენი ნაბოძები წყალობის წიგნი არც ჩვენგან, არც შემდგომთა ჩვენთა მეპატრონეთაგან, არც თქვენ და არც თქვენს შვილსა და მომავალს არ მოეშალოს და თქვენი კაცების საური და საუდიერო აროდეს არ გეთხოვებოდესთ და უკეთუ ვინმე იკადროს და ხელყოს შლად ამა ჩვენ მიერისა ბოძებულისა წერილისა, მყის თანად ეწიენ მას რისხვა ღმერთისა მიერი და სახლსა მისსა და შვილთა მისთა და შურის გება ვითა კაინის მომკვლელისა ძმისასა და იყავნ დედა უფლისა ჩვენისა შურის მეძიებელ და ათორმეტნი მოციქულნი შემკერელ საკრეელითა განუხსნელითა და მიმცემელ ცეცხლსა ამას საუკუნესა დანახეთქსა შინა. და იყავნ წყეულ აქა და მას მერმესა აწდა მიუკუნისამდე. ხოლო დამამტკიცებელნი და დამბეჭედელნი ამისნი კურთხეულ იყენენ სულითა ღმერთისათა ვიდრე უკუნისამდე, ამინ. აწ იქმნა ბრძანებისა ამის ჩვენისა გამრიგელ და მოწამელ ერთგულებით კარისა ჩვენისა გამრიგე სახლთუხუცესი წერეთელი ზურაბ, მაჩაბელი ზურაბ, ავალიშვილი ბეჟან. აღიწერა მეფის კარის მღვდლის გრიგოლაშვილის იესესითა ქორონიკონს ქრისტეს აქეთ ჩლებ, თვესა აგვისტოსა გ.

ბ ე ქ ე დ ი (ასომთავრულით): მეფე იმერეთისა სოლომონ.

ცსსა, ძსკ, ფონდი № 1448, № 676; დაწერილია მხედრულათ ქალაქდზე ზომით 41×12,6 სანტ.; ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ინმარება თითო წერტილი.

**14. 1794 წ.—ხოლომონ II-ის წყალობის წიგნი ჯრუჭის მონახტრისათვის გლეხების შეწირვის შეხახებ.**

ქ. ყოველთა არა არსთა მომყვანებელისა ღმერთისა უმეტესად შეყვარებულთა და შემყვარებულთა და ჩვენისა ცხოვრებისათვის ხორცქმნილისა სიტყვისა ღმერთისა კვალსა შედგომილო და მეწამულისა სისხლითა განშვენებულთა

და მის ძლით სატრფო სასურველისა ზენაისა სუფევისა მომგებო და შენდამი თხოვისა მოქნეთა მსწრაფლ წყალობისა მიმნიჭებელო, შვიდ გზის უძლეველო დიდო მოწამეო, ჯრუჰის უდაბნოს წმინდაო გიორგი. მე ცვა ფარვათა შენთა მინდობილმან და ყოვლისა სასოებისა და ცხოვრებისა შენ ზედა დამდებელმან მონამან იესოსმან სრულიად იმერეთის მპყრობელმან მეფემან მეფეთამან პანკრატოან დავითიანმან, ძემან არჩილისამან, მეორემან სოლომონ და თანაერთხორცმან ჩემმან დედუფალთ დედუფალმან დადიანის ასულმან მარიამ ვინებეთ და ვიგულსმოდგინეთ წარმატებუი და განძლიერებუი წმინდისა ეკლესიისა შენისა და მცირელი ესე შეწევნაი და შესაწირავი განსაძლიერებელად, წარსამატებლად და სულისა ჩვენისა საოხად ესრეთ და ესე ვითარად, რომ კურთხეულს ბიძა ჩემს მეფე სოლომონს გლეხები შამოეწირა. ბარჯამის სანაცვლოთ ორი გლეხი შამოეწირა კაპანაძე გიგიტი და ყიფშიძე სეხნია. ის ბარჯაძე საამის შვილის კაცი ყოფილიყო, ისევე მისთვის ებოძებია. ამას გარდა ქილუანს ერთი გლეხი ტყეშალაძე ზაქარია მისის ძმისწულიანათ. სკინდორს მხალაძე ერთი გლეხი კაჭინა, სესიკი და გიგიტი, მხიარული მისი ძმიანათ და მეორე კაპანაძე მამუკელა და მოვიდა შენი უდაბნოს მამა და წინამძღვარი ქათარაძე და რომელიც ამაშიდ კურთხეული ბიძის ჩემის მეფე სოლომონისაგან შეწირული გლეხები სწერია, მის დამტკიცებას და წიგნის განახლებას გვევედრა. ჩვენც ვინებეთ და განვაახლეთ და დავამტკიცეთ ესენი მათის ცოლშვილით, სახლკარიოთ, ადგილ მამულით, ჭურ მარნით, ვასავალ გამოსავალით, საფლავ სამარხით, საძებრითა და უძებრით, რისაც მქონებელი იყვნენ მართლის სამართლიანის საზღვრით ყოვლის კაცის უცილებლათ შამოგვიწირავს და დაგვიმტკიცებია. ამ შამოწირულს გლეხებს და ან აწ რომელიც შამოეწიროს და ან თქვენით დაიხსნათ და ჯრუჰის მონასტრისათვის დაასახლოთ, არც საური, არც საუდიერო, არც სათხოვარი, არც მუშაობა არც ჩვენგან, არც შემდგომთა ჩვენთა მეპატრონეთაგან და არც ჩვენის ბრძანების მორჩილის კაცისაგან არ ეთხოვებოდეს. ჰი მოწამეთა თაო და მრავალთა ტანჯვეთა დამთმენელო მხედარო უფლისაო გიორგი, მიიდე და მიითვალე კნინი ესე და უნდო ძღვენი და ნაცვლად ამისა გვავე სარწმუნოებისა ჩვენისამებრ წყალობა შენი და უძლეველითა ძალითა მარადის თანამდგომ და თანამებრძოლ გვექმენ ყოვლითა დღეთა ცხოვრებისა ჩვენისათა დღომასა შინა და სეულსა ამიერიდგან ვიდრე უკუნისამდე, აწითვან აღსასრულამდე სოფლისა. მეფემან, ანუ დედუფალმან, თავადმან ანუ აზნაურმან, სამღვდელმან გინა საერომან გამოწირვად და დარღვევად შეწირულისა ამის ხელკყოს და თქმად იკადროს, შეჩვენებულ იყოს ისიცა და კეთილის მოქმელი და მშველელი მისი წყეულ იყოს, კაცისა მის მეუღლე ძე და ასული და ყოველივე სახლეული მისი საფლავ სამარხითურთ შეჩვენებულ იყოს. ხოლო დამამტკიცებელნი ამისნი ჭირ მრავალსა და საშრომელსა ამას სოფელსა მშვიდობით ცხოვრებდეს და კურთხევით უკუნისამდე. არის ამისი მოწამე ერთგულებით კარისა ჩვენისა გამრიგე სახლთუხუცესი წერეთელი ზურაბ, წულუკიძე გიორგი, სარდალი წერეთელი ქაიხოსრო, ბოჭალთუხუცესი წერეთელი ვახუშტი, მის(ი) ძმა გიორგი, ავალიშვილი ბეჟან, აღიწერა



მეფის კარის უფროსის მღვდლის გრიგოლაშვილის იესესითა ქორონიკონს ქრისტეს აქეთ ჩლედ მისს კდ.

ბეჭედი ასომთავრულით: მეფე იმერეთისა სოლომონ;

ბეჭედი მხედრულით: დედოფალი მარიამ.

ქ. მათის უმაღლესობის ჩვენის ხელმწიფის მეფის სოლომონის შეწირულობას წიგნს ვემოწმებით და ვამტკიცებთ ხისიყის მოურავის ძე მელქისედეკ და მეფის დაი მარიამ ძენითურთ ჩვენით: ვინათგან სვერის მეპატრონეთაგან ყოველთვის საური გადახდებოდათ, რომელნიცა ამ წიგნში კაცი სწერიან; ახლა ჩვენ ვივლსმოდგინეთ და ის გადასახადი საური შევსწირეთ სასოსა ჩვენსა მთავარმრამაშეს გიორგის საოხად სულისა ჩვენისათვის, რომ არცა სვერის მეპატრონეთაგან აღარ გადახდეს და ვინც ინებოს გადახდვინება, მის წმინდისა მთავარ მოწამისა გიორგისაგან იყოს კრული და შეწვენებული, ამინ, ქრისტესით ჩვი.

ბეჭდები მხედრულით: 1) მელქისედეკ; 2) მეფის და მარიამ.

ცსსა, ძსკ, ფონდი № 1448, № 9684; დაწერილია მხედრულათ ქალაღლზე ზომით 44,2×24,8 სანტ.; ნიშნად იხმარება ყოველი სიტყვის შემდეგ თითო წერტილი.

### 15. 1797 წ.—იმერეთის დედოფლის მარიამის წყალობის წიგნი დათუა და ზაუსტა გიორგაძეთა ხახელზე მათი აზატობის შესახებ.

ქ. ნებითა და განგებითა ღმრთისათა ესე წყალობის წიგნი გიბოძე მე ბატონმა სრულიად იმერთა დედუფალთ დედოფალმან მარიამ შენ, ჩვენს სათავისთაო ყმაკ გიორგაძეს დათუასა და ზაუსტას და შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა ყოველთავე ასე და ამა პირსა ზედა, რომე ძველათაც აზატი ყოფილიყავით, მაგრამ ეამთა ვითარებისაგან პირველ მეფეთა წყალობის წიგნი დაგაკარგადა. მევედრე და ვისმინე ვედრება თქვენი და ქრთამიც მომართვი, როგორც გული შემეჩერდებოდა. გიბოძე აზატი, ასე რომე ჩვენი სათხოვარი არაფერი არ გეთხოვოს. აწ ამისა მოწმათ მომიცემია თავად დაუსაბამო ღმერთი და ყოველი მისი წმინდანი, ზეცისანი და ქვეყანისანი, ხორციელნი და უხორციონი და კაცთაგან ამის გამრიგე და მოწამე ბიბა ჩემი წულუკიძე გიორგი და მერაბ და წულუკიძე ხოსია და ყიფიანი სვიმონ და სულ ჩვენი დარბაზისეერი. აღიწერა ხელითა ჩიკვაძის როსტომისათა თვესა იანვარსა ოცს, ქრისტეს აქეთ ათას შვიდას ოთხმოცდა ჩვიდმეტ; აწ ვინცა და რამაც ძემან კაცისამან ეს ჩვენგან ბოძებული წყალობა შეგიშალოს, ისემც შეიშლება მსაჯულის ქრისტესაგან და მათ მეორედ მოსვლას ჩვენის ცოდვის პასუხათამც ვანიკთხვის მსაჯულის ქრისტესაგან და შეჩვენებულიმც იქნება.

ქ. ჩვენ სრულიად იმერთა და სხვათა მეფეთ მეფე დავითიანი მეორე სოლომონ ვამტკიცებ წიგნსა ამას ნებითა ღმრთისათა.

ბეჭედი (ასომთავრულით): მეფე იმერთა სოლომონ

ქ. ვმოწმობ წერილსა ამას იმერეთის თავადი სახლთუხუცესი წერეთელი.

ბეჭედი (მხედრულით): წერეთელი ზურაბ.

ცსსა, ძსკ, ფონდი № 1448, № 9670; დაწერილია მხედრულათ ქალაღდზე ზომით 45,7X24 სანტ.; ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ იხმარება თითო წერტილი.

**16. 1798 წ.—იმერეთის დედოფლის მარიამის წყალობის წიგნი ხაში გიორგაძის სახელზე მათთვის ხაურის, ხაუდიეროს და ბეგარის ამოკვეთის შესახებ.**

ქ. წყალობითა და შეწევნითა ღვთისათა ჩვენ სრულიად საიმერ(ე)თოსა დედოფალთ დედოფალმან დადიანის ასულმან მარიამ ესე წყალობის წიგნი დაგიწერე და გიბოძეთ შენ ჩემს ყმას გიორგაძეს მამუელას გოგაის და სუხნიას ასე ვითარად, რომე გვევედრე და ვისმინე აჯა და მოხსენება შენი და ამოგიწერეთ საური და საუდიერო და ბეგარა. არც ჩვენგან და არც შემდგომ ჩვენთა მებატონეთაგან არც თქვენ და არც თქვენ შვილსა და მომავალს არ გეთხოვებოდესთ. თუ ვინმე შლად ხელყოს წიგნსა ამას, ისიმც შეიშლება სჯულის ქრისტიანობისაგან, მასამც რისხავს მამა, ძე და სული წმინდა და ყოველნი ანგელოზნი, ზეცისანი და ქვეყანისანი, ხორციელნი და უხორციონი, წყეულ, კრულ და შეჩვენებულ იყოს შვიდის კრებისაგან და ოთხის პატრია(რ)ხისაგან. მხოლოდ დამამტკიცებელნი ამისნი კურთხეულ იყვნეს, ამინ. არის ამისი გამრიგე მელვინეთუხუცესი წერეთელი სვიმონ, ნიუარაძე აბესა, მოურავი ავალიშვილი ბეჟან, მუშათუხუცესი აბაშიძე ხოსია, ხელოსანი ქანტურიძე სვიმონიკა, ბოჭოიძე მამუკლა. აღიწერა ხელითა იშხნელის გრიგოლისათა ქრისტეს აქეთ ჩ. ლ. ჰ ნოემბერს კ ლ.

ბეჭედი ასომთავრულით: დედოფალი მარიამ.

ქ. მეფე იმერთა სოლომონ მეორე დავითიანი ნებითა ღმრთისათა ვამტკიცებ სიგელსა ამას.

ბეჭედი ასომთავრულით: მეფე იმერთა სოლომონ.

ცსსა, ძსკ, ფონდი № 1448, № 9679; დაწერილია მხედრულათ ქალაღდზე ზომით 44,1X15,5 სანტ.; ნიშნად სიტყვების შემდეგ მტნაწილად არის თითო წერტილი.

**17. 1800 წ.—ხოლომონ II-ის წყალობის წიგნი როსტომ აშვილის სახელზე მისი გლეხების განთავისუფლების შესახებ ხაურისაგან.**

ქ. ნებითა და შეწევნითა ღვთისათა ესე ამიერიდგან საუკუნოდ გასაოკებელი და არაოდეს მოსაშალი წყალობის წიგნი და სიგელი დაგიწერე და გიბოძეთ ჩვენ ღვთივ ზეცით კურთხევით გვირგვინოსანმა იესიან დავი-

თან სოლომონიან ბაგრატიონიან ძემან არჩილისამან მეფეთ მეფემან მეორემან სოლომონ და ერთხორცმან ჩემმან სრულიად იმერთა დედუფალთ დედუფალმან დადიანის ასულმან ბატონმა მარიამ შენ ჩვენს ერთგულს ყმას მოურავს იაშვილს როსტომს ესე და ესე ვითარად, რომ შამოგვეყვედრე და ჩვენ ვისმინეთ მოხსენება შენი, წყალობა გიყავით ესრეთ, რომ არც ჩვენგან და არც სხვათა ჩვენთა შემდგომთა მეფეთაგან შენს გლახებას, სადაც გვეყავდეს, აწ ამიერითაგან საური აღარ ეთხოვებოდეს. ჩვენ ესე მარად უცვალბელი წყალობა თქვენთვის მიბოძებია საუკუნოდ და აწ უკეთუ ვინმემ ინებოს წიგნისა ამის შლად ხელ ყოფა და ესე ჩვენ მიერი ბოძებული წყალობა თქვენ მოგიშალოს, ისემც შეიშლება სჯულის ქრისტიანობისაგან, მასაც რისხავს მამა ღმერთი და ყოველნი მისნი წმინდანი, ზეცისანი და ქვეყნისანი, ხორციელნი და უხურციანი, ხოლო დამამტკიცებელნი ამისნი აკურთხნეს ღმერთმან. კაცთაგან მოწამე და გამრიგე ამისი თავად მანაბელი ზურაბ, წულუკიძე ოტია, მელვინეთუხუცესი წერეთ(ე)ლი სვიმონ და მე მეფის კარის მღვდელს კვიციანიძეს სვიმონს დამიწერია და მოწამეც ვარ ამისი. აღიწერა თებერვლის 4 ბ ქრისტეს აქეთ ჩ ყ

ბეჭედი ასომთავრულით: მეფე იმერთა სოლომონ.

ცხსა. ძსგ, ფონდი № 1448, № 9673; მიწერილია მხედრულათ ლურჯ ქაღალდზე ზომით 43,7×30; ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ იხმარება თითო წერტილი.

### 18. 1800 წ.—სოლომონ II-ის წყალობის წიგნი რაჟდენ ჯაფარიძის სახელზე მის ყმების განთავისუფლების შეხასებ გადასახადებისაგან.

ქ. წყალობითა და ფარვაცითა მარიამ უმწიკვლ უბიწოისა ზენაისა დედუფლისათა, მინდობილმან და მსასოებელმან მფარველობისა მისისამან სრულიად იმერთა მეფემან მეფეთამან მეორემან სოლომონ დავითიანმან და ერთხორცმან ჩემმან დედუფალმან დადიანის ასულმან მარიამ ესე მარად უცვალადო და ყოვლისა მიზეზისა თავისუფალი წყალობის წიგნი გიბოძეთ შენ მღვდელს ონოფრე ჯაფარიძის შვილს რაჟდენს ესე ვითარად, რომ ჩვენს მეფობას ევედრეთ, ევედრეთ ყოვლიფერის სათხოვარის განთავისუფლება. ჩვენ თქვენი ვედრება ვისმინეთ, შენი და შენი კაცების ყოვლიფერი სათხოვარი ამოგიკვეთეთ. ჩვენგან სათხოვარი შენ და შენს კაცებს არაფერი არა ეთხოვებოდეს რა. ამ წყალობის მაგიორად დაგდევით წირვა წელიწადში ორმოცი, ჩვენის მეფობისათვის უნდა სწიროთ. ამ წირვის და მოხსენების მეტი ჩვენგან არაფერი არ გამოგერთვას. ამას გარდა არას ჩემს მოხელეს და არც სხვას ვისმეს არც საურის, არც საუდიეროს, არც პურის, ღვინის, ქერის, მოსაკრეველობის და არც სხვის რასიმეს გარდასახადის და გამოწვევის საქმე და სათხოვარი ჩემს მოხელეს და არც სხვას კაცს შენს კაცთან საქმე არა აქვს ველარც მისდგება თხოვისათვის და როგორც დაგვიდს ის წირვა, ვინემდის ნებათა ღმრთისათა სააქაოსა ცხოვ-

რებასა შინა ვიყო, მეფობისა ჩემისა წასამართებლად და ჟამისა ამის ცხოვრებისა განსამრავლებლად უნდა სწირო ოდეს ჟამი იგი უკანასკნელი მოიწიოს სულისა ჩემისა საოხად უნდა განაწესოს ოჯახმან შენმან. შემდგომად შენსა, რომელიც სამღვდლო ვინმე შეილი ზენი იქმნეს, იმანაც უნდა აღასრულოს ეს საქმე. ოჯახისა შენთვის საუკუნოდ დამიდს (!) ეს საქმე და შენ და შენს შვილსა და მომავალს ჩემ მიერი ესე აღწერილი სიგელი არც ჩემგან და არც შემდგომთა მებატრონეთაგან არას რომელსამე ჟამას(!) არ მოეშალოს. უკეთუ მეფეთა, დედუფალთა, უფლისწულთა, თავდთა, აზნაურთა, მოურავ-მოსელეთა ანუ სხვისა რომლისამე საქმისა მოქმედთა წიგნისა ამის შლად ხელყოს და აღწერილსა ამას სიგელსა ზედა იმძლავროს, იყავნ იგი შერისხულ ზეგარდამოსა რისხეთა და განერდომილ ქრისტეს სიტყვიერისა ევნახისაგან და აღზოცილ ქვეყანით სახსენებელი მისი, ხოლო დამამტკიცებელნი და მჭიშრედ დამმეჭვედველნი ამისნი იყავნ კურთხეულ კეთილშვილიერებითა და ყოვლითა საქმითა კეთილითა. მოწამე ამისი სარდალი წერეთელი ქაიხოსრო, ერისთვის ძე ელისბარ, ნიჟარაძე როსტომ და სხვანი ერთობით კარისა ჩემისა დიდებულნი დარბაზისერნი, აღიწერა ხელითა ჭიჭინაძის ნიკოლოსისათა ივნისს ი ბ წელთა უფლისათა ჩ ყ.

ბეჭდები წარწერთ: 1) (ასომთავრულით:) მეფე ივერთა სოლომონ; 2) (მხედრულით:) დედოფალი მარია; 3) (ასომთავრულით:) სარდალი წერეთელი ქაიხოსრო.

ქ. ჩვენ ყოვლად სამღვდლო ქუთათელ მიტროპოლიტი დოსითეოს მათის უმაღლესობის ბრძანებავს (!) ვამტკიცებ.

ბეჭედი მხედრულით: ყოვლად სამღვდლო ქუთათელ მიტროპოლიტი (ასომთავრულით:) დოსითეოს.

ესსა, ძსგ, ფონდი № 1448, № 9671; დაწერილია მხედრულით ჭალაღზე ზომით 43,6×28,3 სანტ.; ნიშნები არა აქვს, მხოლოდ რამოდენიმე ადგილას დასმულია თითო წერტილი.

**19. 1800 წ. ახლობ.—ჩიქვანის ახულის ასტანდარის წყალობის წიგნი კიკალიშვილის სახელზე მიხთვის საურის ამოკვეთის შესახებ.**

ქ. ნებითა და ბრძანებითა ხთისითა, რომელიცა წმინდასა სვინაქარსა საუფლოსა შიგან სწერია, ან დლითი ან ღამით მოიხსენებენ, იმათს თავდებობითა და შეუამდგომლობითა ესე აღუარებელი მტკიცე, შეუცვალებელი, უტყუარი და უხერხო საბოლოოთ გასათავებელი წყალობის წიგნი დაგიწერე და გებოძე მე, პატრონმა შენმან, ჩიქვანის ასულმან ასტანდარმა და ჩემან შვილმა სიკომ შენ, ჩემს ერდგულს და ნამზითს ყმას მათავალია კიკალიშვილს, ასე რომ დაგვეაჯე და ვისმინე აჯა და მოხსენება შენი და ამოგვიკეთე შინა ბეგრის მეტი საური, წელიწადში ფრულის მეტი არ გეთხოვოს, რაგინდ დიდი გავარდეს, არც საუდიერო გეთხოვოს, არც მოახლობა გეთხოვოს.

არც მზითობა გეტხოვოს, შინაყმა და მოსამსახურის მეტი სხვა არაფერი გეტხოოს, შენი ბეგრის მეტი წელიწადში ერთი ფრულის მეტი. აწ ამის სამაგიეროთ დავეიდს აღდგომასა და ახალ-კვირეს შუა მარჩილის ცხვარი. მათვალვამ და მისმა შვილმა ჩიქვანის ქალს ყოველ წელიწადს მათ სულის დგამში მათვალვამ მისმა შვილმა დაუქლას და მღვდელს ჟამი აწირვიოს. აწ მათმა შვილმა და მომავალმა მესამე წელიწადს მღვდელს ჟამი აწირვიოს. საწირავი მისცეს ჩიქვანის ქალისათვის აწ მეოთხე წელიწადს. აწ მეოთხე წელიწადს შეცვლით ცხვარი დოუქლას კიდო ჩიქვანის ქალს. აწ ასე წყალობის წიგნი მომიცემა—შენ თუ ჩემი ერთგული იყო და სიტყვის მორჩილი, ეს ჩემი წყალობის წიგნი აროდეს არ მოგეშალოს არც ჩემგან, არც ჩემი შვილისა და მომავლისაგან არ მოგეშალოს, არც შენ და არც შენ შვილსა და მომავალს არ მოგეშალოს. აწ რამანც ძემან კაცისამან ეს ჩემი წყალობის წიგნი შეგიშალოს, ისიმც შეიშლება რჯულის ქრისტიანობისაგან. მსამც რისხავს მამა, ძე და სული წმინდა, ყოველი მისი წმინდან(ი), ზეციერი და ქვეყნიერი, ხორციელი და უხორცილი. ნურცა ეხსენების წირვითა, ნურცა ლოცვითა, ნურცა ილუსალიმს წასვლითა, ნურცა გლახაკის მოწყალებითა, ნურცა ურცხოს გაკითხვითა იუდასთან და კენთან განიპატივნოს. აწ არის ამისი მოწამე თავათ ღმერთი, კაცთაგან ამისი გამრიგე და მოწამე მღვდელი მიქელ ცაგერეიშვილი, ბეჟუკი ლოლაბერიძე, აბზიანიძე საყვალაჲ მქედელი გიგინეიშვილი. ბაქანს დამიწერია ლოლაბერიძეს, მოწამეც ვარ ამისი. თუ ეს ტყუული შემექნას, ეს ჩემი დადებული ბეგარა გიმტყუნო. ეს წიგნი საყაბულო არ იქნება. თუ ტყუული (ტყუილი) გამოვივიდეს, გარდამპარო და არ მიქნა ეს ცხვარი, მათ მეორე მოსლას პასუხის გამცემი შენ იყო.

ეს წირვა მიქელ ზუცისათვის მიმცემა წყალობათ მას უნდა აწირვიო.

ორი ჯვარი.

მეორე გვერდზე უზის ორჯერ სოლომონ II-ის ცოლის მარიამ დედოფლის ბეჭედი ასომთავრული წარწერით: დედოფალი მარიამ.

ცსსა, ძსგ, ფონდი № 1448, № 9672; დაწერილია მხედრულათ ქალაღზე ზომით 34,5×17; სანტ.; ნიშნები არა აქვს.

## 20. 1865 წ.—სოლომონ II-ის სიგელი საურის და ხაუდიეროს ამოკვეთის შესახებ ჭაკიაშვილების სახელზე.

ქ. ძლიერებითა და წყალობითა დაფსაბამოსა ხეთისათა ჩვენ იესიან დავითიან სოლომონიან პანკრატოანმან სრულიად იმერთა მპყრობელმან მეფემან მეფეთამან მეორემან სოლომონ და თანა ერთხორცმან ჩემან დედუფალთ დედუფალმან დადიანის ასულმან მარიამ ესე ამიერ(ი)თვან უკუნი-სამდე უცვალადო და აროდეს არ მოსაშალი წყალობის წიგნი დაიწერეთ და გიბოძეთ შენ ჩვენს ერთგულს მოსამსახურეს ყმებს ერთობით ჭაკიაშვილის შვილებს და თქვენთა შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა. ესრათ და ესე ვითარად, რომე პირველ ბაბუა თქვენი და მამა თქვენი ორთა



ქაჭიაშვილი ნეტარხსენებულს კურთხეულს მამაჩემს არჩილ ბატონიშვილს შეხვეწოდა საურისა და საუდიეროს ამოკვეთას და წყალობა ეყო კურთხეულ მამაჩემს ბაბუის თქვენისა და მამის თქვენისათვის წყალობის წიგნი ებოძებია. საურისა და საუდიეროს ამოკვეთილობის დავთარიც მოტანეთ ჩვენს წინაშე და დავთრის განაზღუბას შამოგვევედრეთ და ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი. წყალობა გიყავით და განგაიხსნეთ მამიჩემის ბოძებული დავთარი. როგორც იმ მამის ჩემის დავთარშიდ ეწერა, გავშინჯეთ და ისე დაგვიწერია ამ ჩვენს ბოძებულს დავთარშიდ. ამოგვიწერია ჩვენც საური და საუდიერო. არც ჩვენგან და არც შემდგომთა ჩვენთა მუპატრონეთაგან საური და საუდიერო არ გეთხოვოს არც თქვენ და არც თქვენს შვილს სახლისა თქვენისათა არ ეთხოვოს და ეს ჩვენ მიერი ბოძებული წერილი არ მოგეშალოს, არც ჩვენგან და არც შემდგომთა ჩვენთა მუპატრონეთაგან არ მოგეშალოს და თუ ვინმემ ან დიდმა და ან მცირემან მძლავრებით იკადროს და ხელყოს ამა ბოძებულისა ჩვენ მიერ წერილისა (შლად). მყის თანად ეწიენ მას, რისხავს ღმრთისა მიერი და სახლისა მისა და შვილთა მისთა და შურის გეზავითა კანის მომკვლელისა ძმისასა და იყავნ დედა უფლისა ჩვენისა შურის მეძიებელ და ათორმეტნი მოციქულნი შემკვრელ საკვრელითა განუხსნელითა და მიმეცმელ ცეცხლსა მას საუკუნესა დანახეთქს შინა და იყავნ წყეულ აქა და მას მერმესა საუკუნესა, ზოლო დამამტკიცებელი ამისი კურთხეულ იყავნ სულითა უკუნისამდე. ბრძანებისა ამის ჩვენისა გამრიგე ჩვენი სიძე ეშაყაბაში მალხაზ, სარდალა წერეთელი ქაიხოსრო და სხვანი ერთობით დარბაისერნი. აღიწერა ხელითა კარისა ჩვენისათა მთავარდიაკენის მესხის იესესითა ქრისტეს აქეთ ჩ ყ ქ მისის ი თ

ბ ე ქ ე დ ი ა ს ო მ თ ა ვ რ უ ლ ი თ : 1) მეფე იმერთა სოლომონ, 2) დედოფალი მარიამ.

ჩვენ ყოვლად სამღუდლო ქუთათელ მიტროპოლიტი დოსითეოს ვამტკიცებ ჩვენის ხელმწიფისა მიერ ბოძებულს წყალობის წერილს ამას.

ბ ე ქ ე დ ი მ ხ ე დ რ უ ლ ი თ : ყოვლად სამღუდლო ქუთათელ მიტროპოლიტი (ასომთავრულით) დოსითეოს.

ჩვენ ყოვლად სამღუდლო განათელ მიტროპოლიტი ეფთვიმი ვამტკიცებ ჩვენის ხელმწიფისა მიერ ბოძებულსა წყალობისა წერილსა ამას.

ბ ე ქ ე დ ი მ ხ ე დ რ უ ლ ი თ : გენათელ მიტროპოლიტი (ასომთავრულით) ეფთვიმი.

ქ. ვამტკიცებ სარდალი წერეთელი ქაიხოსრო ნებითა ხვთისათა წერილსა ამას.

ბ ე ქ ე დ ი ა ს ო მ თ ა ვ რ უ ლ ი თ : სარდალი წერეთელი ქაიხოსრო.

ქ. საზლთუხუცესის ძე წერეთელი სვიმონ ვამტკიცებ წერილსა ამას ნებითა მხვთისითა.

ბ ე ქ ე დ ი ა ს ო მ თ ა ვ რ უ ლ ი თ : სნ. (სვიმონ).

ცსსა, ძსგ, ფონდი № 1448. № დაწერილია მხედრულათ ლურჯ ქაღალდზე ზომით 43,7×22,3 სანტ.; ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ იხმარება წერტილი.

**21. 1806 წ.—სოლომონ II-ის წყალობის წიგნი ხამი არდიშვილის სახელზე საურისაგან და სხვა გარდასახადებისაგან განთავისუფლების შესახებ.**

ქ. ნებითა და წყალობითა დაუსაბამოსა მხვთისათა ჩვენ იესიან დავითიან სოლომონიან პანკრატოვიანმან სრულიად საიმერეთოსა მპყრობელმან მეფემან მეფეთა მეორემ სოლომონ და თანა ერთ ხორცმან ჩემმან დედოფალთ დედუფალმან დადიანის ასულმან მარიამან ესე ამიერიდგან მტკიცე და საბოლოოთ გასათავებელი წყალობის წიგნი დაგიწერე და გიბოძე თქვენ ჩემს სახასო კაცს არდიშვილს როსაპას, ბესოს და ვახუშტის ასე და ესე ვითარად, რომე შამოგვევდრეთ და ერთგულებითაც გვემსახურეთ და ვისმინეთ ვედრება თქვენი და წყალობა მიყავით და აღმოგიკეთე ჩემი სათხოველი საური და სხვა სრულებით, თუ თქვენ ჩემი ერდგული და ბრძანებისა ჩვენისა მორჩილი იქნეთ, არაფელი სათხოველი და გარდასახადი თქვენს კაცს ჩვენგან არ ეთხოოს, არაფელი არც ჩვენგან და არც შემდგომთა ჩვენთა სხვათა მეპატრონეთაგან არ მოგეშალოს და უკეთუ ვინმემ მძღავრებით იკადროს და ხელყოს შლად ამა ჩვენს მიერ ბოძებულთა წერილისა, მყის თანად ეწიენ მას რისხვა მხვთისა მიერი და სახლსა მისსა და შვილთა მისთა და შურის ვებავისა ვითარ კენის მომკვლელისა ძმისასა და იყავნ დედა უფლისა ჩვენისა შურის მეძიებელ და ათორმეტნი მოციქულნი შემეკრეღ საკვრელთა განუხსნელითა და მიმცემელ ცეცხლსა მას საუკუნესა. ხოლო დამამტკიცებელი ამისიკ კურთხეულ იყავნ სულთა უკუნისამდე ამინ. ბრძანებისა ამის ჩვენისა გამრიგე და მოწამე სარდალ ციხისთავი ქეშიკთუხუცესი აგიაშვილი დავით, ლორთქვანიძე ბერი, ლორთქვანიძე ოტია, ამაღლობელი დავით და სხვანი კარისა ჩვენისა დარბაის ერნი. აღიწერა ხელითა კარისა ჩვენისა მთავარ დიაკვნის მესხის იესესითა ქორონიკონს ქრისტეს აქეთ ჩ ყ ვ, აგვისტოს კა.

ბ ე ქ ე დ ი ა ს ო მ თ ა ე რ უ ლ ი თ: მეფე იმერთა სოლომონ.

ცსსა, ძსკ, ფონდი № 1448, № 9665; დაწერილია მხედრულათ ჩაღალდზე ზომით 43,7×21,6 სანტ.; ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ არის თითო წერტილი.

**22. 1808 წ.—სოლომონ II-ის წყალობის წიგნი ნიკოლოზ ადეიშვილის შვილების სახელზე მათი აზაკობის დამტკიცების შესახებ.**

ქ. ნებითა და წყალობითა ღმრთისათა ჩვენ იესიან დავითიან სოლომონიან პანკრატოვიანმან სრულიად იმერეთის მპყრობელმან მეფემან მეფეთამან მეორემან სოლომონ და თანა ერთხორცმან ჩემან დედუფალთ დედუფალმან დადიანის ასულმან მარიამ ესე ამიერიდგან უკუნისამდე უცვალადო და აროდეს არ მოსაშალი წყალობის წიგნი დაგიწერეთ და გიბოძეთ თქვენ ჩვენს მოსამსახურეს ხელოსანს ადეიშვილს ნიკოლოზ მღვდლის შვილებს გოგინას და შენს ძმებს და თქვენთა შვილთა და მომავალთა სახლისა თქვე-

ნისათა ესრეთ და ესე ვითარად, რომ პირველათც ხელოსანი და აზატი ყოფილიყავით, წყალობის წიგნი გქონდათ და ჟამთა ვითარებისაგან დააკარგოდათ და ჩვენ გვევედრეთ და რომელიც შეგეძლოთ, კიდევ გვიმსახურეთ და ჩვენც წყალობა გიყავით და გიბოძეთ ხელოსნობისა და აზატობის წიგნი. თუ თქვენ ჩვენი კარგი ერთგული და ჩვენი ბრძანების მორჩილი იქნეთ, ჩემი მოურავის და ჩემი ციხის კარგი ერთგული და მოსამსახურე, არც ჩვენგან და არც შემდგომთა ჩვენთა მეპატრონეთაგან არც თქვენ და არც თქვენს შვილსა და მომავალს ხელოსნობა და აზატობა არ მოგეშალოსთ. და უკეთუ ვინმე ეს ჩვენი ეს ჩვენგან წყალობა თქვენ მოგიშალოსთ, ნაცვლად ჩვენის ცოდვის მაგიერათ უფალმან ის განიკითხოს. დღესა მას სასჯელისასა, ბრძანებისა ამის ჩვენისა გამრიგედ და მოწამედ მოურავი ლორთქიფანიძე ნიკოლოზ, შერაზანიძე ელიზბარა. აღიწერა მეფის კარის მღვდლის გრიგოლაშვილის იესესითა ქორონიკონს ქრისტეს აქეთ

ჩ ყ ჰ მ აისის კდ.  
 ბ ე ქ ე დ ი ა ს ო მ თ ა ვ რ უ ლ ი თ: მეფე იმერთა სოლომონ.

ცხსა, ძსგ, ფონდი № 1448, № 9664; დაწერილია მხედრულთა ლურჯ ქალაღზე ზომით 35×21,5 სანტ.; ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ იხმარება თითო წერტილი.

**23. 1809 წ.—სოლომონ II-ის სიგელი აზნ. ახვლედიანის ყმებისთვის საურის, საუდიეროს და ხორცის ფასის ამოკვეთის შესახებ.**

